სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 27 მაისი 1999 №97 (870) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპედიციის მეთაური გია თორთლაძე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხუთმა ქართველმა დედამიწის კენწეროზე ეროვნული დროშა ააფრიალა

ასე რომ, ჯომოლუნგმაზე (ევერესტი, საგარმატხა 8848 მ) სამხრეთ ფერდობიდან 12 მაისს ასულ საქართველოს ოთხ მთამსვლელს (აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე, ლევ სარქისოვი, ბენო ქაშაკაშვილი — ექსპედიციის მეთაური) გუშინ, 26 მაისს ახლა ჩრდილოეთ ფერდობზე მოიერიშე ქართველთა ჯგუფიც დაემატა.

ეს მეტად სასიხარულო ინფორმაცია გუშინ საღამოს საბაზო ბანაკიდან გვაცნობა ჯომოლუნგმაზე პირველი ქართული ესკპედიციის ექიმმა ზურაბ ასტახიშვილმა. მან გვითხრა, რომ ეს ესაა ჩვენმა მთამსვლელებმა რაციით გვაცნობეს, რომ მწვერვალზე ადგილობრივი დროით 11 საათზე ავიდნენ: გია თორთლაძე (ესკპედიციის მეთაური), მერაბ ნემსიწვერიძე, ირაკლი უგულავა, ირაკლი ციხისელი და მერაბ ხაბაზი, რომლებიც 8300 მეტრზე მდებარე ბოლო საიერიშო ბანაკიდან დამიკავშირდნენო.

ერთი სიტყვით, ქართველებს, რომლებიც აქამდე სხვადასხვა ქვეყნის ხიფათში ჩავარდნილ მთამსვლელებს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეხმარებოდნენ, ახლა საკუთარი თავისთვისაც მიუხედიათ და დიდ წარმატებასაც ზეიმობენ.

ეს ექსპედიცია, როგორც გასულ „სარბიელშიც“ გაუწყეთ, თავისი შემადგენლობით საერთაშორისოა და იგი შერპ მთამსვლელებთან ერთად 34 კაცს ითვლის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია ექსპედიციის დანარჩენ წევრთა, მათ შორის კიდევ ორი ქართველის გელა ოთარაშვილისა და დავით ჩანტლაძის წარმატება-წარუმატებლობის ამბავი. თუმცა, ექსპედიციამ მიზანს მიაღწია, საკითხავი ახლა ისაა, თუ ჩვენი ხუთეულის კვალდაკვალ კიდევ რამდენი კაცი ავა „დედამიწის სახურავზე“.

და კიდევ ერთი, ამ ექსპედიციას ჰქვია „საქართველო-3000“, რაც ჩვენი ქვეყნის 30 საუკუნოვან ისტორიაზე მიგვანიშნებს. ახლა განგებამ ისე ინება, რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ქართველთა ასვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაემთხვა.

ამთანდილ გურასაშვილი

სასწაული!

REUTERS ბარსელონიდან

მანჩესტერი — ბაიერნი 2:1. ტედი შერინგემის ამ თავურს მოჰყვა სოლსკიაერის გადამწყვეტი გოლი

ლატვია — საქართველო 18:19!

გუშინ რიგაში ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ქართველებმა ლატვიელებს გამარჯვება წაართვეს

„შინ ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ, რადგან უამისოდ საბოლოო წარმატებაზე ფიქრი შეუძლებელია. სტუმრადაც ვიბრძოლებთ და იმედია, სასურველ შედეგს მივაღწევთ.“

ეს სიტყვები საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ სლოვაკებთან თბილისში შეხვედრის წინა დღეს უთხრა „სარბიელს“. ის თამაში ჩვენებმა მოიგეს და უცხოეთსაც მიაშურეს ორი მატჩის გასამართად. ჯერ კოშიცეში შეხვდნენ სლოვაკ ხელბურთელებს და, სამწუხაროდ, დაბალულ ბრძოლაში ორი ბურთით დამარცხდნენ, გუშინ კი ქართველები ლატვიელებს შეხვდნენ და, როგორც გითხარით, გაიმარჯვეს.

ჩვენები 8:13 წაგებულმა პირველმა ტაიმმა სულიერად ვერ გატეხა. მეორე ოცდაათი წუთი ჩინებულად ითამაშეს და 19:18 გაიმარჯვეს.

„პირველ ტაიმში ისეთი თამაში იყო, გვეგონა, გაგანადგურებდით, მაგრამ მეორეში ყველაფერი თავდაყირა დადგა. განსაკუთრებით გელაშვილს გამოვყოფდი. ფაქტობრივად, სწორედ მან დაგვასამარა“ — გვითხრა ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამ აშკოლდს ულდრიკისმა წუხანდელი სატელეფონო საუბრისას.

მასპინძელთაგან ყველაზე მეტი გოლი პროშკინმა გაიტანა, სტუმართაგან კი ტიტე კალანდაძემ. ორივეს ანგარიშზე 5-5 გოლია. უფრო დაწვრილებით ქართველების ორ საგარეო მატჩზე მათი თბილისში დაბრუნების მერე მოგითხრობთ.

გაიოზ თალაძვაძე

ტორპედოელთა კაპიტანს კახა კვეტენაძეს თასი სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ გადასცა

თასია და ხასიათი

ტორპედო — სამგურალი 4:2

მართალია ძნელად, მხოლოდ პენალტებით, მაგრამ ქუთაისელებმა მაინც დაამარცხეს წყალტუბოელები და საფეხბურთო სეზონი ტრიუმფით ჩაამთავრეს

ყურადღება!

სარბიელი 1 ივნისიდან ძველებურად 50 თეთრი ეღირება, მაგრამ ისევ 16 გვერდიანი იქნება!

თასია და ხასიათი

საქართველოს თასის ფინალი. 26 მაისი. თბილისი. ეროვნული. 18 000 მაყურებელი

ტორპედო 0:0 (4:2 პ) სამგურალი

1:0 ჯანაშია, 1:0 მ. ჯინჭარაძე (მეკარე), 2:0 მაზანიშვილი, 2:1 სუხიაშვილი, 3:1 იმედაძე, 3:2 გ. შენგელია, 4:2 იონანიძე, 4:2 კილასონია (ძელი)

— სასურველი კი იყო, იმერეთს ზოგადად უეფაზე ორი გუნდი ჰყოლოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვაგვარად მოხდა — ეს სიტყვები „სამგურალის“ ახალ მწვრთნელ რევაზ ბურკაძეს ეკუთვნის.

სურვილი სურვილია, მადაც ჭამაში მოდის, მაგრამ ბედმა ამ ეტაპზე უფრო ძლიერს, ქუთაისის „ტორპედოს“ გაუმართლა და საქართველოს თასს ქუთათურები დაეუფლნენ.

მნიშვნელოვანი ფინალი გახლდათ. თავისი ინტრიგული რამერუმეებით. საკმარისია, ტრიბუნაზე მჯდომი მობილურმომარჯვებული ფოთის „კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორი, წყალტუბოელთა ნერვებდაჭიმული ხელმძღვანელობა დაგენახა კაცს და მიხვდებოდი — თასიცაა და თასიც.

გაიმარჯვებდა „ტორპედო“ და ევროსარბიელზე „კოლხეთი“ ცდიდა ერთხელაც ძალას.

გაიმარჯვებდა „სამგურალი“ და წლევანდელი სეზონის მთავარ სიურპრიზსაც იგი გამოაცხობდა.

„ტორპედომ“ გაიმარჯვა — ხელებში თასი, კისერზე ვერცხლი, გულში იმედი და ჰორიზონტზე ევროპა.

ხვავიანი წედიწადი ჰქონდათ ტორპედოელებს.

ზოგი ამბობდა, არ გაწირავენ ქუთაისელები „სამგურალსო“. ზოგიც ურწმუნოდ იქნევდა თავს — თასია, ძმაო, გარდამავალი დროშა ხომ არაა, აჩუქო და დუუმოო.

მერე მატჩამდე „სამგურალის“ ძირითადი მეკარე და თავისი კუთვნილება დავით ასლანაძე გამოიწვია უკან „ტორპედომ“ და ნათელი გახდა — არავინ არავის არაფერს დაუთმობდა.

გაორებულობა ეტყობოდა ქომაგსაც. ტრიბუნებზე მსხდომთა უმეტესობას ქუთაისელი (ბევრი) და წყალტუბოელი (ცოტა) მაყურელებელი შეადგენდა და ჩვეულებრივ უსაშველოდ აქტიური გულშემატკივარი როგორღაც ინერტული ჩანდა. წყალტუბოდან ქუთაისამდე სულ თხუთმეტიოდე კილომეტრია, ლამის ყოველი ქუთაისელი იცნობს ნებისმიერ წყალტუბოელს და პირიქით. „ტორპედო“ — „სამგურალსაც“ ბევრი რამ აკავშირებს.

ალბათ, ამაზე ფიქრობდა როგორც ერთი, ისევე მეორე გუნდის ქომაგი და...

ყვიროდა, როგორ არა, მაგრამ ამ ყვირილს მარილი აკლდა.

ასლანაძე მაინც ათამაშეს.

თავიდანვე ვიტყვით, „სამგურალს“ ბევრი არაფერი დაუთმია „ტორპედოსთვის“. ის კი არა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, „სამგურალის“ ფეხბურთელებმა უკეთ იცოდნენ, რა და როგორ ეკეთებინათ და მეორე ტაიმის დასაწყისში, რომ ცოტა ზუსტნი (და ალბათ იღბლიანიც) ყოფილიყვნენ...

თუმცა საგოლეები არც „ტორპედოს“ გაუცდებია წყალტუბოელებზე ნაკლები, მარტო კვეტენაძის მეკარესთან ზედიზედ ორი პირისპირ გასვლა რად ღირდა...

„სამგურალმა“ ზონური დაცვა შესთავაზა მეტოქეს. მისი მწვრთნელი რევაზ ბურკაძე თავად აფრთიანებდა თავის დროზე „ტორპედოს“ ამ თაობას და ამდენად თითქმის ყველა ტორპედოელი ბოლომდე გაშიფრული ჰ ყავდა. ალაგ-ალაგ ჩავარდნებს თუ გამოვრიცხავთ, მთლიანად შეხვედრა ნორმალურ დონეზე ჩაატარა „სამგურალმა“. ძირითადად თავს კი იცავდა ბურკაძის გუნდი, მაგრამ ზოგჯერ ისე მწარედ იჩხვლიტებოდა, პიერ რიშარი და მისი „ჩხვლეტა ქოლგთ“ მახსენდებოდა.

„ტორპედოს“ რაც შეეხება, იგი უფრო ინდივიდუალისტების საკრებულოს ჰგავდა — აქ ჯანაშია, იქ იონანიძე, მეგრელაძე, მერე იმედაძე ინდივიდუალური გარღვევით ცდილობდნენ ლელოს (გოლის) გატანას. ერთხელ ჩვეულებრივზე სუსტად მოთამაშე (ტრავმის ბრალი იყო) ჩხეტიანმაც დაარტყა. ბურთიც პირდაპირ ცხრიანში გაფრინდა, მაგრამ ასლანაძემაც კლასიკური ნახტომი გააკეთა და...

ბოსკამპიც უცქერდა ამ მომენტს. არ შეიძლებოდა, არ მოსწონებოდა მეკარის გარჯა, მით უმეტეს, კიდევ არაერთხელ გამოიჩინა თავი (ოსტატობაც) ასლანაძემ და მატჩის საუკეთესოდაც დაასახელეს.

რაც უფრო გადიოდა დრო და მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, მით მეტად ელეოდათ ფეხბურთელებს ძალა. განსაკუთრებით თვალში საცემი წყალტუბოელთა ფიზიკური სისუსტე გახლდათ. მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით...

ის, რაც თვალში მოგვხვდა

ჯერ ერთი, მატჩი დროზე ადრე, 17 საათზე და 53 წუთზე დაიწყო. შვიდი წუთით გავასწარით დროს და ეგებ საფეხბურთო მატარებელსაც დავეწიოთ.

მეორეც — იმდენად ხშირად ეცემოდნენ ფეხბურთელები, ეჭიმებოდათ კუნთები, იღებდნენ ათასგვარ მცირე ტრავმებს და იმდენს კოტრიალობდნენ მინდორზე, კაცს ეგონებოდა, მავანმა ექიმმა მოთამაშეებს წოლითი რეჟიმი დაუწესა და ისინიც მორჩილი ავადმყოფივით უსიტყვოდ ასრულებენ მკურნალის დანიშნულებასო.

უნიფორმაზე წინ და უკან კარდინალ რიშელიეს რაზმელებივით ჯვარმიხატულ მესაკაცეებსაც რაღა დარჩენოდათ, მოედნიდან ერთი ფეხბურთელის გამოიყვანდნენ თუ არა, იმწუთასვე მეორის გამოსაყვანად შერბოდნენ და ასე ირბინეს 120 წუთი.

ბოლოს, ეტყობა, მათაც მობეზრდათ საკაცით წინ და უკან სირბილი (ფეხბურთელებზე მეტი თუ არა, ნაკლები არ ურბენიათ) და შეხვედრის ბოლოს წაქცეული ერთ-ერთი წყალტუბოელი ისე გაიტანეს მინდვრიდან, როგორც პირველყოფილ მონადირეებს დაჭ ქონდათ-ხოლმე მამონტები.

მესამე — ქუთაისის „ტორპედო“ სოლიდური ქართული გუნდია. მან ამ სეზონში ბევრი რამ ჩაიდინა საგმირო — მოუგო „დინამოს“, „ლოკომოტივს“, მოიწია ვერცხლი, აგერ თასიც, მაგრამ... ტორპედოელებმა ორჯერ არასწორად მოაწოდეს აუტი.

და რაც უფრო სოლიდურია გუნდი, მით მეტად უპატიებელია აუტის არასწორად მოწოდება.

მეოთხე — ივანე ჯუღელი ძველი ფეხბურთელია, ასაკოვანი. წყალტუბოშიც პირველად ითამაშა (საერთოდ და ამ სეზონში) და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბებერი ხარის რქებიც ხნავს...

მხედველობაში ჯუღელის თავით კარგი თამაში მაქვს. მან ვახტანგ ხვადაგიანს (რომელიც ჯუღელზე ერთი თავით მაღალია) თითქმის ყველა საჰაერო ბრძოლა მოუგო და გვარიანადაც ამხიარულა მაყურებელი.

ისე, ხვადაგიანზეც (რომელსაც უცქერ და მჯერა, რომ ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება) ცალკე უნდა ითქვას — ვახტანგი ყველაზე უშფოთველი იყო ქუთაისელთაგან და მისი სიმშვიდეც მალე მთელ გუნდს გადაედო.

როგორც ასეთი შეხვედრების შემდეგ ხდება — ჯილდო, მილოცვა, ცრემლები, საპატიო წრე (ქუთაისლებმა ნახევარწრე დაარტყეს) და ზღვა სიხარული.

26 მაისმა „ტორპედოს“ ისტორიას ერთი ლამაზი თარიღიც შესძინა.

გუშინდლიდან მომავალი წლის ოცდაექვს მაისამდე (როგორც მინიმუმი) საქართველოს თასს იმერული, კერძოდ ქუთაისური, ნიავი დაუბერავს.

წლევანდელმა თასმა წყალტუბოს ქუთაისი ამჯობინა.

თასია და ხასიათი.

კონსტანტინე გოგიშვილი

ბადრი ქუთელაძის ფოტო

ქუთაისის „ტორპედო“ — 1999 წლის საქართველოს თასის მფლობელი

ტორპედო

1. ჭანტურია

21. ახვლედიანი 18. თურმანიძე 24. ხვადაგიანი

6. შეყრილაძე 5. მაღლაკელიძე

17. ჩხეტიანი

7. კვეტენაძე 13. იონანიძე

9. დ. ჯანაშია 10. მეგრელაძე

8. ჯუღელი

9. პეტრიაშვილი

10. სუხიაშვილი 6. გ. კილასონია 11. გ. შენგელია

7. აფციაური

4. ვოსკანოვი 3. ბურნაძე 5. გ. ჯანელიძე 2. მახვილაძე

1. ასლანაძე

სამგურალი

შეცვლა: ახვლედიანი — 23. იმედაძე (59), ჩხეტიანი — 15. მაზანიშვილი (65), აფციაური — 18. მ. ჯინჭარაძე (79), გ. ჯანელიძე — 17. ფრანგიშვილი (100), პეტრიაშვილი — 14. დარსაძე (100)

გაფრთხილება: გ. ჯანელიძე (31), მეგრელაძე (36), ვოსკანოვი (45), აფციაური (50), ხვადაგიანი (70), ჯუღელი (92), ბურნაძე (94)

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გიორგი იმედაძე (№23) და მალხაზ ვოსკანოვი ორთაბრძოლისას

ბურაბ ფოფალაძის ფოტო

მატჩის სტენოგრამა

8 წუთი. გიორგი კილასონიამ მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა ჩააწოდა. საჯარიმოში ყველას შენგელიამ დაასწრო და ბურთი თავით ჭანტურიასგან შორეულ კუთხეში გაგზავნა, „ტორპედო“ ძელმა იხსნა.

15. სუხიაშვილის შორიდან დარტყმული არაზუსტი იყო.

18. საჯარიმოში მყოფმა დავით ჯანაშიამ დასარტყმელად ბოლოს იონანიძე მონახა, მის უძლიერესად დარტყმულ ბურთს ასლანაძე ნახტომში დაეუფლა.

25. „სამგურალის“ კარისკენ მცველი ხვადაგიანი დაიძრა, მისივე კოლეგებმა ვახტანგს საჯარიმოში შესვლა არ აცალეს და ხიფათიც განმუხტეს.

34. მეგრელაძე ვოსკანოვთან ბრძოლისას საჯარიმოში წაიქცა, პენალტს ითხოვდა, არბიტრმა კვარაცხელიამ კი არაფერია, თამაში გააგრძელეთო.

40. ბადრი ახვლედიანმა კაპიტანი კვეტენაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა. მისი დარტყმული გარედან მოხვდა კარის ბადეს.

48. კვეტენაძემ საჯარიმოში მყოფი მეგრელაძე მოძებნა, გიას დარტყმული ასლანაძემ ნახტომში აიღო.

54. ბურნაძემ ბურთი თავით მოიგერია, ირაკლი მაღლაკელიძემ კი მას უძლიერესად დაჰ კრა ფეხი. დათო ასლანაძემ კვლავ ივარგა.

55. პეტრიაშვილმა კილასონიას მიაწოდა ბურთი, გიას უძლიერესად გასროლილს მეკარე ჭანტურია ნახტომში თითის წვერებითღა მისწვდა და კუთხურზე მოიგერია.

60. ჯანაშიამ ჯარიმიდან ჩხეტიანს დაუგორა, მანაც უძლიერესად გაისროლა, ასლანაძე შეუდარებელია — ცხრიანში მიმავალი ბურთი ბრწყინვალე ნახტომში კუთხურზე გადააგდო.

63. პეტრიაშვილმა ბურთი მოიგდო და „ტორპედოს“ კარისკენ დაიძრა, გზად მეურვე მოიცილა, ძლიერადაც დაარტყა. ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუფრინა ჭანტურიას კარს.

67. კილასონიამ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ივანე ჯუღელმა, რომელმაც ფაქტობრივად ამ დღეს ყველა საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, მეურვეს ამჯერადაც დაასწრო და ბურთს თავი დაჰკრა. „ტორპედო“ ამჯერადაც ძელმა იხსნა.

97. პეტრიაშვილმა კილასონიას ჯარიმა გაუთამაშა. გიას ძლიერად დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

108. იონანიძეს შორიდან გასროლილს ასლანაძე იოლად ეუფლება.

116. წყალტუბოელები საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს შეცდნენ, იმედაძეც არ დაიბნა და იმწამსვე, საჯარიმოში არ შესულმა, უძლიერესად დაარტყა. მეკარე ასლანაძემ კვლავ ჩინებულად ითამაშა.



ჯემალ ხერხაძე მეცხრე ცაზე

ბურაგ დულუნგაშვილის ფოტო

პრესკონფერენცია

რევაზ ბურკაძე, „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელი:

— პირველ რიგში მინდა, ჯემალ ხერხაძეს მივულოცო დამსახურებულად მოგება. იგი ნამდვილად ღირსი იყო ამ გამარჯვების. მასზე მეტი „ტორპედოსთვის“ არავის გაუკეთებია. „ტორპედო“ ძალიან კარგი გუნდია და ვფსურვებ, უეფას თასზეც წარმატებით გამოვიდეს.

რაც შეეხება თავად თამაშს, შეხვედრა ძალიან დაძაბულად წარიმართა. ბოლოს უკვე ფორტუნაზე ვიყავით დამოკიდებული, მაგრამ მაინც ძლიერმა გაიმარჯვა. მეტოქემ ფიზიკურად გვაჯობა. წყალტუბოში ერთი კვირის მისული ვარ. ერთობ არასახარბიელო ვითარება დამხვდა. სავარჯიშო ციკლი მოშლილი იყო. სულ სამი სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარება მოვახერხე. ჩვენი მიზანი ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა იყო, რადგან მეტოქე გაცილებით ძლიერი გვყავდა.

ვნახე „ტორპედო“ — „ლოკომოტივისა“ დ „ტორპედო“ — „დინამოს“ შეხვედრების ვიდეოკასეტები. ორივე მატჩში ქუთაისელებმა აშკარად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე. ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს. „ტორპედოს“ ტაქტიკას უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე მაგალითად „ლოკომოტივისა“, რომელმაც ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მათი თამაშიც დალაგებულია, ბურთს კარგად აგორებენ, მაგრამ გეგონება მათთვის კარებები არ არსებობს.

რაც საქართველოში ჩამოვედი და ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ვნახე, ერთი რამ ნათლად დავინახე — „ტორპედოს“ სათამაშო სტილი ყველასგან გამორჩეულია. ხერხაძის გუნდი გაცილებით კარგ ფეხბურთს თამაშობდა, ვიდრე დანარჩენები. სიმართლე გითხრათ, დღეს უფრო მეტს ველოდი მათგან, მაგრამ, ეტყობა, ქუთაისელები ფსიქოლოგიურად დათრგუნვილები იყვნენ. ასეთი რამ კი თასის ფინალს ყოველთვის ახასიათებს.

ჯემალ ხერხაძე, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი:

— თასის თამაში სულ სხვაა, ვიდრე ჩემპიონატის. ფინალში სუსტი გუნდი ვერაფრით გავა. მინდა, რეზოს მივულოცო ქართულ ფეხბურთში დაბრუნება.

ორი მეზობელი კლუბი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ეს იყო სუფთა ნერვების თამაში. ჩვენ უფრო ძლიერი ნებისყოფა აღმოგვაჩნდა...

ვიმეორებ, სათასო შეხვედრები სულ სხვა ხასიათისაა და ამანაც ბევრ რამეზე იმოქმედა. ეს რომ ჩემპიონატის რიგითი მატჩი ყოფილიყო, ასე არ გაგვიჭირდებოდა. „ტორპედო“ გაცილებით ძლიერია „სამგურალზე“.

ამ ფინალისთვის სერიოზულად ვემზადებოდით, თუმცა ვარჯიშებზე პენალტების დარტყმებზე განსაკუთრებული ყურადღება არ გაგვიმახვილებია.

მომავალში უცილოდ გაძლიერება გვჭირდება და ალბათ რამდენიმე მოთამაშეს დავიმატებთ. ფეხბურთელებს კი საქართველოში მოასპარეზე გუნდებიდან შევარჩევთ. დიდი იმედი მაქვს, რამ უეფას თასის შეხვედრებს ქუთაისში გავმართავთ. სტადიონზე უკვე დაიწყო სამუშაოები. „გივი კილაძის“ მინდვრის საფარი კი დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

ხვიჩა სანიკიძე

მატჩის შემდეგ

ყოველთვის ასეა, ფინალის შემდეგ გამარჯვებულ გუნდს ნეტარების წუთები უდგას, დამარცხებული კი... წყალტუბოელი ფეხბურთელები ცრემლებს ვერ მალავდნენ, ყველაზე გულგატეხილი გამოცდილი გიორგი კილასონია ჩანდა. ამ მატჩის უდავოდ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელი სიტყვებს თავს ვერ უყრიდა. ბოლოს იმედგაცრუებულმა ხელი ჩაიქნია და მოგვიბოდიშა. იმ წუთებში ძნელი არ იყო მის მდგომარეობაში შესვლა. შედარებით უკეთ გამოიყურებოდა მეორე ნახევარში შეცვლილი **მამუკა აფციაური:**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, მგონი, თითი უნდა მქონდეს მოტეხილი, შეცვლაც ამიტომ ვითხოვე. თამაშის წინ დიდი იმედი მქონდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ არ წავაგებდით. სამწუხაროდ, პენალტებში დავმარცხდით. ვერაფერს იტყვი, ეს ხომ ლატარიაა. თანაგუნდელთაგან ბურნაძეს, კილასონიას და ასლანაძეს გამოვარჩევდი. მეორე ტაიმში დაღლა დაგვეტყო. ეს კი იმის ბრალია, რომ მეორე წრის დიდი ნაწილი ფაქტობრივად უმწვრთნელოდ ჩავატარეთ.

დავით პეტრიაშვილი:

— დიდი თამაში იყო, სიმართლე გითხრათ, მწამდა, რომ დაძაბული და თანაბარი მატჩი გამოვიდოდა. ასეც მოხვდა, მაგრამ, მგონი, უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით.

გიორგი შენგელია:

— რეალური საგოლე მომენტები ჩვენ უფრო მეტი შევქმენით, ეგ არის, მეტოქე მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, ტაიმებს შორის შესვენებისას მწვრთნელმა გვთხოვა, რომ დაცვაში არ ჩავმჯდარიყავით და უფრო ხშირად შეგვეტია. შეიძლებოდა, გოლიც გაგვეტანა, მაგრამ საოცრად დავიღალეთ. დამატებით დროში კი ძლივს დავდიოდით. უდავოა, 120-წუთიანი მატჩისთვის არც ერთი გუნდი არ იყო მზად. შემდეგ კი ფორტუნამ „ტორპედო“ ირჩია.

დავით ასლანაძე:

— გული დამწყდა, პენალტების სერიაში რომ დავმარცხდით, ეს ორმაგი ტკივილია ჩემთვის, გუნდს ბოლო წუთს ვერაფრით დავეხმარე. ამას მერჩია, ძირითად დროში დავმარცხებულიყავით. ჩვენ არ გვქონდა კარგი მოსამზადებელი პირობები ამ დონის თამაშისთვის, თქვენც ნახეთ, კარგად ჩატარებული პირველი ნახევრის მერე დაღლა დაგვეტყო. არადა, შესაბამისი მომზადება რომ გაგვევლო, ასე არ მოხდებოდა და ვინ იცის, იქნებ ძირითად დროშივე გადაგვეწყვიტა თასის მფლობელის ვინაობა.

დავით ჯანაშია:

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ჩვენი წარმატება მივულოცო ქუთაისის „ტორპედოს“ ქომაგებსაც. ვეცდებით, მომავალშიც ისევე გავახაროთ, როგორც ახლა. სიმართლე გითხრათ, დღეს ნამდვილად არ ველოდით, თუ თასის მფლობელის ვინაობა პენალტების სერიაში გადაწყდებოდა, თუმცა წყალტუბოელები რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ და არაფერს დაგვითმობდნენ, დარწმუნებულნი ვიყავით. თამაშისთვის მთლიანობაში კარგად მოვემზადეთ, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თითქოს ძალაც გვაკლდა. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დამთავრდა. ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიპოვეთ ქვეყნის თასი.

გია ჭანტურია:

— პენალტებამდე თუ მივიდოდა საქმე, ნაღდად არ მეგონა, ამიტომ თერთმეტმეტრიანების აღებაზე არც მივარჯიშია. მიუხედავად ამისა, ერთი პენალტის მოგერიება და საერთო გამარჯვებაში წვლილის შეტანა შევძელი. მგონი, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ დღეს უძლიერესმა გაიმარჯვა.

გიორგი იმედაძე:

— იოლ გამარჯვებას არ ველოდით, მაგრამ თუ ასე გაგვიჭირდებოდა, არ გვეგონა. „სამგურალმა“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. ჩვენც ვერ ვითამაშეთ ჩვეულად, თუმცა, რაც მთავარია, თასი მოვიგეთ. მიხარია, რომ „ტორპედოში“ თამაშის პირველივე სეზონში ასეთ დიდ წარმატებას მივაღწიე.

კახა კვანტალიანი:

— დღეს ალბათ ჩვენი შესაძლებლობების 50-60 პროცენტს გამოვავლინეთ. ლაბადა ფეხბურთი ნაღდად არ გვითამაშია, მაგრამ ეს უფრო მეტოქის ბრალია, რომელმაც მართლაც ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია. ჩვენს თამაშზე გავლენა იმანაც იქონია, რომ თასის ფინალში პირველად ვიყავით, თანაც ფავორიტებად ვითვლებოდით, ეს კი დიდ ფსიქოლოგიურ ტვირთად გვაწვა. რაც მთავარია, მოვიგეთ და ამით ყველანი ძალიან გახარებულნი ვართ.

გიორგი მეგრელაძე:

— მგონი, ორივე გუნდისთვის ძალიან ცუდი თამაში იყო. „ტორპედოც“ და „სამგურალიც“ დამძიმებულად გამოიყურებოდნენ და მაყურებელს იქნებ მოსაწყენი ფეხბურთიც ვუჩვენეთ, მაგრამ მატჩი რომ დაძაბული იყო, ფაქტია. ყველაზე თვალშისაცემი ის გახლდათ, რომ მოედანზე ბევრი ბრძოლა გვიწევდა ბურთისთვის, განსაკუთრებით ძირითად დროში. მატჩის წინ მწვრთნელმა გვთხოვა, თავდაჯერებულები არ გავსულიყავით მოედანზე, მაგრამ მე რატომღაც ძალიან მჯეროდა, რომ გავიმარჯვებდით. ეს თასი ჩვენი უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდა.

პაატა ძვანტალიანი
ვანო ოძროპირიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბადრი კეთილაძის ფოტო

ეს წამია, წყალტუბოელმა გიორგი კილასონიამ თერთმეტრიანი ძელს მოახვედრა...

ჯანაშია დაიკარგა, არველაძეები შინ წავიდნენ

ბოსკამპს იმედაძის იმედი აქვს

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელ იოჰან ბოსკამპს დიდი თავსატეხი გაუჩნდა—გუნდი მოულოდნელად შეუთხელდა. საქმე ასარჩევად რომ ჰქონდა და გამოძახებულთაგან ორის აქ დატოვებას აპირებდა, ახლა საამისო საშუალება აღარ აქვს: ვინც დღესდღეობით მის განკარგულებაშია, ყველა ნორვეგიაში გაფრინდება.

გუშინ, დილის ვარჯიშის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები ოსლოში ტყუპი არველაძეების გარეშე ითამაშებს. მათ მტკივანი ფეხები დაუსივდათ და ექიმების თქმით, დასვენება-მკურნალობა სჭირდებათ. თუმცა კი, შესაძლოა, არჩილი ბერძნებთან მატჩამდე მომჯობინდეს. საეჭვოა ნორვეგიაში ქეცბაიას გამგზავრებაც, იგი ნიუკასლიდან მცირე ტრავმით ჩამოსულა, რომელიც ახლა გამიზეზებია. გადაწყვეტილია ისიც, რომ ოსლოს ქართველთა გუნდი მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელის ზაზა ჯანაშიას გარეშე ესტუმრება. წუხანდლამდე ჯანაშია დიღმის ბაზაზე არ ყოფილა, შესაბამისად, ნაკრებთან ერთად არც უვარჯიშია. თუმცა, გუშინ „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსს, ბატონ კოროტკოს რომ დავურეკეთ, გვითხრა, ზაზა თბილისში გუშინწინ გამოფრინდა, ბილეთი თავად მივეციო.

თითქმის ივივე გაგვიმეორა ჯანაშიას მეგობარმაც, რომელიც ამჟამად ზაზას მოსკოვურ ბინას უმასპინძლოდ სტუმრობს, ორი დღეა ზაზა თბილისში წამოვიდაო. ფაქტი კი ესაა — ჯანაშია ეროვნული გუნდის შეკრებაზე არ არის. იოჰან ბოსკამპმაც თავდამსხმელის ქცევა არასერიოზულად ჩათვალა და ნორვეგიაში თამაშიც უმისოდ გადაწყვიტა. ბერძნებთან მატჩისთვის კი ჯანაშია, თუ, რაღა თქმა უნდა, მანამდე გამოჩნდა, ალბათ მოემზადება.

ყველა ზემოჩამოთვლილთა სანაცვლოდ იოჰან ბოსკამპს გუნდში მხოლოდ ერთი ახალბედა მიუწვევია — ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი გიორგი იმედაძე, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

გუშინვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ერთი ოფიციალური განცხადება გააკეთა — ამიერიდან აკაკი დევაძეს ეროვნულ ნაკრებში აღარ მიიწვევან. საინტერესოა, რას იტყვის პრეზიდენტი ზაზა ჯანაშიას თაობაზე...

ძოგა ინასარიძე

ხურცილავამ ბოსკამპს დაასწრო

ზოგადად

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სანორვეგიო სამზადისს ეროვნულ გუნდზე ერთი დღით ადრე შეუდგა. იგი ორშაბათს, 24 მაისს, შეიკრიბა. ვინც ახალი მთავარი მწვრთნელის, მურთაზ ხურცილავას მიერ გამოძახებულ შემადგენლობას გაეცნო, უწინდელთან შედარებით დიდ განსხვავებას დაინახავდა. ხურცილავამ ახალგაზრდული ნაკრები კიდევ უფრო გააახალგაზრდავა. ძველი შემადგენლობიდან სულ რამდენიმე კაცი დატოვა. რაც შეეხებათ ახალწვეულებს, მათი უმეტესობა „დინამო 2“-ის წევრია. ისინი ამავე დროს 18-წლამდელთა ნაკრებსაც წარმოადგენენ, რომელმაც ახალახან ვახტანგ კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი წარმატებით გაიარა და ივლისის მიწურულს შვედეთში ფინალურ ეტაპზეც ისპარეზებს. ალბათ ამიტომაცაა, რომ ხურცილავას ახალგაზრდული ნაკრების მზადებაში კოპალეიშვილი ეხმარება. ამით, ფაქტობრივად, ორი საქმე კეთდება, ერთი — ახალი ახალგაზრდული ნაკრების შექმნას ეყრება საფუძველი და მეორე, ის ფეხბურთელები, რომლებსაც ზაფხულში შვედეთში ძნელი ტურნირი ელით, ნორვეგიასა და საბერძნეთთან მატჩებში დიდ გამოცდილებას მიიღებენ.

ახალგაზრდები აგერ უკვე მესამე დღეა, სასტუმრო „მესაზღვრეში“ გადიან შეკრებას, თუმცა არასრული შემადგენლობით. ჟემჩუჟინელი დავით ხმელიძე და სტანდარდელი ლაშა ჯაკობია ხურცილავას განკარგულებაში ჯერაც არ არიან. ლიეჟის „სტანდარდის“ ქართველი ლეგიონერი ბელგიიდან ცოტა ხნის წინ ტრავმირებული დაბრუნდა. როგორც გაირკვა, ჯაკობია ვერც ნორვეგიასთან დაეხმარება თანაგუნდელებს და ვერც საბერძნეთთან. ხმელიძეს კი სოჭელები არ უშვებენ. ზღვისპირელების ცნობით, გუნდის ძირითადი მეკარე ტუმილოვიჩი მძიმედ დაშავებულა და „ჟემჩუჟინას“ თავკაცობასაც ჩვენებური მის შემცვლელად შეუგულებია, ამიტომ ქართველებისთვის უთხოვია, სანორვეგიოდ ნუ გამოიძახებთო. ხურცილავას თქმით, ხმელიძეს 29 მაისს რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში თამაშის საშუალებას მისცემენ, თუმცა საბერძნეთთან მატჩისთვის მაინც ჩამოიყვანენ.

გუშინწინ ახალგაზრდებმა „შევარდენზე“ ივარჯიშეს. წვრთნამ საათზე მეტხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ხურცილავამ შეგირდებს, მცირე მოთელვის შემდეგ, ჯერ კვადრატი გაახურებინა, შემდეგ სამ-სამად დაყო და კომბინაციები დაამუშავებინა. ბოლოს კი მეკარე გიორგი ლომაიას მარტოს მოუზდა მინდვრის მოთამაშეთა დარტყმების მოგერიება, რადგან მის კოლეგა ზურაბ ბათიაშვილს მუხლის მცირე ტრავმა აწუხებდა და მხოლოდ ძუნძულს დასჯერდა. როგორც შევიტყვეთ, ბათიაშვილის ტრავმა სერიოზული არ ყოფილა და იგი ორივე თამაშში შეძლებს ნაკრების კარის დაცვას. თუ, რა თქმა უნდა, ხურცილავაც გამოუცხადებს ნდობას.



ბადრი ქუთელაძის ფოტო

მურთაზ ხურცილავა შეგირდების მზადყოფნით უკმაყოფილოა

გუშინ

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველი მატჩი გამართა. „შევარდენზე“ მათი მეტოქე თბილისის „ვიტ ჯორჯია“ გახლდათ. თამაშის წინ ხურცილავამ კიდევ ორი ფეხბურთელი მოისაკლისა. ტორპედოელმა გიორგი იმედაძემ და სამგურალელმა გიორგი შენგელიამ თავთავიანთ კლუბებს მიაშურეს. მიზეზს, ალბათ, მიხვდებოდით. ორივე თავდამსხმელმა გუშინ საქართველოს თასის ფინალში ითამაშა.

„ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩმა, რომელიც ახალგაზრდებმა 10 მოიგეს, თვალნათლივ დაგვანახა, რომ ნაკრების თავკაცობას სამომავლო გუნდის ასაშენებლად დიდი გარჯა მოუწევს. მთელი თამაშის განმავლობაში ნაკრების თითოეულ რგოლში უამრავი ხარვეზი შეინიშნებოდა. ყველა ამ ნაკლის სანორვეგიოდ გამოსწორება პრაქტიკულად გამორიცხულია, ამიტომ ახლავე თამამად შეიძლება ითქვას, ახალგაზრდულ ნაკრებს 30 მაისს ოსლოში ურთულესი მატჩი ელის. ადვილი მოსალოდნელია, იგი ჩვენების სასტიკი მარცხით დასრულდეს.

გუშინდელი თამაში ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ლომაია, ქემოკლიძე, საჯაია, აბრამიძე, შაშიაშვილი, კვარაცხელია, მელქაძე, ხიზანეიშვილი, სახვაძე, შავგულიძე, წიტაიშვილი. ხურცილავა ფეხბურთელებს მინდორზე ხშირად უცვლიდა ადგილს და თითოეულს გულდასმით აკვირდებოდა. ახალგაზრდები მთელი 90 წუთის განძილზე თავგამოდებით იბრძოდნენ. მათი მონდომება ვიტელებსაც გადაედოთ და უშელავათო თამაშიც გაჩაღდა. ფეხბურთელები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, რამდენჯერმე ექიმების ჩარევაც გახდა საჭირო, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა, ტრავმა არავის მიუღია. პირველ ნახევარში „ვიტ ჯორჯიას“ კართან სამი სახიფათო მომენტი შეიქმნა და სამჯერვე წიტაიშვილს შეეძლო გატანა, თუმცა მიზანმა უმტყუნა. თამაშიდან ამოვარდნილი ჩანდა მისი მეწყვილე თავდასხმაში ფოთელი ლევან შავგულიძე, რომელიც ახალგაზრდულში პირველად მიიწვიეს. ეტყობა, ამის ბრალიც იყო, რომ ნაკრებელები (რომელთა უმეტესობაც „დინამო 2“-ის წევრები არიან) შავგულიძეს აშკარად ვერ უგებდნენ. პირველ ტაიმში ვიტელებსაც ჰქონდათ საგოლე მომენტები, ერთხელ გიორგი ქორიძემ გაიტანა კიდეც, მაგრამ თანამსაჯმა არარსებული თამაშგარე დააფიქსირა.

მეორე ტაიმის საწყისმა ათმა წუთმა თვალნათლივ გამოაჩინა ნაკრების დაცვაში არსებული ნაკლოვანებები. ამ ხნის განმავლობაში ვიტელებმა ოთხი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნეს. ჯერ ქორიძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, მერე გოჩაშვილი, მაგრამ მიზანს აცილეს. მალე გოჩაშვილმა ძელს გაარტყა ბურთი, ბოლოს კი მანვე კარიდან ორიოდე მეტრში აცილა ბურთს ფეხი. დაცვაში მდგომარეობა რეზო ქემოკლიძის მინდორზე დაბრუნებამ გამოასწორა, რომელიც ხურცილავამ პირველი ნახევრის შემდეგ შეცვალა. ერთადერთი გოლი კი ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ლევან მელქაძემ გაიტანა. 63-ე წუთზე მის მოჭრილ დარტყმას ჭურაძემ თვალიდა გააყოლა. თამაშის შემდეგ ხურცილავა შეგირდებით მაინდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა, გვითხრა კიდეც, ასეთი თამაშით ფონს გასვლა ძალიან გაგვიჭირდებაო.

ახალგაზრდული ნაკრები ნორვეგიაში გამგზავრებამდე ერთხელ კიდევ ივარჯიშებს. თავიდან ორჯერადი წვრთნა იყო დაგეგმილი, მაგრამ ხურცილავამ, ბიჭები გადაღლილები მეჩვენაო და ერთს დასჯერდა.

ვანო ოძრობირიძე

ბავშვი ნახო...

რუსთავში ფეხბურთი და რაბბი წაჰვიდნენ

ქართული ფეხბურთის შემყურეთ პრობლემებს რა გამოლევს. ძნელია, ერთი ხელის მოსმით ჩემპიონატის დონე ავამაღლოთ, ან ნაკრები უკეთ ავათამაშოთ, თუნდაც ბავშვთა ფეხბურთისადმი დამახინჯებული დამოკიდებულება უცებ შევცვალოთ. ერთი სიტყვით, მთლიანი საფეხბურთო მექანიზმი მოშლილი გვაქვს და ამის გამოსწორებას სწორი მიდგომა და გარკვეული დრო სჭირდება. მაგრამ ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ ბევრჯერ ხელოვნურად ვქმნით პრობლემებს. ამის მაგალითი ბევრია. საბოლოოდ კი გამოდის, რომ ეს პატარ-პატარა, განგებ პრობლემად ქცეული ნიუანსები მთლიანობაში ისევ და ისევ ქართულ ფეხბურთს ესობა შხამიან ნესტრად.

ზუსტად შარშან, რუსთავში, სამშენებლო ტრესტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ლევან დუგლაძემ ჭყონდიდელის დასახლებაში არსებული საფეხბურთო მინდორი, რომელსაც „ინტერნატის“ სახელით უფრო იცნობენ („ინტერნატი“ სწორედ ამ ორგანიზაციის დაქვემდებარებაშია) ოთხწლიანი არენდით გადასცა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ხალიბს“. სკოლამ სეზონის დაწყებამდე თავისი ინიციატივით მოაწესრიგა მოედნის მიმდებარე ტერიტორია, თავად მოედანი, შეიძინა სპეციალური 120 მმ-იანი დიამეტრის ძელები და მინდორზე კარები აღმართა. სკოლის ხელმძღვანელობა არენას რუდუნებით ეკლებოდა თავს. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მასზე საფეხბურთო სკოლა „ხალიბის“ ოთხი სხვადასხვა ასაკის გუნდი გივი ჩოხელის სახელობის თასის გათამაშების საშინაო მატჩებს ატარებდა, იქვე თამაშობდა საქართველოს ჩემპიონის მეორე ჯგუფში მონაწილე „ხალიბიც“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საფეხბურთო სკოლისთვის გამოყოფილი „ფოლადის“ სათადარიგო მოედანი, უფრო სწორად, მიწის მთები, უკვე მესამე წალია, მადლიან ხელს ელოდება, ნათელი გახდება, თუ რამდენს ნიშნავდა ჭყონდიდელის დასახლებაში მდებარე მოედანი „ხალიბისთვის“. მოკლედ, „ხალიბი“ „ინტერნატზე“ გამაგრდა და ყველაფერი მშვიდად მიდიოდა. მოვლენების მკვეთრი ცვლა ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებას დაემთხვა, რადგან ამ დროისთვის რუსთაველებმა კიდევ ერთ სასიკეთო საქმეს ჩაუყარეს საფუძველი და ქალაქის რაგბის გუნდი ააღორძინეს. პრობლემაც აქედან დაიწყო.

მურმან გოგოლაძე, „ხალიბის“ მწვრთნელი: „ერთ დღეს ჭყონდიდელის დასახლებაში მისულთ შემზარავი სურათი დაგვიხვდა. ჩვენი წვალებით შემენილი საფეხბურთო კარები გადაეჭრათ. მათ ადგილზე კი რაგბის ძელები აღმართულიყო. მორაგბეები — ეს — ჩვენთან შეუთანხმებლად გააკეთეს. მაშინვე დავუკავშირდით ლევან დუგლაძეს. ისიც აღშფოთდა, საქმის კურსში ქალაქის ხელმძღვანელობა ჩააყენა და საბოლოოდ გვთხოვეს, რაგბისტებთან კომპრომისისთვის მიგვეღწია. რაგბის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და ჩვენც თანახმა ვიყავით, რომ ეს მოედანი როგორმე გაგვყო და მისით მონაცვლეობით გვესარგებლა, მაგრამ...

გივი ჩოხელის თასზე ჩვენი სკოლის ბავშვები ხაშურის „ივერიას“ ხვდებოდნენ. წვიმდა და მოედნის სადარაჯოდ მეორე მწვრთნელი დავტოვე. რაგბისტებმა მის თხოვნას ყური არ უგდეს და სავარჯიშოდ შესულებმა მოედანი საშინელ დღეში ჩაგდეს. მსაჯი შეხვედრის ჩაშლით დაგვემუქრა, მაგრამ სტუმრებმა გვიშველეს და ატალახებულ მინდორზე მაინც გვეთამაშნენ. მაშინ გადავრჩით, სამაგიეროდ, ჩაგვშალა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფის კალენდარული მატჩი — „ხალიბს“ „ყვარელისთვის“ უნდა ემასპინძლა! მაშინაც წვიმდა. სამი საათით ადრე რაგბისტებმა ისევ ივარჯიშეს „ინტერნატზე“. მსაჯმა წალეკილ მოედანზე თამაშის ჩატარება არ ინება, გარდაბანშიც ვერ ჩავუსწარით შეხვედრას და სავალალო შედეგი მივიღეთ“.

მოკლედ, რაგბისტებისა და ფეხბურთელების შეთანხმებას საშველი არ დაადგა. მერე რაგბის ძელებიც გადაიჭრა „ინტერნატზე“. ძელების მიჭრა-მოჭრით კი, აბა, პრობლემა როგორ უნდა მოგვარებულიყო. დღეს „ხალიბი“ უკვე ჯიქურ ითხოვს კუთვნილ მოედანს.

მურმან გოგოლაძე: „ქალაქის ხელმძღვანელობა, ვიცე-მერი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, ყველა ჩვენ გვიჭერს მხარს. ბოლოს და ბოლოს, კუთვნილის დაბრუნებას ვითხოვთ, მაგრამ არიან ქალაქის საკრებულოში პიროვნებები, რომლებიც რაგბისტებს მფარველობენ და სიტუაციას განზრახ ძაბავენ. კი, ბატონო, უნდა იყოს ქალაქში რაგბი, მაგრამ კეთილი ინებონ და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სხვაგან მოძებნონ“.

არ არის ხელოვნურად შექმნილი პრობლემა? თავის დროზე რომ ორივე მხარე შეთანხმებულიყო, საქმე აქამდე არ მივიდოდა. ბუნებრივია, საბოლოო სიტყვა ქალაქის ხელმძღვანელობამაც უნდა თქვას, თორემ რა გამოდის. 700 სპორტსმენის მომავალი სასწორზე ძევს. სწორედ ამდენ მოზარდს და ახალგაზრდას აერთიანებს საფეხბურთო კლუბი „ხალიბი“. თავის მხრივ, რა თქმა უნდა, ახალაღორძინებული სარაგბო კლუბიც მოსაგელი და შესანარჩუნებელია, ოღონდ არა „ხალიბის“ ხარჯზე.

პაატა კვანტალიანი

დახმარება სტამბოლიდან

რუსთავის „გორდას“ ამბავი „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება. უფულობით გაწამებულმა კლუბმა თავს აჯობა, ჩემპიონატის დასრულება შეძლო, თანაც ისე, რომ უმთავრეს მიზანს მიაღწია — რჩეულთა შორის ადგილი შეინარჩუნა.

ახალი ჩემიონატიდან შესაძლოა რუსთაველთა წვალებას ბოლო მოელოს, ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ კლუბის საკეთილდღეოდ მართლაც დიდი ნაბიჯი გადადგა.

რუსთავში არის საკოლმეურნეო ბაზარი, რომელიც ქალაქში „სტამბოლის ბაზრის“ სახელითაა ცნობილი. ჰოდა, ქალაქის მესვეურთაც დაუკანონებიათ, ამ ბაზრის მოგების 40 პროცენტი კლუბს მიეცესო. კლუბის პრეზიდენტის, ვალერი ქოქიაშვილის თქმით, ქალაქის მერიის ეს დადგენილება პირველი ივნისიდან ამოქმედდება.

ასე რომ, „გორდას“ მომავალი ივნისიდან „სტამბოლის“ ბაზრის ქმედითობაზეა დამოკიდებული.

პაატა კვანტალიანი

ემზარ შონიას ყირგიზეთში გააქვს

ყირგიზეთის ჩემპიონატის მეოთხე ტურში უჩვეულო სახელწოდების „ჟაშტიკ აკ ალტინმა“ 6:1 მოუგო „ენერგეტიკს“. თამაშმა ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ პირველი ორი გოლი სტუმართა კარში ქართველმა ლეგიონერმა ემზარ შონიამ გაიტანა. მეხუთე ტურში შონიას გუნდს ცენტრალური მატჩი ჰქონდა „ცაგ დინამოსთან“ და 0:2 წააგო. ახლა ლიდერ „ცაგს“ 15 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ „ჟაშტიკ აკ ალტინს“ 3 ქულით უსწრებს.

სიმონ მენაბდე

ვივა, კოვერჩანო!

რა ვქნათ, ასეა. თანამედროვე ქართველი მწვრთნელის ფენომენი დღეს ბევრში უსიამოვნო განცდებს იწვევს. ნებისმიერ სფეროში პროფესიონალიზმი კარგი შედეგებით ისაზღვრება. ალალად ვთქვათ, ქართველ მწვრთნელთა ნაღვაწს დღეს სიტყვა „კარგით" ვერაფრით შეაფასებ. კი, ბატონო, არიან გამონაკლისებიც, რომელთა კვალიფიკაციაც ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია, (ჩვენს პირობებში, რა თქმა უნდა), მაგრამ ისინი (ერთეულები) მრავალთა უნიათობაში იმდენად ითქვიფებიან, რომ საერთო სურათი სასიკეთო ნამდვილად არ არის.

საქართველოში არ არსებობს მწვრთნელთა სკოლა და ეს ბუნებრივიცაა. ასეთი სკოლა რომ იყოს, იქ კვალიფიციური მასწავლებელიცაა საჭირო. იმას თუ გავიხსენებთ, რომ ასეთი პედაგოგები ჩვენში თითქმის არ არიან, გაჭირვებულად უცხოელ სპეციალისტთა მოწვევა რჩება. ეს პროცესი გვარიან თანხებს უკავშირდება, ფული და ქართული ფეხბურთი კი დღეს შეუთავსებელი ცნებებია. ისევ ეს თუ გვიშველის — ქართველ მწვრთნელთა მოკლევადიანი (საოცრად მოკლევადიანი) ვიზიტები უცხოეთში.

სულ ახლახან ქართველ მწვრთნელთა 14-კაციანი ჯგუფი ფედერაციის ხელშეწყობით იტალიას, ცნობილ კოვერჩანოს ბაზას ეწვია. დაბრუნებისთანავე კი სამმა მათგანმა სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ოთხიოდე ჟურნალისტისთვის პრესკონფერენცია გამართა. სანამ კოვერჩანომოვლილებს მოვუსმენდეთ, ერთს ვიტყვით. სიმართლე გითხრათ, ერთკვირიანი სტაჟირების (სწორედ ამდენ ხანს იყვნენ იტალიაში ქართველები), სადაც უნდა იყოს იგი, მაინცდამაინც არ მწამს. ბოლოს და ბოლოს, რამდენის სწავლა უნდა მოასწროს კაცმა ერთ კვირაში (თუნდაც ორში), მაგრამ ჯონი ჯანელიძის, ოთარ კორღალიძის და გოჩა ავსაჯანიშვილის შემხედვარემ (სწორედ ეს სამეული შეყრილიყო საპრესკონფერენციოდ) აზრი შევიცვალე.

ჯონი ჯანელიძე: „თავდაპირველად რომში ჩავედით, იქიდან კი კოვერჩანოში ავტობუსით წაგვიყვანეს. დავათვალიერეთ საუცხოო სპორტული ბაზა, შესანიშნავი მოედნები, დამხმარე მოედნები. თუ გინდა, რომ კარგი ფეხბურთი გქონდეს, ჯერ მოედანზე უნდა იზრუნო. ასეა, ცუდ მინდორზე კარგ ფეხბურთელს ვერ გაზრდი. ჩვენ იქაური, საუცხოო სპეციალისტები — ფერარი და მარელა გვმასპინძლობდნენ. ისინი ძირითადად ორი სახის ლექციებს გვიკითხავდნენ. ერთს სპეციფიკურ დარგში, რაც გუნდის ორგანიზების, ტექნიკურ-ტაქტიკური ვარიანტების შემუშავებას მოიცავს და მეორეს — ფეხბურთელების ფიზიკურად მომზადების დინამიკაში. ამასთან ერთად ეწყობოდა პრაქტიკული ჩვენებები. მოედანზე თერთმეტი ჩვენგანი გადიოდა და ფერარი თანამედროვე ტაქტიკური სისტემის სხვადასხვა ვარიანტს გვიჩვენებდა. ძირითადი ყურადღება ერთ ხაზზე თამაშს ექცეოდა. შეძლებისდაგვარად აგიხსნით, თუ რა სიკეთე მოაქვს ხაზზე თამაშს. ამ შემთხვევაში ჩვენ ერთი კაცის უპირატესობას ვიღებთ ან შუა, ან წინა ხაზში, რადგან თავისუფალი მცველი მოხსნილია. აგრეთვე გვიხსნიდნენ, თუ რა ტაქტიკით თამაშობდნენ წამყვანი იტალიური კლუბები და მათთან ერთად ბევრს ვმსჯელობდით ამ ტაქტიკის ავკარგიანობაზე. ასევე ვსწავლობდით სხვადასხვა ტესტირებას. იყო ორი ტესტი: ერთს აპარატურის დახმარებით ადგენდნენ, მეორე კი ჩვენს პირობებშიც ადვილი გასაკეთებელია. ჩვენთან გამძლეობის გამოსავლენად მიმართავენ კუპერის ტესტს (3200 მეტრის გარბენა 12 წუთში — ჰ.კ.). იტალიაში ეს ტესტი მოძველებულად ითვლება და მას არავინ იყენებს".

გოჩა ავსაჯანიშვილი: „ჩვენთან ფეხბურთელის მოსამზადებლად ხშირად მიმართავენ მძლეოსნურ ხერხებს. მაგალითად, მეტრნახევრიანი ბარიერების დაძლევა ჩვენში სისწრაფის მომატების საუკეთესო საშუალებად ითვლება. კოვერჩანოს შემდეგ, გარწმუნებთ, არასდროს გამოვიყენებ მეტრნახევრიან ბარიერს. მასპინძლებმა მაგალითები მოიშველიეს იმის დასამტკიცებლად, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ფეხბურთელი მძლეოსანივით გაისარჯოს. მაღალ ბარიერზე მუშაობისას მძლეოსნის კუნთები სხვაგვარად ვითარდება, რაც ფეხბურთელს სულაც არ სჭირდება. მან რომ სისწრაფეს უმატოს, თურმე პატარა, 20-სანტიმეტრიანი ბარიერი უფრო უპრიანია. თითქოს პატარა ნიუანსია, მაგრამ მოზარდის სწორი მომზადებისთვის უთუოდ დიდ როლს თამაშობს".

ჯონი ჯანელიძე: სწავლა სიკვდილამდეო

ოთარ კორღალიძის: „ჩამოვიტანეთ მარელას და ფერარის მიერ გამოშვებული წიგნები, სადაც დაწვრილებითაა განხილული ყველა სამწვრთნელო ნიუანსი. კარგი იქნება, თუ ამ წიგნებს ქართულად ვთარგმნით და გუნდებში გავავრცელებთ, რადგან ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს. აგრეთვე ჩამოვიტანეთ ვიდეომასალა. იქნებ იგი ჩვენმა მწვრთნელებმაც ნახონ, რადგან აქედანაც ბევრის სწავლა შეიძლება.

იცით, რომ „დინამოში" ბოსკამპის გვერდით მიწევს მუშაობა. ეს კაცი კი ხაზზე თამაშს არჩევს. ბუნებრივია, კოვერჩანოში ამ ფაქტორის უკეთ შესწავლა მსურდა და სიმართლე გითხრათ, დავრწმუნდი ხაზზე თამაშის უპირატესობაში. აქ უამრავი საშუალება არსებობს ვარირებისთვის. მართალი იყო ტრაპატონი. მან რამდენჯერმე გაიმეორა, ხაზზე თამაშის დროს მთელი მოქმედება ავტომატური უნდა იყოსო. მესმის, რომ ამ სისტემის გადმონერგვა ჩვენი ფეხბურთისთვის შესაძლოა მტკივნეული იყოს, მაგრამ, მჯერა, ამასაც ავითვისებთ. იგივე მომენტი იყო მაშინაც, როცა 4-4-2 სქემით თამაში დაინერგა, ყველაფრისთვის დრო და სწავლაა საჭირო.

ჩვენ მიახლოებით ვაკეთებთ ყველაფერს. ვიწყებთ მოსამზადებელ პერიოდს და ვამბობთ, ან სწორია ყოველივე, ან არა. მოკლედ, მიმართულება არა გვაქვს და ამიტომაც მიდის ჩვენი ჩემპიონატი ასე ჭრიჭინით. ჩემს მაგალითზე გეტყვით, პირველი წრის შემდეგ, როდესაც „არსენალში" ვმუშაობდი, გუნდი მოსამზადებლად ურეკში წავიყვანე. გაგონილი მქონდა, რომ პლაჟის სილა კუნთებს ამაგრებსო. კოვერჩანოში ფერარის დაველაპარაკეთ პლაჟზე გუნდის მომზადების ავ-კარგიანობაზე და იცით, რა მითხრა? პლაჟზე მომზადება თავისთავად კარგია იმ შემთხვევაში, თუ გუნდი იგივე პროცესს შემდეგ ბალახზეც გაიელის. ამის გარეშე წყლის ნაყვაა ყოველივეო. ამის შესახებ საქართველოში ალბათ ვერასდროს გავიგებდი.

ჯონი ჯანელიძე: „ძალიან კარგი იყო ჩვენი გამგზავრება კოვერჩანოში, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ვფიქრობ, ამგვარ სემინარებს სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს. ჩვენს ფეხბურთში ვისაც მოუნდება, ყველა მწვრთნელია. გადახედეთ რა მდგომარეობაშია ჩვენი პირველი ლიგა, მეორეზე აღარაფერს ვამბობ. გასასამართლებელ საბუთად პირობებს ვიმიზეზებთ, მაგრამ მაინც ხომ შეიძლება გუნდმა უკეთესი შედეგი აჩვენოს, თუ კარგი მწვრთნელი ეყოლება. როდესაც მწვრთნელი უმაღლეს ლიგაში ინიშნება, საჭიროა, ჰქონდეს მას შესაბამისი განათლება, თორემ ასე ფეხბურთი გვიბინძურდება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენთან დაინერგოს მწვრთნელთა ინტერესების დაცვის კომიტეტი, ფედერაციამ უნდა აკონტროლოს ეს საქმე, ისე კი რა გამოდის, თავადაც ხედავთ. საკის და კაპელოს არ ვედრები, მაგრამ მიუხედავად უმუშევრობისა, არხეინად არიან. ისინი კომიტეტიდან ხელფასს იღებენ და კარგ წინადადებებს ელიან. მე კი ათი წელი რომ მწვრთნელად ვიმუშავებ (მერე რა რომ საქართველოში) და შემდეგ დროებით უმუშევარი დავრჩები, ლუდი და ბენზინი კი არ უნდა გავყიდო, არამედ ჩემი ცოდნა ისევ ფეხბურთს უნდა მოვახმარო. სამწუხაროდ, დღეს ჩვენში გუნდის ფულიან მეპატრონეებს ურჩევნიათ უცოდინარი მწვრთნელების აყვანა, რადგან მცოდნესაგან განსხვავებით, ის უსიტყვოდ მორჩილია. შედეგიც სახეზე გვაქვს. ყველაფრის კონტროლია საჭირო..."

იგრძენით კოვერჩანოს ძალა? ვერაფერს იტყვი, ფედერაციამ მართლაც კარგი საქმე წამოიწყო. იმედია, ამ წამოწყებას გაგრძელებაც მოჰყვება, მით უმეტეს, პირველიდან თორმეტ აგვისტომდე ჰოლანდიაში მწვრთნელთა აკადემიის კურსები ეწყობა და ქართველთა მივლინება იქაც გადაწყვეტილი ყოფილა. რჩეულნი, რა თქმა უნდა, ფედერაციის ხარჯებით წავლენ, დანარჩენ მწვრთნელებს კი, სურვილის შემთხვევაში, საკუთარი თანხებით შეეძლებათ ჰოლანდიაში წასვლა.

პაატა ძვანტალიანი

მეორე ჯგუფი

დასავლეთი. „ა" ქვეჯგუფი

XXVI ტური

22 მაისი

საირმე 2:5 სულორი

0:1 ბუხაიძე (21), 0:2 კორძაძე (25), 0:3 თ. დვალიშვილი (36), 0:4 კორძაძე (59), 1:4 ნერგაძე (60), 2:4 გურგენიძე (61), 2:5 კაპატაძე (86)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ტორპედო 2 4:2 რაჭა

1:0 ფუტკარაძე (12), 2:0 კვერნაძე (28), 3:0 ბოდოკია (30პ), 3:1 ბეშიძე (67), 4:1 ბოდოკია (81პ), 4:2 ვაჩაძე (90)
გაფრთხილება: ფუტკარაძე, კვერნაძე (ორივე ტორპედო 2), მიქიაშვილი, ჩიჩხაშვილი, დ. პაპიძე (ყველა რაჭა)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

გაგრა 2:0 იბერია 2

1:0 რცხილაძე (47), 2:0 ი. ჩხეტიანი (77)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

მარგვეთი 0:0 რიონი

გაფრთხილება: აბუთიძე (რიონი)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

მეშახტე 1:0 სამგურალი 2

1:0 ხელაძე (37)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

მაღაროელი 2:2 ჩიხურა

0:1 პაპიჯანოვი (32), 1:1 მენაბდიშვილი (60), 2:1 ა. ასათიანი (70), 2:2 პაპიჯანოვი (85)
გაფრთხილება: მენაბდიშვილი (მაღაროელი), თ. სამხარაძე (ჩიხურა)
გაძევება: თ. სამხარაძე (80, ჩიხურა), ვეშაპიძე (88, მაღაროელი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

საბოლოო ცხრილი

სულორი	24	20	4	0	76:21	64
მარგვეთი	24	18	4	2	78:24	58
მეშახტე	24	15	1	8	56:40	46
ოკეანე	24	14	3	7	38:32	45
გაგრა (-3)	24	14	3	7	49:28	42
სამგურალი 2	24	11	4	9	40:42	37
რიონი	24	9	5	10	30:31	32
რაჭა	24	9	3	12	50:50	30
ტორპედო 2	24	8	5	11	32:34	29
იბერია 2	24	6	4	14	41:52	22
საირმე (-3)	24	5	2	17	24:50	14
ჩიხურა (-3)	24	2	4	18	30:90	7
მაღაროელი (-3)	24	1	4	19	25:81	4

XXIV ტურის მატჩში მაღაროელი — სამგურალი 2 ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

„ბ" ქვეჯგუფი

XXVI ტური

22 მაისი

სამეგრელო 0:2 შუქურა

0:1 ჯიჯავაძე (85), 0:2 კაკალაძე (90)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

ფაზისი 3:1 ოდიში 2

0:1 ვაზგანავა (43), 1:1, 2:1 ი. მაკალათია (49, 52), 3:1 კვირკველია (82)
გაფრთხილება: ხურციძე (ფაზისი)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

მერცხალი 0:4 კოლეჯი

0:1, 0:2 ი. ბახტაძე (3, 32), 0:3 კობიძე (43), 0:4 ი. ბახტაძე (72)
გაფრთხილება: კობიძე (კოლეჯი)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

კოლხეთი 4:0 ბახმარო

1:0 ქაშიბაძე (8), 2:0 ლ. გვაზავა (13), 3:0 ზ. აიანადი (75), 4:0 ონიანი (88)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

სქური 3:0 სალხინო

„სალხინო" არ გამოცხადდა

ენგური 4:0 კოლხეთი 2

საბოლოო ცხრილი

კოლხეთი	24	18	2	4	71:21	56
კოლეჯი	24	14	5	5	49:22	47
შუქურა	24	14	3	7	51:30	45
ფაზისი	24	14	2	8	53:34	44
სქური	24	13	2	9	49:47	41
ენგური	24	12	5	7	51:37	41
ოდიში 2	24	10	6	8	39:30	36
მერცხალი	24	9	2	13	35:45	29
ბახმარო	24	8	4	12	23:37	28
ეგრისი	24	7	5	12	27:47	26
კოლხეთი 2	24	7	4	13	22:48	25
სამეგრელო	24	5	4	15	28:47	19
სალხინო	24	3	0	21	36:89	9

აღმოსავლეთი. „ა" ქვეჯგუფი

XXV ტური

23 მაისი

უნივერსიტეტი იბერია II ზოოვეტი

1:0 ოდიკაძე (41), 1:1 ზაკუტაშვილი (58)

24 მაისი

ალაზანი 2:4 ხალიბი

0:1 რაზმაძე (19), 1:1 ყიზილაშვილი (31), 2:1 ბაწაშვილი (70), 2:2 რაზმაძე (77), 2:3 ა. ლურსმანაშვილი (80), 2:4 ზაზაშვილი (89)
გაფრთხილება: კუპრაშვილი (ალაზანი), დ. წიკლაური, ა. ლურსმანაშვილი (ორივე ხალიბი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

ყვარელი 2:1 ძანაგკო

1:0, 2:0 ბუტლაშვილი (47, 57), 2:1 ქენქაძე (67)
გაფრთხილება: სომხიშვილი, ხაჩიშვილი (ორივე ყვარელი), ზ. გოგოჭური (ქანაგკო)
გაძევება: ხაჩიშვილი (87, ყვარელი)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

არსენალი 2 3:1 ჭაბუკიანი

1:0 ეგაძე (30), 2:0 რობაქიძე (60), 2:1 მერებაშვილი (73), 3:1 გ. გოცირიძე (89)
გაფრთხილება: რობაქიძე, მანწკავა (ორივე არსენალი 2), უ. მეტრეველი, გიგიაშვილი (ორივე ჭაბუკიანი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

სამგორი 2:2 მრეტები

0:1 მჭედლიშვილი (53), 1:1 ცანკაშვილი (56), 2:1 მხეიძე (58), 2:2 მ. ამაშუკელი (68)
გაფრთხილება: ცანკაშვილი, სპანდერაშვილი (ორივე სამგორი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

აკადემია 0:0 კახეთი

გაფრთხილება: მ. ვაშაკიძე, დ. ბახტაძე (ორივე აკადემია), კობაიძე, ძამუნაშვილი (ორივე კახეთი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

დინამო 3 0:3 ღარწყალი

„დინამო 3" არ გამოცხადდა

საბოლოო ცხრილი

ღარწყალი	28	23	5	0	88:16	74
აკადემია	28	23	3	2	65:10	72
ყვარელი	28	17	5	6	46:22	56
არსენალი 2	28	17	3	8	48:25	54
ჭაბუკიანი (-3)	28	16	4	8	51:30	49
კახეთი	28	14	7	7	63:33	49
ხალიბი	28	15	2	11	47:34	47
დინამო 3	28	12	3	13	43:42	39
ზოოვეტი	28	10	8	10	47:45	38
უნივერსიტეტი იბერია	28	8	5	15	25:38	29
ალგეთი	28	7	1	20	28:64	22
ალაზანი	28	6	2	20	32:69	20
სამგორი	28	5	4	19	34:80	19
მრეტები	28	5	3	20	28:58	18
ქანაგკო (-3)	28	3	3	22	20:99	9

„ბ" ქვეჯგუფი

XXIII ტურის მატჩი

22 მაისი

დინამო 2 4:2 ლოკომოტივი 2

1:0 ი. შენგელია (7), 2:0 გ. მიქაძე (30), 3:0 საჯაია (35), 3:1 სოსელია (56), 4:1 გივი კვარაცხელია (61), 4:2 გ. ჯანელიძე (70)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

XXVI ტური

24 მაისი

მესხეთი 2:2 ვარძია

1:0 მარღანია (37), 1:1 ლეკიშვილი (48), 2:1 სუდაძე (55), 2:2 კოხრეიძე (80)
გაფრთხილება: სოღოიანი (ვარძია)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

დილა 2 0:2 დინამო 2

0:1 გ. მიქაძე (43), 0:2 რ. გოცირიძე (79)
გაფრთხილება: კარელიძე (დილა 2), დ. სტურუა, გ. მიქაძე (ორივე დინამო 2)
მსაჯი: ვ. ელოევი (ცხინვალი)

ცხინვალი 5:0 განთიადი

1:0 მოსიაშვილი (6), 2:0, 3:0 ბოჭორაძე (20, 26), 4:0 ჩაჩიბაია (50), 5:0 წიქარიძე (59)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

იბერია 0:4 საუ

0:1 მაჭარაშვილი (4), 0:2, 0:3 თალაკვაძე (22, 78), 0:4 ელბაქიძე (86)
გაფრთხილება: ჯინჯიხაშვილი (იბერია)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ივერია 0:2 ცხუმი

0:1 ჭანტურიძე (49), 0:2 გ. მუშკუდიანი (52)
გაფრთხილება: გ. ლომინაძე, ა. ხმალაძე, პ. მელაძე (ყველა ივერია), კაკაბაძე, ჭანტურიძე (ორივე ცხუმი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

ლოკომოტივი 2 3:0 ჟინერი

ქარელი 0:3 თორი

საბოლოო ცხრილი

დინამო 2	26	24	0	2	79:17	72
ცხინვალი (-3)	26	21	2	3	73:15	62
ლოკომოტივი 2	26	17	3	6	66:38	54
ქარელი	26	15	4	7	49:25	49
ივერია	26	13	6	7	58:38	45
ცხუმი	26	13	4	9	49:33	43
საუ	26	10	5	11	50:44	35
განთიადი	26	10	5	11	40:47	35
თორი	26	9	2	15	36:42	29
მესხეთი	26	8	5	13	39:51	29
იბერია	26	8	1	17	49:64	25
ვარძია	26	5	4	17	22:68	19
დილა 2	26	5	3	18	28:62	18
ჟინვალი	26	1	2	23	18:112	5

შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვთ სამი ქულა

უეფას სხდომაზე

ბარსელონაში უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა.

ევროპის ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო:

უეფას წარმომადგენელმა ფრიც ალსტრიომმა განაცხადა, რომ უეფას თასის მომავალ გათამაშებაში შოტლანდიას სავარაუდოდ ერთი ადგილი დაემატება, ვინაიდან ეს ქვეყანა სამართლიანი თამაშის პრიზის რეალური კანდიდატია. საბოლოოდ ყველაფერი 1 ივნისს გადაწყდება. თუ უეფამ შოტლანდიას ერთი ადგილი კიდევ გამოუყო, მაშინ თასის გათამაშებაში „კილმარნოკი" ჩაერთვება. უეფას თასზე ერთი ადგილის მოპოვების შანსი კიდევ ორ ქვეყანას აქვს, თუმც რვა კანდიდატია — ინგლისი, ნორვეგია, უკრაინა, ფინეთი, ესტონეთი, დანია, შვედეთი და გერმანია. მათი საკითხი 9 ივნისს გაირკვევა.

უეფასავე გადაწყვეტილებით, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული კლუბი გაისად, წლის დასაწყისში ითამაშებს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში, რომელიც სავარაუდოდ ბრაზილიაში გაიმართება 5-14 იანვარს.

ასევე გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ირლანდიასა და იუგოსლავიას შორის 5 ივნისს შედგება დუბლინში, როგორც დაგეგმილი იყო.

უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა ასევე განაცხადა, რომ სპონსორთა დახმარებით ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში დამატებით 531 მილიონი დოლარი დაბანდდება.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ინიციატივით დაარსდა ვაი-გულშემატკივრებისგან დაზარალებულთა ფონდი, რომელსაც გერმანელთა ინიციატივით დანიელ ნიველის სახელი ეწოდა. ალბათ გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონატისას გერმანელმა ვაი-ქომაგებმა ფრანგი პოლიციელი დანიელ ნიველი სასტიკად სცემეს. გერმანიის ფეხბურთის კავშირმა ფონდში პირველმა შეიტანა 270 ათასი დოლარი. 100-100 ათასი დოლარი გაიღო უეფამ და ფიფამ, საფრანგეთის საფეხბურთო ფედერაციამ კი 50 ათასი.

ტრაგედიის გამოძახილი

შაბათს ისტორიული ამბავი მოხდა: ირლანდიის და ჩრდილო ირლანდიის ნაკრებები პირველ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. ეს მოულოდნელი მატჩი ნაღმსაწინააღმდეგო ფონდის თაოსნობით ეწყობა. მსხვერპლთა დასახმარებლად ორივე ქვეყანა შემართულია.

გასული წლის აგვისტოში, ომაფის პატარა ქალაქ ქაუნთი ტირონში, მანქანაში ჩადებული ნაღმის აფეთქებამ ოცდაცხრა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ამ საშინელებას თუკი რაიმე დადებითი შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ხსენებული მატჩია. დღეს ბევრი იხსენებს, რომ ირლანდიისა და ჩრდილო ირლანდიის ოფიციალურ შეხვედრებში, მეტადრე 90-იან წლებში, ტრიბუნაზე მუდამ მტრობა სუფევდა.

იმხანად ირლანდიის ნაკრებს ჯეკი ჩარლტონი ედგა სათავეში, რომელსაც ბელფასტური ვიზიტებიდან საგანგებოდ 1993 წლისა ახსოვს.

„იმ ხალხს, ვინც 1993 წელს მსოფლიოს ჩემპიონ რუნა ტრიბუნისკენ გული. ისინი ირლანდიელთა სიწრფელეს მთელ მსოფლიოს აჩვენებენ".

შაბათს ჩრდილო ირლანდიის ნაკრებს კაპიტნად იან დაუი გაუძღვება. საქმე ის გახლავთ, რომ ნამდვილ კაპიტანს სტივ ლომასს ცოლი მოჰყავს და სანტა ლუჩიაშია. დაუი ამბობს: „უდიდესი მომენტის წინაშე ვდგავართ. თამაშის დაწყებამდე წასულების ხსოვნას პატივს წუთიერი დუმილით მიაგებენ და ეს, ეჭვი არაა, მთელ საზოგადოებრიობას ერთ მუშტად შეკრავს. ცხადია, მათ, ვინც ახლობლები დაკარგა, გულს ველარაფერი დაუმეტს. ბევრიც უბრალოდ შეშინებულია, მაგრამ „ლენსდაუნ როუდის" ტრიბუნები 30 ათას მაყურებელს მაინც ელის.

არც სპორტული ჟინი აკლდება თამაშს. ირლანდიელთა მწვრთნელი, მიკ მაკართი ამბობს, რომ ივნისში, ევრო 2000-ის შესარჩევი ორი მატჩის (იუგოსლავიისა და მაკედონიის წინააღმდეგ) წინ მის გუნდს გამარჯვებით გულის გამაგრება სჭირდება.

შედარებით მოკრძალებულად გახლავთ ჩრდილო ირლანდიელთა თავკაცის ლოური მაკმენემის საქმე, რომლის გუნდსაც ინგლისური ლიგების პლეი-ოფთა გამო კარგა ბლომად ფეხბურთელები აკლდება. არადა, მაკმენემის წყალი აქვს შემდგარი — კანადასთან 1:1 მისთვის ჯერ არ უპატიებიათ.

სოლიდარობის გრძნობით აღვსილმა „მანჩესტერ იუნაიტედმა", „ჩელსიმ" და „ლივერპულმაც" ყაბული თქვეს ირლანდიაში საქველმოქმედო მატჩების გამართვაზე. „ჩელსი" ივლისში ეწვევა იქაურობას, „იუნაიტედი" აგვისტოში, ხოლო „ლივერპული" სექტემბერში. მათი მეტოქე ერთი და იგივე გუნდი, „ომაფ თაუნი" იქნება, რომელიც ამ სეზონში უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა.

ჯოელ ტაგარტი, როიტერი

პანოვმა მოსკოვს ცრემლები ადინა

REUTERS მოსკოვიდან

დინამოელი მაქსიმ რომაშჩენკო (მარჯვნივ) ზენიტელ ალექსანდრ პანოვს ებრძვის

სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" 23 წლის თავდამსხმელის ალექსანდრ პანოვის მიერ ორი წუთის შუალედში გატანილმა ორმა ბურთმა მოსკოვის „დინამოს" ევროპაში გასვლის შანსი დაასამარა, ნევისპირელებს კი რუსეთის თასი პირველად მოაგებინა. მართალია, სანკტ პეტერბურგელებმა მესამეც შეაგდეს, მაგრამ გადამწყვეტი სწორედ პანოვის ბურთები აღმოჩნდა.

აქამდე მოსკოვის „დინამო" ექვსჯერ საბჭოთა კავშირის თასს, ერთხელაც (1995) რუსეთის თასს ფლობდა. „ზენიტს" საბჭოეთის ბოლოს თასი 55 წლის წინათ 1944-ში მოეგო, 1984-ში კი ამ გუნდების სათასო ფინალი მოსკოველებმა გაზაევისა და ბოროდიუკის გოლებით 2:0 მოიგეს.

გუშინდელ ფინალს „ლუჟნიკიზე" 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. საქართველოს თასის ფინალისგან განსხვავებით, ტემპი გაცილებით მაღალი იყო და როცა „დინამოში" თანაქალაქელი „სპარტაკიდან" გადასულმა ნიკოლაი პისარევმა 26-ე წუთზე ანგარიში გახსნა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მასპინძლები უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ. მაგრამ ნევისპირელებს, ეტყობა, მწვრთნელის ანატოლი დავიდოვის შესვენებაზე ნათქვამი სასიკეთოდ წაადგათ და მეორე ტაიმში დინამოელები აშკარად დაჩაგრეს.

მატჩის გმირი კი ალექსანდრ პანოვი გახდა. თავის დროზე ვოლოგდის „დინამოდან" გადაყვანილმა მეგოლემ, რომელიც მხოლოდ 49 კილოგრამს იწონის, 57-ე და 59-ე წუთებზე ორი ეფექტური ბურთი შეუგდო დედაქალაქელებს. ამან პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი. უკრაინელი რომან მაქსიმიუკის მესამე გოლმა (66-ე წუთი) კი სანკტპეტერბურგელთა მონდომებას საბოლოო წერტილი დაუსვა.

დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მოსკოველები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. უხეში თამაშისთვის მცველი ანდრეი ოსტროვსკი გააძევეს.

სანდრო გარეჯელი

შეშლილი დაბრუნდა

რენე იგიტა, უცნაური მეკარე კვლავ ნაკრებშია.

კოლუმბია 29 მაისს, ნიუ იორკში სალვადორს ხვდება და ნაკრების მწვრთნელმა ხესუს ალვარესმა იგიტა გუნდში დაარუნა.

რამდენად მართებული იყო 32 წლის მეკარის მიწვევა, ამაზე თავად ალვარესი შემდეგნაირად პასუხობს:

— მალე სამრეთ ამერიკის ჩემპიონატი დაიწყება, ამხანაგურ თამაშებს კი შემადგენლობის შესარჩევად გამოვიყენებ. იგიტას ქვეყნის პირველ გუნდში კარგა ხანია, არ უთამაშია, მაგრამ, არ გამორიცხავ, „კოპა ამერიკისთვის" იგი გუნდში დავაბრუნო. თუ კარგად ითამაშებს, მისთვის ნაკრების კარი ღია იქნება.

ნაკრებში რენე იგიტა ბოლოს 1997 წლის ოქტომბერში გამოჩნდა. მაშინ ნორვეგიაში კოლუმბიელები მასპინძლებს დაუპირისპირდნენ და ფრედ 0:0 ითამაშეს. თავის მხრივ, იგიტას მანამდე ორი წელი არ ეასპარეზა ეროვნულ გუნდში.

— მესმის, რომ ძლიერი კონკურენტები მყავს, მაგრამ მე ჩემსას დავამტკიცებ. მწვრთნელმა შანსი მომცა და ვეცდები, ივი გამოვიყენო — განაცხადა იგიტამ.

ხესუს ალვარესმა კონკურენციის შესანარჩუნებლად იუგიტას გარდა გუნდის კანდიდატებად გამოცდილი ოსკარ კორდობა და მიგელ კალერაც დატოვა.

...არავისთვისაა ახალი იგიტას უცნაური ქცევები. თუმცა უამრავი შემთხვევიდან ერთს ხშირად გამოარჩევენ. 1990 წლის მერვედფინალში, კამერუნის წინააღმდეგ იგიტამ, თავისი ადგილიდან რამდენიმე ათეული მეტრით წინ რომ გამოსულიყო, ბურთი დაკარგა და მეტოქის ცარიელ კარში გოლის გატანა არ გასჭირვებია. მეორე ამბავი ორიოდ წლის წინ, „უემბლიზე" ინგლისელებთან ამხანაგურ მატჩში მოხდა — ერთ-ერთი მასპინძლის დარტყმული იგიტამ მალაყით მოიგერია, რის შემდეგაც დამკვიდრდა გამოთქმა — „მორიელის" დარტყმა.

ზაჰოვიჩი ვალენსიაში

ბაღრი ჯეთილაძის ფოტო

ზლატკო ზაჰოვიჩი თბილისის აეროპორტში

სლოვენიის ნაკრებისა და პორტუგალიური „პორტუს" თავდამსხმელი, 28 წლის ზლატკო ზაჰოვიჩი მომავალი სეზონიდან ესპანურ „ვალენსიაში" ითამაშებს. საქართველოს ნაკრების მეტოქის საუკეთესო თავდამსხმელმა წლეულს ჩინებულად იასპარეზა „პორტუში", ჩემპიონატში 14 ბურთი გაიტანა და პორტუელებს პირველობის მოპოვებაში დიდად დაეხმარა.

გუშინ „ვალენსიის" წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ზაჰოვიჩში პორტუგალიელებს 5 მილიონი დოლარი გადაუხადეს და სლოვენიელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

პოლონეთი

29-ე ტური. ლეხი — ვიძევი 2:0, სტომილი — რაძიონყოვი 0:0, პოლონია — კატოვიცე 2:0, ზაგლებე — ამიცა 1:0, ოდრა — ლეგია 1:2, პოგონი — ბელხატოვი 1:0, გურნიკი — ვისლა 2:2, ლეს — რუხი 0:0.

ვისლა	29	22	4	3	71:23	70
ლეხი	29	17	3	9	54:32	54
ლეგია	29	15	8	6	38:25	53
ვიძევი	29	17	2	10	45:33	53
პოლონია	29	13	7	9	38:28	46
გურნიკი	29	9	12	8	33:29	39
რაძიონყოვი	29	9	11	9	36:34	38
ზაგლებე	29	9	10	10	40:42	37
სტომილი	29	10	6	13	29:38	36
ლეს	29	8	10	11	34:41	34
ამიცა	29	9	6	17	31:39	33
რუხი	29	8	9	12	21:35	33
პოგონი	29	9	6	14	33:50	33
ოდრა	29	8	7	14	32:40	31
ბელხატოვი	29	7	6	16	25:47	27
კატოვიცე	29	5	7	17	23:47	22

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

III ჯგუფი. ფინეთი - თურქეთი

ფინეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ანტი ნიემი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), იუსი იასკელაინენი (ბოლტონი, ინგლისი); მცველები — სამი ჰიიპია (ლივერპული, ინგლისი), ტომი კაუტონენი (ვასა), ტომი კინუნენი, იუჰა რეინი (გენკი, ბელგია), ტონი კუივასტო (ჰელსინკი), ჰარი იულონენი (ბრანი, ნორვეგია); ნახევარმცველები — იარი ილოლა (ჰელსინკი), იონას კოლკა (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), მიკა ლეჰკოსუო (პერუჯა, იტალია), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), აკი რიიჰილახტი (ვალერენგა, ნორვეგია), სიმო ვალაკარი (მოზერველი, შოტლანდია); თავდამსხმელები — მიკაელ ფორსელი (ჩელსი, ინგლისი), ჯონათან იოჰანსონი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), მიკა მატი პაატელაინენი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)

III ჯგუფი. გერმანია - მოლდოვა

გერმანიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (დორტმუნდი); მცველები — მარკუს ბაბელი, ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰანზა); ნახევარმცველები — მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი), იორგ ჰაინრიხი (ფიორენტინა, იტალია), იენს იერეთისი, მეჰმეთ შოლი, ტომას შტრუნცი (ბაიერნი), კარსტენ რამელოვი (ლევერკუზენი); თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), ჰორსტ ჰელდტი (მიუნხენ 1860), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ოლივერ ნოივილი (ჰანზა), მიხაელ პრეეცი (ჰერტა), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი)

IV ჯგუფი. საფრანგეთი - რუსეთი

რუსეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი, ავსტრია), სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა, პორტუგალია), ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი); მცველები — დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), ევგენი ვარლამოვი (ცსკა), იგორ ჩუგაინოვი, ანდრეი სოლომატინი (ლოკომოტივი), იგორ იანოვსკი (ასტ, საფრანგეთი); ნახევარმცველები — ილია ციმბალარი, ეგორ ტიტოვი, ანდრეი ტიხონოვი, ვიქტორ ბულატოვი (სპარტაკი), იური დროზდოვი, ალექსეი სმერტინი (ლოკომოტივი), ალექსანდრ მოსტოვოი, ვალერი კარპინი (სელტა, ესპანეთი), დმიტრი ხოხლოვი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), დმიტრი ალეინიჩევი (რომა, იტალია); თავდამსხმელები — სერგეი იურანი (სპარტაკი), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი), ალექსანდრ პანოვი (ზენიტი)

VI ჯგუფი. ისრაელი - ავსტრია

ისრაელის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ნირ დავიდოვიჩი (ჰაიფას მაქაბი), ერან ზაინცინგერი (ნეთანიას მაქაბი); მცველები — ოფერ ტალკარი, რან ბენ-შიმონი (ჰაიფას ჰაპოელი), ალონ ხარაზი, არიკ ბენადო (ჰაიფას მაქაბი), ამირ შელაჰი (იერუსალიმის ბეითარი); ნახევარმცველები — იდალ ტანი (თელ ავივის ჰაპოელი), იოსი აბუსისი, იან ტალასნიკოვი (იერუსალიმის ბეითარი), ადორამ კეისი (ჰაიფას მაქაბი), ნაივან გრაები (ჰაიფას ჰაპოელი), ვალიდ ბდირი (ფეთახ თიქვას ჰაპოელი), ტალ ბენინი (ბრეშა, იტალია), ალონ ჰაზანი (უოტფორდი, ინგლისი), ავი ნიმნი (თელ ავისის მაქაბი), ეიალ ბერკოვიჩი (ვესტ ჰემ იუნაიტედი, ინგლისი), ჰაიმ რევივო (სელტა, ესპანეთი); თავდამსხმელები — ალონ მიზრახი (ნიცა, საფრანგეთი), ნირ სივილია, ოფერ შიტრიტი (იერუსალიმის ბეითარი), ავი თიკვა (გრასჰოპერი, შვეიცარია)

IX ჯგუფი. ჩეხეთი - შოტლანდია

შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ნილ სალივანი (უიმბლდონი, ინგლისი), ჯონათან გოულდი (სელტიკი), რობერტ დგლასი (დანდი), ალან მეინი (სენტ ჯონსტონი); მცველები — ტომი ბოიდი (სელტიკი), კოლინ კალდერვუდი (ასტონ ვილა, ინგლისი), კელუმ დავიდსონი (ბლეკბერნ როვერსი, ინგლისი), მეტ ელიოტი (ლესტერი, ინგლისი), კოლინ ჰენდრი (გლაზგო რეინჯერსი), პოლ რიჩი (ჰართსი), დევიდ ვეირი (ევერტონი, ინგლისი), დერეკ უაითი (აბერდინი); ნახევარმცველები — კრეიგ ბარნი, პოლ ლამბერტი (სელტიკი), კოლინ კამერონი (ჰართსი), იან დურანტი (კილმარნოკი), სკოტ ჯემილი (ევერტონი, ინგლისი), ალან ჯონსონი (სანდერლენდი, ინგლისი); თავდამსხმელები — ბილი დოდსი (დანდი იუნაიტედი), კევინ გალაჰერი (ბლეკბერნ როვერსი, ინგლისი), ეოინ ჯონსი, რობი ვინტერსი (აბერდინი), ნილ მაკკენი (გლაზგო რეინჯერსი)

ედსონ არანტეს დო ნასიმენტო — პელე

ფეხბურთის მეფის ფიქრები

...მას ათასზე მეტი გოლი გაუტანია.
...იგი ერთადერთი ფეხბურთელია, მსოფლიოს ჩემპიონატი სამჯერ რომ მოუგია.
...მისი თამაშის სანახავად ომი ერთი დღით შეწყვეტილა.
...იგი, უბრალოდ, ფეხბურთის მეფეა.
ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, იგივე პელე — მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელი. მისი სახელი თითქმის ყველა ბავშვმა იცის. თავისებური პიროვნებაა, ცხოვრებაც თავისებური ჰქონდა. მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა, რადგან პელე არ მოგაწყენს.
ქვემოთ, ინტერვიუ ფეხბურთის მეფესთან ერთ, რაიმე კონკრეტულ თემას არ ეხება. პელე მსჯელობს იმაზე, რაც ხალხს აინტერესებს.

— რონალდოზე რას ფიქრობთ?

— რა გითხრათ, გასული სეზონი მისთვის ბრწყინვალე არ ყოფილა. უფრო სწორად, მან ვერ ითამაშა იმ დონეზე, როგორც მისგან მოითხოვენ და როგორც შეუძლია.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იგი ძველი რონალდო აღარაა. როგორ ფიქრობთ, ძველ დონეს კვლავ მიაღწევს?

— ერთ რამეს გეტყვით და მერე თავად განსაჯეთ. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მძიმედ დავშავდი, თუმცა გავიდა წელიწადი და კვლავ ავთამაშდი. ოთხი წლის შემდეგ, 1970-ში მექსიკაში მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდი. მიმაჩნია, რომ 1970 წლის ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. მე მისი ერთ-ერთი ლიდერი გახლდით და ამ ყველაფერს უმძიმესი ტრავმის შემდეგ მივაღწიე. ჩემი აზრით, რონალდოც დაბრუნდება, მიუხედავად იმისა, რომ მას ახლა უჭირს. გნებავთ, ფიზიკურად, ნებავთ, ფსიქოლოგიურად.

მსოფლიოს ჩემპიონატზე რონალდო ვარსკვლავად ჩავიდა. იყვნენ სხვა ძლიერი ფეხბურთელები, მაგრამ რონალდოსთან ახლოსაც ვერ მივიდოდნენ. მას კი რა დაემართა? რონალდოს, რომლისგანაც უამრავ გოლს, ულამაზეს გარღვევებს და შესანიშნავ ფინტებს ელოდნენ, გაუჭირდა. ეს ბუნებრივია, მე მგონი, ზაგალოს ფინალში რონალდო მეორე ტაიმში რომ ჩაერთო თამაშში, უკეთესი იქნებოდა. 21 წლის ბიჭისთვის ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო.

რონალდო დაბრუნდება, ამის მჯერა. იქნებ დღეს არა, მაგრამ ხვალ იგი ძველებურად გაიბრწყინებს. რონალდო ფინტებით და სამი-ოთხი მეტოქის მოტყუებით ხალხს ვეღარ გააოცებს, მაგრამ იგი მაინც დაბრუნდება.

— როგორ მიგაჩნიათ, რომარიო და რობერტო კარლოსი ბრაზილიის ნაკრებში კიდევ ითამაშებენ?

— რობერტო კარლოსთან დაკავშირებით პრობლემებს ვერ ვხედავ. შესანიშნავი მოთამაშეა, გამოცდილი, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რობერტო კარლოსს ნაკრებში იმიტომ არ უთამაშია, რომ მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო ახალგაზრდებს ცდიდა. არა, იგი ნაკრებში კვლავ იასპარეზებს. რაც შეეხება რომარიოს, ეს სხვა საქმეა. მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ის ოცდაათს გვარიანად გადაცილებული იქნება, აქედან გამომდინარე, ვეჭვობ, ნაკრებში დაბრუნონ.

— კევინ კიგანის ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე რას ფიქრობთ?

— კიგანს ვიცნობ, ვიცი მისი მსოფლმხედველობა. ჩემი პასუხი ასეთია: ყველაფერზე შედეგებით უნდა ვისაუბროთ. ინგლისში ძნელია, იყო ნაკრების და კლუბის მწვრთნელი. ჩემი აზრით, კიგანს ორ ადგილზე მუშაობა გაუჭირდება. მაგალითად, ბრაზილიაში ნაკრებსა და კლუბში მუშაობა ჩვეულებრივი ამბავია. სანამ ლუქსემბურგო ბრაზილიის ნაკრების სრულუფლებიან მწვრთნელად დაინიშნებოდა, მანამდე კლუბშიც მუშაობდა. ჩვენ, ბრაზილიელებმა, ინგლისელებისგან ბევრი უნდა ვისწავლოთ.

— ფიფასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ფიფასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ყველანაის პრეზიდენტობისასაც და ახლა, ზეპ ბლატერის მოღვაწეობის დროსაც. მართალია, ყველანაის სიძესთან რიკარდო ტეიშეირასთან (ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია) რთული ურთიერთდამოკიდებულება ჩამომიყალიბდა, რასაც არც ვმალავ, მაგრამ ახლა ყველაფერი ნორმალურადაა. ბლატერის დროს ფიფა უფრო დემოკრატული გახდა. დღეს ჩვენ, ყოფილ ფეხბურთელებს, ჟურნალისტებს, პროფესიონალებს შეგვიძლია, ერთმანეთს შევხვდეთ ფეხბურთის პრობლემებზე ვიმსჯელოთ.

— თქვენი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარება რამდენად მართებულია?

— ამაზე საუბარი ნაადრევია. 2006 წლის მსოფლიოს პირველობის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ მანამდე არა. ისე, რთული უნდა იყოს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ასეთი ტურნირის გამართვა. მიმაჩნია, არაფერი გადაწყდება მანამ, სანამ კონფერედაციების პრეზიდენტები ერთმანეთს არ შეხვდებიან და არ იმსჯელებენ.

— 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ვინ უმასპინძლებს?

— ოო... დიდი კონკურენციაა. სამხრეთ აფრიკა, ინგლისი, გერმანია, ბრაზილია, არგენტინა... ყველა ძლიერი ქვეყანაა, ყველას შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა. და ყველა ღირსია. ვისურვებდი, ერთ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატი აფრიკაში მენახა, მაგრამ... რა ვიცი, კონკრეტული აზრი არ მაქვს.

— 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტში თუ გიხილავთ?

— თავისთავად. „მასტერკარდი" კვლავ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გენერალური სპონსორი იქნება, მე კი მასთან თანამშრომლობას განვაგრძობ. მსოფლიოს პირველობაზე აუცილებლად ვიქნები. ფინალსაც დავესწრები, იოკოჰამაში.

„უორლდ სოკერი"-დან
თარგმნა ლაშა გოდუაძემ

რონალდო დაკითხვაზე

რიო დე ჟანეიროს რეგიონალური სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა მაურო ბრანდაომ განაცხადა, რომ მალე ერთ სკანდალს მოჰფენს ნათელს.

საქმე ეხება რონალდოს.

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ, საფრანგეთთან მატჩამდე რონალდო საავადმყოფოში მოთავსეს. უნიჭიერესი ფეხბურთელი ფინალისწინა ვარჯიშზე ცუდად გამხდარა და სასწრაფო დახმარება დასჭირვებია. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰოსპიტალში ფეხბურთელს საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაუტარდა. მაურო ბრანდაოსაც სწორედ ეს აეჭვებს.

— ყველამ ნახა, რომ ფინალში რონალდომ კარგად ვერ ითამაშა, იგი გუნებაზე ვერ იყო. ისიც ყველამ იცის, რომ საფრანგეთთან მატჩამდე რონალდო ცუდად გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს. ძალიან მაინტერესებს, რატომ დართეს ბრაზილიის ნაკრების ექიმებმა რონალდოს თამაშის უფლება? იგი ხომ ცუდად იყო — თქვა ბრანდაომ და განაგრძო — ამ საქმეს კარგა ხანია, ვიძიებ. ბევრი დავკითხე და თავად რონალდოსაც შევხვდები, როცა აქ ჩამოვა.

ბრაზილიის ნაკრები 5 და 8 ივნისს ჰოლანდიის ნაკრებს მასპინძლობს. რონალდო გუნდში მიწვეულია და დოქტორი მაურო ბრანდაო მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელთან შეხვედრას სწორედ მაშინ აპირებს.

ექიმის აზრით, საქმეში მთავარი დამნაშავენი ბრაზილიის ნაკრების ექიმები ლიდიო ტოლედო და ჟოაკიმ და მატა არიან, რომლებსაც თუ წაყენებული ბრალდებები დაუმტკიცდათ, სასჯელი არ ასცდებათ. ბრანდაოსავე თქმით, მან უკვე დაკითხა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მარიო ზაგალო, მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი თანაშემწე ზიკო და კიდევ რამდენიმე პირი.

რონალდოს ივნისის პირველ რიცხვებში ელიან.

ირაკლი ილაშვილი

ფეხბურთის რუკასთან ერთად

ტრინიდადელი თავდამსხმელი დუაიტ იორკი ინგლისის ჩემპიონატის სპონსორმა „კარლინგმა" წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდისთვის ეს სეზონი მართლაც წარმატებული გამოდგა — კლუბის შემადგენლობაში იორკი ინგლისის ჩემპიონი გახდა, მოგვიანებით ქვეყნის თასიც დაურთო და სეზონი პრემიერლიგის ბომბარდირად დაასრულა. შარშან მან პრემიერლიგაში 18 გოლი გაიტანა, ამასთანავე რვა ბურთი ჩემპიონთა ლიგაში შეაგდო, სამიც თასზე. ესეც არ იყოს, იორკი ბრწყინვალედ თამაშობდა.

ბელარუსი მცველი ერიკ იახიმოვიჩი, რომელიც მოსკოვის „დინამოს" ღირსებას იცავს, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. საქმე ისაა, რომ რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან" თამაშისას, იახიმოვიჩმა მოწინააღმდეგე ფეხბურთელს ფეხი ჩაარტყა და გააგდეს კიდეც. „ჩვენ ასეთ უსაქციელობას ვერ ავიტანთ" — განაცხადა რუსეთის ფეხბურთის კავშირის წარმომადგენელმა. დისკვალიფიკაციის გამო იახიმოვიჩმა გუშინ რუსეთის თასის ფინალშიც ვერ ითამაშა სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" წინააღმდეგ.

საფრანგეთის ჩემპიონატის გასული სეზონის ვერცხლის პრიზიორმა „მეცმა" მოსკოვის „ტორპედოს" უკრაინელი თავდამსხმელი სერგეი სკაჩენკო შეიძინა. ხელშეკრულების დეტალები ცნობილი არაა. „ტორპედოს" წარმომადგენელმა სერგეი ბორისოვმა განაცხადა, რომ ვოლგოგრადის „როტორთან" 19 ივნისის მატჩი ფეხბურთელისთვის უკანასკნელი იქნება მოსკოვური კლუბის შემადგენლობაში. ცნობისთვის: 26 წლის სკაჩენკომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორი გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ 1996-97 წლების უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში თბილისის „დინამომ" მოსკოვის „ტორპედო" მოსკოვში 1:0 დაამარცხა.

ჰოლანდიელი თავდამსხმელი მარკ ოვერმარსი, რომელიც თავის კლუბ ლონდონის „არსენალთან" ერთად მალაიზიასა და ჰონგ-კონგში ტურნეზე იმყოფებოდა, დაშავდა და ქვეყნის ნაკრებს ბრაზილიაში ამხანაგურ თამაშებში ვერ დაეხმარება. ჰოლანდია ბრაზილიაში მასპინძელთა ნაკრებს ორჯერ ეთამაშება — 5 ივნისს სალვადორში და 8 ივნისს გოიანაში. ბრაზილია ჰოლანდიას საპასუხოდ 9 ოქტომბერს ესტუმრება. ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა ოვერმარსის ნაცვლად როტერდამის „ფეიენოორდის" ნახევარმცველი, 23 წლის პატრიკ პაუვი გამოიძახა.

რუმინეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უნგრელებთან მატჩში შესაძლოა ძირითადი მეკარე ბოგდან სტელეა დააკლდეს. ესპანურ „სალამანკაში" მოთამაშე სტელეამ ფეხი დაიზიანა და ახლა მისი მონაწილეობა უნგრელებთან შეხვედრაში სათუოა. თუ მოხდა და სტელეა ვერ გამოჯანმრთელდა, მის ნაცვლად ან ბუქარესტის „სტიაუას" მეკარე ზოლტან რიტლი, ანაც იმავე ქალაქის კლუბის, „რაპიდის" კარის დარაჯი ბოგდან ლობონტი ითამაშებს.

ესპანეთის ყველაზე ტიტულიან კლუბ მადრიდის „რეალს" თურქეთის „ფენერბახჩეში" მოთამაშე ბოსნიელი ნახევარმცველის, ელვირ ბალიჩის გადაბირება სურდა, მაგრამ გადაიფიქრა. მადრიდელებმა ბალიჩის შეძენა მას შემდეგ მოიწადინეს, რაც კლუბის მწვრთნელად უელსელი ჯონ ტომაკი დაინიშნა. თურქებმა ბალიჩის სანაცვლოდ 22 მილიონი დოლარი მოითხოვეს, „რეალი" კი მხოლოდ 9 მილიონ დოლარს იხდიდა. თავის დროზე „ფენერბახჩემ" ბალიჩის სანაცვლოდ „ბურსასფორს" 12,8 მილიონი დოლარი გადაუხადა.

არგენტინის ჩემპიონატის ერთი შეხვედრა ორშაბათს გაიმართა. „ნიუელს ოლდ ბოისმა" „კოლონს" უმასპინძლა და ფრედ 1:1 ითამაშა. ჩემპიონატს 36 ქულით კვლავ „ბოკა ხუნიორსი" ლიდერობს. „რივერ პლეიტი" 30 ქულით მეორეზეა, „სან ლორენსო" კი 27 ქულით — მესამეზე.

რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა გუნდის შემადგენლობაში, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 5 და 9 ივნისს შესაბამისად საფრანგეთთან და ირლანდიასთან სათამაშოდ ემზადება, რამდენიმე ცვლილება მოახდინა. რომანცევმა გუნდში მიიწვია ვლადიკავკაზის „ალანიას" მცველი არტურ პაგაევი, მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველი სერგეი სემაკი და მოსკოვის „სპარტაკის" თავდამსხმელი ალექსანდრ შირკო. გუნდიდან ამოვარდა დედაქალაქის „ლოკომოტივის" დაშავებული მცველი ანდრეი სოლომატინი, რომელიც დაშავდა.

აზიაში ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩები გაიმართა. მერვე შესარჩევ ჯგუფში კორეამ სეულში შრი-ლანკას უმასპინძლა და 5:0 დამარცხა. იმავე ჯგუფში ინდონეზიამ ტაივანს 2:1 სძლია. ეს შეხვედრაც სეულში შედგა.

იტალიის ორგზის ჩემპიონმა „ნაპოლიმ", რომელიც დღესდღეობით სერია B-ში თამაშობს, „ლუკჩესთან" 23 მარტის შემდეგ კლუბის მწვრთნელი რენკო ულივიერი და მისი თანაშემწე ვალტერ მაძარი თანამდებობიდან გაათავისუფლა. „ნაპოლი" სერია A-დან გასულ სეზონში გავარდა, წლეულს კვლავ აღზევების იმედი ჰქონდა, მაგრამ ხელი მოეკარა. ნეაპოლიტანური კლუბის წარმომადგენლის თქმით, მწვრთნელად დაინიშნა ენკო მონტეფუსკო. შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი" იტალიის ჩემპიონი 1987 და 1990 წლებში გახდა.

დანიელმა ნახევარმცველმა მორტენ ვიგჰორსტმა გლაზგოს „სელტიკთან" ახალ, სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ევერტონს" მისი გადაბირების იმედი გადაუწურა. ინგლისელები ფიქრობდნენ, რომ 28 წლის ვიგჰორსტს სეზონის დასრულებისთანავე თავისუფალი აგენტის სტატუსით წაიყვანდნენ, მაგრამ ახალი კონტრაქტის თანახმად, ვიგჰორსტი „სელტიკში" 2002 წლამდე დარჩება. შეგახსენებთ, რომ ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიგჰორსტი მძიმედ დაშავდა. „მეპატიჟებოდნენ ინგლისიდან, მაგრამ გადავწყვიტე, აქ დავრჩენილიყავი. „სელტიკში" თავს კარგად ვგრძნობ" — თქვა დანიელმა ფეხბურთელმა.

ჰოლანდიის „კილმარნოკმა" ჰოლანდიის თასის ფინალისტ „სიტარდიდან" მიხაელ ჟეფრეი შეიძინა. 23 წლის ინგლისელმა ფეხბურთელმა, რომელსაც „ნიუკასლ იუნაიტედი" ეპატიჟებოდა, „კილმარნოკთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ბოერ ჯეროენმა, რომელიც იაპონიის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის კლუბ „ომია არდიჯაში" თამაშობს, ცალი თვალი დაიზიანა. ეს ახლახან მოხდა, როცა ფეხბურთელი ოთხ იაპონელ ავისმქმნელს წაეჩხუბა. პოლიციის განცხადებით, ბოროტმოქმედებს უახლოეს დღეებში დაიჭერენ. ჯეროენი საავადმყოფოში ერთი თვე დარჩება.

ბულგარეთის თასის ფინალში სოფიის ცსკა-მ ჩემპიონატის ლიდერ ლოვეჩის „ლიტექსს". მოუგო 1:0 და მეთვრამეტედ დაეუფლა ეროვნულ თასს. ერთადერთი ბურთი 81-ე წუთზე ვალენტინ სტანჩევმა გაიტანა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

წამსვლელები, დამრჩენები...

იტალიაში სატრანსფერო ხმაური იწყება

თუ გუშინდელი „სარბიელი“ შეიძინეთ, იქ ერთ წერილს ნახავდით, რომელშიც ინგლისში მიმდინარე სატრანსფერო ამბებზე იყო მოთხრობილი. გასულ კვირას სეზონი იტალიაშიც დასრულდა (სერია A-ს გათამაშება) და ნელ-ნელა იქაც დაიწყო კიდევ უფრო ნათელ მომავალზე ფიქრი. მართალია, აპენინებზე სატრანსფერო სეზონი ჯერ არ გახსნილა, მაგრამ პრესაში უკვე გამოჩნდა საფეხბურთო მადისამძვრელი ინფორმაციები. გათამაშების ცხრილის მიხედვით მივყვეთ.

ხუან სებასტიან ვერონის პარმულ კარიერას საფრთხე დაემუქრა

რომის "ლაციო"

— გუშინ მის აგენტთან ერთად ვისაუზმე, ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ მარსელოზე სიტყვა არ თქმულა. გასაკვირია, საიდან მოიტანეს ჟურნალისტებმა ეს ცნობა, ვინაიდან ჩემთვის ამის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. სალასი „ლაციოსთვის“ უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და ამიტომ იგი აქ დარჩება — ეს სიტყვები დედაქალაქელთა პრეზიდენტს სერჯო კრანიოტის ეკუთვნის.

ჩილელი ფორვარდის მარსელო სალასის „ლაციოდან“ წასვლის შესახებ ბოლო დროს მართლაც დადიოდა ხმები. მასმედიელთა უმეტესობა მას ტურინულ კარიერას უწინასწარმეტყველებდა, თუმცა თავად „იუვენტუსიდან“ ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

ახლახან გასრულებული, სალასისთვის პირველი სეზონი იტალიაში, მისთვის და მთლიანად „ლაციოსთვის“ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს: ჩილელმა სერია A-ში 15 გოლი გაიტანა, აქედან ორი ბოლო ტურში „პარმასთან“ (2:1). სხვათა შორის, სალასის ეს დუბლი შეიძლებოდა ოქროსი ყოფილიყო, მაგრამ „მილანმა“ სტუმრად „პერუჯას“ მოუგო და მთელი სეზონის განმავლობაში სკუდეტოსთან ასე ახლოს მყოფ რომაელებს ტიტული ცხვირწინ ააცალა. თუმცა „ლაციო“ ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა — მოიგო თასთა თასის უკანასკნელი, ისტორიული გათამაშება და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაშიც გაინაღდა ადგილი.

— გინდათ საინტერესო ამბავი გამცნოთ? ეკითხება კრანიოტი ჟურნალისტებს, პასუხს არც ელოდება და ამბობს — კი ბატონო, სვენ გორან ერიკსონი „ლაციოში“ რჩება. მან შექმნა იდეალური გუნდი, რომლითაც მომავალში გაცილებით მაღალი მიზნებისთვის შეიძლება ბრძოლა და ახლა ერიკსონის „ლაციოსთან“ დაშორება სიბრიყვედ მიმაჩნია.

იტალიის ვიცე-ჩემპიონში ადგილშენარჩუნებულ შვედ მწვრთნელს საკუთარ თავზე ხმა არ ამოუღია, სალასზე გააკეთა აქცენტი:

—ჩემთვის გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები სალასის შესახებ დიდი სიურპრიზი გახლდათ. ყველას მინდა ვუთხრა და დავარწმუნო, რომ მარსელოს გაყიდვა „ლაციოში“ თავში არავის მოსვლია — თქვა ერიკსონმა.

ერთი სიტყვით, სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი მარადიულ ქალაქში რჩება, როგორც ხედავთ, ეს გადაწყვეტილი ამბავია. ახლა „ლაციოსთან“ დაკავშირებით სხვა ინფორმაციასაც მოგაწვდით, ოღონდ ჯერჯერობით საწყის სტადიაში მყოფ ტრანსფერზე.

„ლაციომ“ მოლაპარაკებები დაიწყო „პარმასთან“ ხუან სებასტიან ვერონის მომავლის შესახებ. არგენტინელი გამთამაშებელი თურმე რომაელთა მთავარი სამიზნე ყოფილა და ამის დამალვას არც არავინ აპირებს. თუ გარიგება შედგა, მაშინ პარმელთა სუპერნახევარმცველი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მსუყე ტრანსფერის „მსხვერპლი“ გახდება — კრანიოტი 18 მილიონ გირვანქას იხდის.

—რა დასამალია და, ბოლო დღეებში „ლაციოს“ წარმომადგენლებთან ხშირი კონტაქტი მაქვს — ირწმუნება თავმოტვლეპილი ვერონი. აღსანიშნავია, რომ არგენტინელის ნიჭი „პარმამ“ ჯერ კიდევ 1995 წელს აღმოაჩინა, დაისაკუთრა კიდეც იგი, მაგრამ ჯერ სამშობლოში თამაშის ნება დართო, შემდეგ გენუის „სამპდორიას“ ათხოვა და მხოლოდ ამის მერე მოარგო თავის ყვითელი მაისური. ვერონს „პარმაში“ სულ ერთი სეზონი აქვს გატარებული, თუმცა ეს მცირე პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, რათა გუნდის ხერხემლად ქცეულიყო.

ვერონის შესაძლო დაკარგვამ პარმელთა ბანაკში დიდი ქაოსი გამოიწვია. კლუბში იმთავითვე დაიწყო არგენტინელის შემცვლელის ძიება და „ბარსელონელი“ ბრაზილიელის რივალდოს სახელიც წამოტივტივდა. წამოტივტივებით კი წამოტივტივდა, მაგრამ აბა ერთი ამა წლის ზამთარი გავიხსენოთ — „ბარსელონას“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ზღაპრული თანხა 25 მილიონი გირვანქა შესთავაზა და ამ ფულის სანაცვლოდ კატალონიელთა ლიდერი რივალდო მოითხოვა. პასუხი კატეგორიული იყო — არა. იმ ხანებში ესპანურ პრესაში ისიც დაიწერა, ზოგიერთები ბრაზილიელი ვარსკვლავისთვის არც 30 მილიონ გირვანქას იშურებენო, თუმცა მათი ვინაობა დღემდე საიდუმლოდ რჩება.

მარსელო სალასს „ლაციოდან“ არავინ გაუშვებს

ფლორენციის „ფიორენტინა“

სეზონის ერთ მონაკვეთში სერია A-ს ლიდერი კლუბი საბოლოოდ მე-3 ადგილზეც დიდი ნერვიულობის შემდეგ აღმოჩნდა. ფლორენციელთა „სტახანოველი“ თავკაცი, წარსულში „მილანის“, „იუვენტუსის“, მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელთა ბრძენი მასწავლებელი ჯოვანი ტრაპატონი ამტკიცებს, რომ „ფიორენტინას“ ჩავარდნა უმაღლესი დონის მოთამაშეთა ნაკლებობის ბრალია. ისე, ტრაპატონი მართალია — მხოლოდ ბატისტუტას, ედმუნდოს, რუი კოშტას, ჰა-ჰა ჰაინრიხის იმედზე გრანდიოზულ მომავალზე ფიქრი, უბრალოდ წყლის ნაყვაა. ამას წინათ ფლორენციელთა საწვრთნელ ბაზაზე „ლა კოვერჩანაზე“ ტრაპის ჟურნალისტები ესტუმრნენ და საინტერესო ამბავიც შეიტყვეს — მწვრთნელს დიდი სურვილი აქვს, მომავალ სეზონშიც „ფიორეს“ უთავკაცოს. ძნელი წარმოსადგენია ამის საწინააღმდეგო ვინმეს რაიმე ჰქონდეს, თუმცა ტრაპატონი მარტო დარჩენას კი არა, კლუბის აღმშენებლობასაც აპირებს, რაც ირიბად ახალი ვარსკვლავების შეძენას ნიშნავს, ეს აზრი კი შეიძლება „ფიორენტინას“ მფლობელ ვიტორიო ჩეკი გორის გულზე სულაც არ დაეხატოს — ვარსკვლავების ყიდვისთვის ძალიან ბევრი ფულია საჭირო. ასეა თუ ისე, ჩეკი გორი და ვეტერანი სპეციალისტი უახლოეს მომავალში ითათბირებენ და ყველაფერიც მაშინ გაირკვევა.

ტურინის „იუვენტუსი“

კლუბი, რომელიც ბოლო, ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში ჩემპიონთა თასისთვის იბრძოდა (ერთხელ მოიპოვა, ორჯერ ფინალში იყო), წლეულს შეიძლება უეფას თასზეც ვერ მოხვდეს. ამ შეჯიბრში ადგილის დასაბეგვლად „იუვენტუსმა“ ბევრი ოქმი ხელად „ტუსი, „უდინეზეზე“ ბარიერი უნდა გადალახოს. შატ სეზონზე ტურინელებს დიდებულმა მარჩელო ლიპიმ მიატოვა და აი, ახალი სამწუხარო ამბავიც: კლუბში გატარებული ხუთი ჩინებული სეზონის შემდეგ წასვლა მისმა და მსოფლიოს ჩემპიონის საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა დიდიე დეშამპმა გადაწყვიტა.

— კლუბში იცოდნენ, რომ მე წასვლას ვაპირებდი, ეს გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ მივიღე და არც დამიმალავს. ვფიქრობ, მოვიდა დრო, ძალები სხვაგან მოვსინჯო, რადგან „იუვენტუსში“ თითქმის ყველაფერი მოვიგე და იქ ყოფნა ჩემთვის ერთფეროვანი გახდა — ამბობს გამოცდილი, 31 წლის ნახევარმცველი. იმაზე, თუ რას აპირებს მომავალში ან რომელი კლუბები ეპატიჟებიან, დეშამპს არაფერი უთქვამს.

გენუის „სამპდორია“

90-იანი წლების იტალიური ფეხბურთის სიამაყე დღეს უკვე სერია B-ს ბინადარია. გენუელებს ვერც არგენტინელმა არიელ ორტეგამ და ვერც ვინჩენცო მონტელამ უშველეს. და ის, რომ ორივე „სამპდორიას“ დატოვებას აპირებს, სავსებით ლოგიკურია — ამ დონის ფეხბურთელებს მეორეხარისხოვან ჩემპიონატში არაფერი ესაქმებათ. ბურუსითაა მოცული გუნდის ბომბარდირის, მონტელას მომავალი. არაა გამორიცხული, მან „ინტერის“ მაისურით რონალდოსთან ერთად არბიოს მეტოქეთა დაცვა.

აი, ორტეგას კი ნაღდი მსურველი უკვე გამოუჩნდა — მისი ყოფილი გუნდი, არგენტინული ფეხბურთის ლიდერი „რივერ პლეიტი“. ბუენოს აირესიდან გენუელებს ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში დაუკავშირდნენ ტექნიკური გამთამაშებლის თაობაზე, მაგრამ სასტიკი უარი მიიღეს. შეგახსენებთ, რომ „სამპდორიამ“ სამშობლოში „ჩოჩორად“ წოდებული ორტეგა ესპანური „ვალენსიისგან“ 7 მილიონ გირვანქად შეიძინა. სწორედ ამდენს სთავაზობს დღესდღეობით „რივერი“ გენუელებს. სამხრეთ ამერიკიდან მოსული ინფორმაციის თანახმად, ეს თანხა მას შემდეგ შეკოწიწდება, რაც „რივერ პლეიტი“ „პარმას“ თავის თავდამსხმელ პედრო აიმარს დაუთმობს. თუმცა არგენტინულ გუნდს ძალიან შეძლებული კონკურენტი, მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჰყავს.

დავით კოვზირიძე

საეჭვოა არიელ ორტეგამ სერია B-ში ითამაშოს

იტალია

უპასუხო კითხვები 1:0-ის ზეიმის ფონზე

მიდევს წინ ცარიელი ფურცელი, რომელიც სერია A-ს გასული სეზონის მოკლე ანალიზით უნდა შევავსო. ძნელი საქმე ყოფილა. ყოველთვის ვფიქრობდი ასე და ასეა, მეთქი, მაგრამ ფურცელს კალამი რომ დავადე, მივხვდი, რომ მე, კაცმა რომელიც სექტემბრიდან მაისის ჩათვლით თბილისიდან არ გავსულვარ, არ ვიცი ამ ხნის განმავლობაში იტალიაში რა ხდებოდა. უფრო სწორად, ვიცი შედეგები, ჩემპიონატის დინამიკა, ეკრანზე მინახავს მატჩები, მაგრამ მთავარ კითხვაზე — რატომ — პასუხს ვერ ვცემ. ერთადერთი, რითაც თავი შემიძლია დავიმშვიდო ისაა, რომ ამომწურავად, ამქვეყნად, არავინ არაფერი იცის.

რატომ? აი, კითხვა რომელიც ყველაზე საინტერესოა, თორემ მელნის იმაზე ხარჯვას, რომ „ფიორენტინა“ 16 ტურის განმავლობაში ლიდერობდა, „ლაციო“ 12-ის, ჩემპიონი კი „მილანი“ გახდა, დიდი აზრი არ აქვს. ქვემოთ გთავაზობთ ოთხეულის გუნდების დიაგრამებს და ის უსიტყვოდ იტყვის თავის სათქმელს.

მილანელთა ბომბარდირი, 20 გოლის ავტორი, ოლივერ ბირჰოფი გულშემატკივართა გარემოცვაში

რატომ შეფერხდა „ფიორენტინა“? ნუთუ ჯოვანი ტრაპატონის ხელმძღვანელობა და გაბრიელ ბატისტუტასა და ედმუნდოს ვარსკვლავობა არ იყო საკმარისი ლიდერობის გასაგრძელებლად და 1969 წლის მერე პირველი სკუდეტოს მოსაპოვებლად? ამ კითხვაზე თბილისური პასუხი ისაა, რომ „ფიორენტინა“ — „მილანის“ შეხვედრაში ბატისტუტას დაშავება, მერე კი ედმუნდოს რიო დე ჟანეიროს კარნავალზე განავარდება, ფლორენციელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა. კეთილი, მაგრამ ამ პასუხს, თითქოს, მარილი აკლია. კერძოდ, ტრაპატონი ძალიან დიდი მწვრთნელია იმისათვის, რომ ერთ კაცზე დამოკიდებული გუნდი ააწყოს, ედმუნდოს კი ქნიფი და დროსტარება ისე იოლად შეუნდეს, რომ უნებართვოდ არ უნდა ყოფილიყო წასული. თუ გახსოვთ, სეზონის მიწურულს ტრაპატონიმ ასეთი ფრაზა თქვა: ამ გუნდში უცნაური ამბები ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს მეც ვერ გამირკვევიაო.

რატომ დაკარგა „ლაციომ“ სკუდეტო ბოლო ორ ტურში? განა კრისტიან ვიერი, მარსელო სალასი, რობერტო მანჩინი, სინიშა მიხაილოვიჩი, ალესანდრო ნესტა, ივან დე ლა პენია, ფერნანდო კოუტუ და ძმანი მათნი, ძვირნი და ყოვლად დიდებულნი, სვენ გორან ერიკსონის ხელმძღვანელობით ორ ტურს ვეღარ ეყოფოდნენ? ბედის თუ უბედობის ბრალია? შეუძლებელია აქაც რაიმე შინაგანი ლოგიკა და თბილისური თვალისთვის უხილავ დინებათა მორევი არ იყოს საქმეში ჩარეული. იქნებ რაღაც არ იყო სწორად გათვლილი? იქნებ ერიკსონს შემადგენლობის უფრო თამამი და ხშირი ცვლა მართებდა? თუნდაც დე ლა პენიას სათადარიგოთა სკამზე ხანგრძლივი ჯდომა გვაფიქრებინებს ამას. შემადგენლობის ცვლით ხომ ფეხბურთელთა ენერგია უფრო თანაბრად გადანაწილდებოდა მთელ სეზონზე. თუმცა, მისტიკის მოყვარულმა რომ გვითხრას „ლაციოს“ ოდითგანვე ასეთი ბედი აქვსო და ახლანდელის მსგავსი სეზონები, თუნდაც წინა, დაგვისახელოს, არგუმენტირებულად ვერაფერს ვუპასუხებთ. დიდი დიდი ვუთხრათ, რომ ბედის და ეგეთი რამეების არ გვწამს. ფაქტი კი ის არის, რომ „ლაციომ“ 1974 წლის მერე პირველი სკუდეტოს მოგების იშვიათი შანსი გაუშვა ხელიდან.

რატომ ვერ ხდება „პარმა“ იტალიის ჩემპიონი? ფული არ აკლიათ მილანის მეზობელი ქალაქის კლუბის ხელმძღვანელებს და არც ჯიბეზე ხელის გაკვრა ეშლებათ. მათთან თამაშობს მსოფლიოს ორი ჩემპიონი, ლილიან ტურამი და ალენ ბოგოსიანი, მათთანვე არიან არგენტინელები ერნან კრესპო, ხუან ვერონი, ნესტორ სენსინი და აბელ ბილბო, იქ გახლავან იტალიელები ჯანლუიჯი ბუფონი, ფაბიო კანავარო, ენრიკო კიეზა, ანტონიო ბენარივო, დინო ბაჯო და ბევრი სხვა ცნობილი ფეხბურთელი. მაშ რა ხდება? ერთი მოსაზრება ის არის, რომ კლუბს, რომელიც დიდ ასპარეზზე მხოლოდ ბოლო დეკადაში გავიდა, საღდა იქ, ქვეცნობიერში, კომპლექსი უზის და ჩასჩიჩინებს, შენ პატარა ხარ, აბა, სად შენ და სად სკუდეტოო. პარმა, ბატონებო, მილანისთვის იგივეა, რაც თბილისისთვის კასპი, ხოლო ქუთაისისთვის სამტრედია...



№	გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	მ	ფ	წ	ბ	კ	შინ					სტუმრად					
1.	მილანი (10)		1:0	1:3	2:1	3:2	1:1	3:0	2:2	3:0	2:2	2:1	1:0	1:0	2:1	3:2	3:2	1:0	4:0	34	20	10	4	59:34	70	13	3	1	35:17	42	7	7	3	24:17	28
2.	ლაციო (7)	0:0		2:0	2:1	3:3	1:3	3:1	1:0	2:0	0:0	2:0	2:0	4:1	3:0	6:1	5:2	1:1	4:1	34	20	9	5	65:31	69	12	4	1	41:14	40	8	5	4	24:17	29
3.	ფიორენტინა (5)	0:0	1:1		2:1	0:0	1:0	1:0	3:1	1:0	2:2	4:1	4:2	2:1	5:1	4:0	1:0	3:0	2:0	34	16	8	10	55:41	56	13	4	0	36:10	43	3	4	10	19:31	13
4.	პარმა (6)	4:0	1:3	2:0		1:1	1:0	4:1	1:0	1:1	2:1	2:2	1:1	0:1	3:1	2:0	1:1	0:0	1:0	34	15	10	9	55:36	55	9	6	2	27:13	33	6	4	7	28:23	22
5.	რომა (4)	1:0	3:1	2:1	1:0		2:0	4:0	4:5	3:1	1:1	2:0	3:1	2:2	5:1	3:1	3:1	3:0	1:1	34	15	9	10	69:49	54	13	3	1	43:16	42	2	6	9	26:33	12
6.	იუვენტუსი (1)	0:2	0:1	2:1	2:4	1:1		2:1	1:0	2:2	1:1	3:2	1:0	1:0	2:1	3:0	2:0	2:0	0:0	34	15	9	10	42:36	54	10	4	3	25:16	34	5	5	7	17:20	20
7.	უდინეზე (3)	1:5	0:3	1:0	2:1	2:1	2:2		0:1	2:0	4:0	1:1	2:1	1:0	1:2	2:0	2:2	2:1	0:0	34	16	6	12	52:52	54	9	4	4	25:20	31	7	2	8	27:31	20
8.	ინტერი (2)	2:2	3:5	2:0	1:3	4:1	0:0	1:3		3:1	2:3	6:2	5:1	1:0	2:0	2:1	3:0	1:1	5:1	34	13	7	14	59:54	46	10	3	4	43:24	33	3	4	10	16:30	13
9.	ბოლონია (8)	2:3	0:1	3:0	0:0	1:1	3:0	1:3	2:0		3:1	2:1	1:3	3:1	1:1	1:1	2:2	4:2	2:0	34	11	11	12	44:47	44	8	5	4	31:20	29	3	6	8	13:27	15
10.	ბარი (11)	0:0	1:3	0:0	1:1	1:4	0:1	1:1	1:1	0:0		1:0	1:1	3:1	2:1	0:0	3:1	0:0	2:1	34	9	15	10	39:44	42	6	8	3	17:15	26	3	7	7	22:29	16
11.	ვენეცია (-)	0:2	2:0	4:1	0:0	3:1	1:1	1:0	3:1	0:2	2:1		1:0	0:0	2:1	0:0	0:0	1:2	3:2	34	11	9	14	38:45	42	9	5	3	23:14	31	2	4	11	15:31	10
12.	კალიარი (-)	1:0	0:0	1:1	1:0	4:3	1:0	1:2	2:2	0:1	3:3	0:1		3:2	2:2	3:1	5:0	1:0	5:1	34	11	8	15	49:50	41	9	5	3	33:19	32	2	3	12	16:31	9
13.	პიაჩენცა (13)	1:1	1:1	4:2	3:6	2:0	0:2	4:3	0:0	5:0	3:2	0:1	2:0		2:0	1:1	4:1	2:0	0:0	34	11	8	15	48:50	41	9	5	3	34:20	32	2	3	12	14:30	9
14.	პერუჯა (-)	1:2	2:2	2:2	2:1	3:2	3:4	1:3	2:1	0:0	0:1	1:0	2:1	2:0		1:0	2:0	3:1	3:1	34	11	6	17	43:61	39	10	3	4	30:21	33	1	3	13	13:42	6
15.	სალერნიტანა (-)	1:2	1:0	1:1	1:2	2:1	1:0	1:2	2:0	4:0	2:2	1:0	1:3	1:1	2:0		2:0	2:1	1:1	34	10	8	16	37:51	38	9	4	4	26:16	31	1	4	12	11:35	7
16.	სამპდორია (9)	2:2	0:1	3:2	0:2	2:1	1:2	1:1	4:0	1:1	1:0	2:1	0:0	3:2	1:1	1:0		0:0	3:0	34	9	10	15	38:55	37	8	6	3	25:15	30	1	4	12	13:39	7
17.	ვიჩენცა (14)	0:2	1:2	1:2	0:0	1:4	1:1	2:3	1:1	0:4	1:0	0:0	2:1	1:0	3:0	1:0	1:0		2:0	34	8	9	17	27:47	33	7	4	6	18:20	25	1	5	11	9:27	8
18.	ემპოლი (12)	1:1	0:0	0:3	3:5	0:0	1:0	1:3	1:2	0:0	0:2	2:2	2:1	1:2	2:0	2:3	0:1	1:0		34	4	10	20	26:63	20	4	5	8	17:25	17	0	5	12	9:38	5

ინტერესი ბოლო ტურებში ინტერესი ინტერი, ბოლონია, ბარი, ვენეცია, კალიარი, პიაჩენცა, პერუჯა, სალერნიტანა, სამპდორია, ვიჩენცა, ემპოლი — ეს ის ოცეულია, ვინ იცის, ალბათ, ბევრ ადგილას ეს ოცეულიც ბევრ ადგილას ... ეს ... ეს ... ეს

REUTERS ბანკოკიდან

ჰიდეტოში ნაკატა — აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ოქროს ბიჭუნა

ამომავალი მზის ქვეყნიდან

იაპონიის ნაკრებისა და იტალიური „პერუჯას“ 22 წლის ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა ზედიზედ მეორედ დაასახელეს აზიის საუკეთესო ფეხბურთელად. სხვა დროს ამ ამბავზე ეგებ პატარა ინფორმაციაც გვეკმარა, მაგრამ ნაკატას თემა დღეს საკმაოდ საინტერესოა და გარკვეულწილად ზოგადაზიურ ჩარჩოებს სცილდება.

ქართველმა (და ალბათ ევროპელმაც) გულშემატკივარმა ნაკატა პირველად საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე იხილა. საშუალოზე დაბალი დონის იაპონიის ნაკრებში აშკარად გამოირჩეოდა რაღაც მოყვითალ-მოწითალოდ თამაშეღებლი სხარტი ნახევარმცველი. ნახე, იაპონელების მერვე ნომერი როგორი ბიჭია, ამათაც უსწავლიათ თამაშიო — ასეთი სიტყვები იმ დღეებში ბევრმა მითხრა. მაშინ ნაკატა „ერთ-ერთი მათგანი“ იყო, დღეს კი იტალიური „პერუჯას“ ლიდერი და ევროპაში თავგამოჩენილი ფეხბურთელია. მანამდე, თუკი იაპონურ ფეხბურთზე რაიმე ითქმებოდა, პირველ რიგში კაცს კაზუოში მიურას სახელი გაახსენდებოდა, ახლა კი მიურა ვისღა ახსოვს.

„კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მეტად ძნელი მოსაპოვებელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ამ მიღწევის გამეორება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შრომა დააფასეს, თუმცა ამით დაკმაყოფილებას სულაც არ ვაპირებ. ჯერ ახალგაზრდა ვარ და სამუშაო თუ მოსაგები კიდევ ბევრი დამრჩენია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემს ქომაგებს მეტი სიამოვნება მივანიჭო. ფეხბურთი ხომ იაპონიაში უბრალოდ თამაშზე გაცილებით მეტს ნიშნავს“ — ეს სიტყვები ნაკატამ მალაიზიის დედაქალაქის, კუალა ლუმპურის „ოტელ მარიოტში“ თქვა, მისივე დაჯილდოებისთვის გამართულ საზეიმო ცერემონიალზე.

საფრანგეთის მსოფლიოს თასის შემდეგ იმხანად ჯეი-ლიგის „ბელმარ ჰირაცუკას“ ნახევარმცველი იტალიურ „პერუჯაში“ აღმოჩნდა. „კალჩიოს“ სამყაროში ბევრი ამას ირონიით შეხვდა. ეტყობა, იაპონელის გადაღებილი თმები მოეწონათ და ამიტომაც იყიდესო, ხუმრობდნენ აპენინებზე. მასში გადახდილი თანხაც, 3,3 მილიონი დოლარი წყალში გადაყრილი ეგონათ, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. არავინ, „პერუჯას“ ხელმძღვანელობის გარდა. პირველივე მატჩში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ნაკატამ თავისი კლასი დაამტკიცა. ის თამაში „პერუჯამ“ 3:4 წააგო, მაგრამ იაპონელი საუკეთესო იყო მინდორზე, ორი ბურთიც შეაგდო და პარტნიორებსაც ჩინებული ასისტენტობა გაუწია. მერე და მერე მისი თამაში კიდევ უფრო დაიხვეწა, პირველი წრის შემდეგ ნაკატა სერია A-ში ყველაზე შედეგიანი ნახევარმცველი აღმოჩნდა და ის ერთ-ერთ ძლიერ პლეიმეიკერად დაასახელეს. სეზონის ბოლოს „პერუჯა“ მის გარეშე უკვე წარმოუდგენელი იყო. 10 გატანილი ბურთიც, როგორც ამბობენ, სრულიად ვერ გამოხატავს ნიჭიერი იაპონელის შესაძლებლობებს.

ნაკატას სენსაციურმა დებიუტმა ძლიერი ევროპული კლუბებიც დაინტერესა, მაგრამ საქმე ისაა, შეელევა კი მას „პერუჯა“. კლუბის მფლობელის ლუჩანო გაუჩის ვაჟი, 25 წლის ალესანდრო, რომელიც „პერუჯას“ აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციას ასრულებს, დღეს ბედნიერი კაცია. სწორედ მისი რეკომენდაციით მოხვდა იაპონელი იტალიაში: „თავიდან დაგვცინოდნენ, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ მართებული არჩევანი გაგვიკეთებია. ნაკატა ჩვენთვის იმაზე გაცილებით ძვირფასი გამოდგა, ვიდრე წარმოგვედგინა. ახლა ვაცხადებ, რომ ნაკატა არ იყიდება. ახალ სეზონში კიდევ რამდენიმე ძლიერი მოთამაშის ყიდვას ვაპირებთ და არც უეფას თასის ზონაში მოხვედრაზე ვიტყვით უარს“ — თქვა ალესანდრო გაუჩიმ.

ახლა ვერავინ იტყვის, როგორი მომავალი ელით ნაკატასა და „პერუჯას“, მაგრამ კომერციული თვალსაზრისით უკვე მოსალოდნელზე მეტი გაკეთდა. იაპონიაში ნაკატა ნამდვილი კერპია. ცოტა უცნაურიც კია, ფეხბურთელმა სამშობლოში სპორტის ეროვნული სახეობების ვარსკვლავებიც დაჩრდილა. სეზონის დასაწყისიდან „პერუჯამ“ ამომავალი მიზის ქვეყანაში 25 ათასი მეშვიდენომრიანი მაისურა გააგზავნა. ნაკატას გვარმოწერილი კვართები თვალისდახამხამებაში გაიყიდა (ამ პროდუქციას ალესანდრო გაუჩის ფირმა უშვებს). მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. კლუბის მესვეურები ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი მალე 100 ათასს მიაღწევს. ყველაზე დაბალი ციფრის აღების შემთხვევაშიც კი (ვთქვათ, ერთი მაისურა 10 დოლარი), ნაკატა წლეულს მარტო ამ ბიზნესით მინიმუმ მილიონ დოლარს მოუტანს კლუბს.

იაპონური მასმედია ხომ საერთოდ გადარეული ყოფილა. პერუჯაში თურმე ოცამდე აღმოსავლელი რეპორტიორი დასახლებულა, რომლებიც ნაკატას ყოველი ფეხის ნაბიჯს აღნუსხავენ. გაუჩი-უმცროსი შეფიქრიანებულა კიდეც. ძნელია ნაკატას შესახებ ყოველდღე ახალი თქვა, არადა, იაპონელი ჟურნალისტები მოსვენებას არ გვაძლევენო. საინტერესოა, რომ ინტერნეტის ქსელში ნაკატას ოფიციალურ გვერდს ყოველდღე 10 ათასამდე ადამიანი ათვალიერებს.

ნაკატა უმბრიაში (მხარე, რომლის პროვინციაა პერუჯა) იაპონიის სრულუფლებიანი ელჩიაო, ხუმრობენ იქაურები, მაგრამ ხუმრობაც არის და ხუმრობაც. ფეხბურთელის სანახავად პერუჯაში უამრავი იაპონელი ჩადის და ტურისტულ ფირმებსაც საქმე მიეცათ. მაგალითისთვის „პერუჯა“ — „იუვენტუსის“ მატჩს 5 ათასი იაპონელი დაესწრო.

ნაკატასათვის პერუჯაში საუკეთესო ბინა მიუციათ. გასართობად კი თურმე, რომსა და ფლორენციაში დადის. მას ხშირად ხედავენ ვინმე თანამემამულე გოგონასთან ერთად. ზოგი ამბობს, ერთმანეთი უყვართო, რას გაიგებ...

რაც შეეხება ნაკატას წარსულს. თამაში 9 წლისას დაუწყია. 19 წლისას კი ატლანტის ოლიმპიადაზე მიუღია მონაწილეობა და თავისი წვლილი შეუტანია ფავორიტების, ბრაზილიელების დამარცხებაში. ეროვნული გუნდის ფორმა კი პირველად 1997-ში მოურგია სამხრეთკორეელთა წინააღმდეგ.

შარშან 21 წლის ნაკატა პირველად დაასახელეს აზიის საუკეთესო ფეხბურთელად. მაშინ იაპონელმა ირანელ ხოდადად აზიზის ავჯობა. ასე მოხდა წლეულსაც, ნაკატას შემდეგ მეორე მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდი ალი დაეი აღმოჩნდა.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად იაპონიის ჭაბუკთა ნაკრების კაპიტანი, „ბითლზის“ ლეგენდარული ჯონ ლენონის მეუღლის იოკო ონოს მოგვარე (იქნებ ნათესავიც) შინჯი ონო დაასახელეს, ხოლო აზიის საუკეთესო მწვრთნელის გვირგვინი, ასევე იაპონური „ჯუბილო ივატას“ დამრიგებელს ტაკეში კუვაბარას ერგო.

სოლოგორნ გულისაშვილი

რატომ ღელავენ აზიელები?

იაპონიამ საკუთარ ქვეყანაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატს კინაღამ ბოიკოტი გამოუცხადა

დღევანდელ მსოფლიო ფეხბურთში მეტად აბსურდული სიტუაცია შეიქმნა, თითქოს დამთავრდა, ბოლო მოეღო იმ დროს, როცა მსოფლოს ჩემპიონატები მხოლოდ ევროპასა და ამერიკაში ტარდებოდა. 2002 წელს მსოფლიო თასის მასპინძლობა აზიას ერგო, მაგრამ აზიელებმა, შესაძლოა ბოიკოტი გამოუცხადონ საკუთარ ტურნირს... არა, აქამდე საქმე, ალბათ, არ მივა, რაღაცას მოილაპარაკებენ და კონფლიქტიც მოგვარდება მაგრამ...

რაშია საქმე? უკვე 80-იანი წლებიდან ფიფას მაღალჩინოსანნი ამბობდნენ, რომ 21-ე საუკუნეში პირველი მსოფლიო თასი აზიაში გაიმართებოდა. ეს ამ კონტინენტისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და აზიელებმაც იმედიანი ლოდინი დაიწყეს. შარშან მაისში ფიფას დღევანდელი პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ჰონკონგში იმყოფებოდა, სადაც განაცხადა, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე აზიელებს ხუთ ადგილს გამოუყოფდნენ და შესაძლოა ერთიც დაემატებინათ. ამ ამბავმა აღმოსავლელებს ფრთები შეასხა, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ საფრანგეთის მსოფლიო თასის დამთავრების შემდეგ, სადაც აზიელებს ოთხი წარმომადგენელი ჰყავდათ, განუცხადეს — ადგილების მომატებაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. გამოვიდა, რომ აღმოსავლელებს, უბრალოდ, ადგილები მოჰპარეს. იმის გათვალისწინებით, რომ მასპინძლები იაპონია და კორეა ტურნირში პირდაპირ ჩაებმებიან, გასათამაშებელი მხოლოდ ორი ადგილიღა რჩება.

მთავარი არგუმენტი, რომელიც აზიელთა წარმომადგენლობის ზრდას ეწინააღმდეგება, მათი ნაკრებების დაბალი საფეხბურთო დონეა, მაგრამ მონაწილეები ხომ გეოგრაფიული პრინციპით შეირჩევა და არა სპორტული მაჩვენებლების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა, ევროპისათვის კიდევ 10 ადგილი დაგვემატებინა და აზია-აფრიკა საერთოდ მოგვეკვეთა, მაგრამ ეს მსოფლიო თასის მთავარი პრინციპის დარღვევა იქნებოდა. იქ ხომ, ოლიმპიური თამაშების მსგავსად ბევრი ქვეყნისთვის მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება.

ზოგიერთი ევროპული ქვეყნის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ აზიელებისთვის ისიც საკმარისია, ტურნირი რომ მათთან ჩატარდება, მაგრამ ყოველივე ეს აღმოსავლელების გასაგებ პროტესტს იწვევს. ისინი სადღაც ნანობენ კიდეც, რომ ევროპელებს ალალად უჯერებდნენ.

იაპონიაში დღემდე არ დავიწყებიათ, როცა 1970 წელს ფიფას მაშინდელმა პრეზიდენტმა, სერ სტენლი როუზმა მათ 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა შესთავაზა. სხვა საქმეა, რომ მაშინ იაპონიაში პროფესიული საფეხბურთო ლიგა არ არსებობდა, არ იყო თანამედროვე სტადიონები და ინფრასტრუქტურა. ამიტომ მაშინ ამომავალი მზის ქვეყანაში მოცდა არჩიეს. მაგრამ მას მერე დიდი დრო გავიდა. იაპონიაში წარმოუდგენლად განვითარდა ეკონომიკა, ფეხბურთმაც ლამის სპორტის ეროვნული სტადიონები დაჩრდილა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 1970 წელს ნათქვამი სიტყვები კვლავ გაახსენდათ.

ახალმა იდეამ მოულოდნელი გაგრძელება ჰპოვა. კორეამ, რომელსაც იაპონიასთან შედარებით მიღწევებიც მეტი აქვს და გაცილებით ძველი პროფესიული ლიგაც გააჩნია, 2002 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობა მოინდომა. ეს მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. კორეელთა განზრახვას პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავდა. მათ სურდათ, დაემტკიცებინათ, რომ იაპონიის კოლონიური უღლიდან განთავისუფლების შემდეგ თავადაც კარგად შეეძლოთ მსოფლიო დონის ტურნირის ჩატარება.

ცხადია, ფიფასთვის ორი პრეტენდენტი უკეთესი იყო, მაგრამ ამდგომარეობა მეზობლების ცუდმა ურთიერთდამოკიდებულებამ გაართულა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ როცა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობა ირკვეოდა, კორეაში იაპონური ფილმების ჩვენება და იქაური სიმღერებიც კი აკრძალეს. რაც შეეხება იაპონელებს, მათ შარშან ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნეს, სადაც კოლონიალური პერიოდის დროს კორეელებისთვის მიყენებული ტკივილისთვის საჯარო ბოდიშს იხდიდნენ.

როგორც ჩანს, ფიფას იაპონიასა და კორეის ურთიერთობები მაინცდამაინც არ აღელვებდა და ჩემპიონატის მასპინძლობა ორივეს ერთად დააკისრა. ევროპელთათვის ეს ამბავი ეგებ სულ ერთიც იყოს, მაგრამ ეს იგივეა, დავუშვათ, 2006 წელს ინგლისსა და გერმანიას ერთობლივი მსოფლიო თასის გამართვა რომ შესთავაზონ. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს იაპონელების უკმაყოფილება. ახლა მათ კორეელების მაგიერ უზარმაზარი თანხების დახარჯვა მოუწევთ. მარტო კორეული სტადიონების რეკონსტრუქცია — აშენებას რამდენი დასჭირდება...

ფიფას ჩინოსნებს ეგონათ, რომ იაპონელებს მოიმადლიერებდნენ, როცა მასპინძლობისას კორეა შეუწყვილეს, მაგრამ თუ კორეის დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, ახლა ისინი მადლობლები უნდა იყვნენ, რომ იაპონიამ თავისი კანდიდატურა საერთოდ არ მოხსნა. არადა, ამომავალი მზის ქვეყანაში ამას ბევრი მოითხოვდა.

სხვა მხრივ, აღმოსავლელები დარწმუნებულნი არიან, რომ საფეხბურთო სამყაროში ყველა თანასწორი უნდა იყოს, უმაღლესი დონის ტურნირებში მარტო სპორტული პრინციპით ადგილების განსაზღვრა ზიანის მეტს არაფერს მოიტანს. „უორლდ სოკერის“ რეპორტიორი მაიკ პლარტოუ მიიჩნევს, რომ დადგა დრო, საფეხბურთო თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს მეტი ყურადღება მიაქციონ და არ გაანაწყენონ. მსოფლიო თასის აზიაში გამართვა დიდი ნაბიჯია ამისკენ. მალე უმთავრეს ტურნირს, ალბათ, აფრიკაც უმასპინძლებს და მერე ყველა დაინახავს რომ „ჩამორჩენილებსაც“ შეუძლიათ კარგად თამაში და სტუმრების საუცხოოდ მიღება.

კორეელი გულშემატკივრები საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე

REUTERS ორლანდოდან

ჩაკ დეილი

დაიბადა 1930 წლის 20 ივლისს
სამწვრთნელო კარიერა:
1981-82: კლივლენდ კავალიერზი (9 მოგება, 32 წაგება)
1983-92: დეტროიტ პისტონზი (467 მოგება, 271 წაგება)
1992-94: ნიუ ჯერსი ნეთსი (88 მოგება, 76 წაგება)
1997-99: ორლანდო მეჯიქი (74 მოგება, 58 წაგება)
სულ რეგულარულ სეზონში: 638 მოგება, 437 წაგება
სულ პლეი ოფში: 75 მოგება, 51 წაგება
1989 და 1990 წლებში დეტროიტ პისტონზი ლიგის ჩემპიონი გახადა
1992 წლის ოლიმპიადაზე იყო ამერიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი (I ადგილი)
1994 წელს აირჩიეს ნეისმითის სახელობის საკალათბურთო დიდების დარბაზის წევრად.

ცუდი ბიჭების შემქმნელი წავიდა

24 მაისს, საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე, „ორლანდო მეჯიქის“ მთავარმა მწვრთნელმა, ღვაწლმოსილმა ჩაკ დეილიმ დუნიას ამცნო, რომ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის მწვრთნელის კვალობაზე საკმაოდ მოხუცდა, დროა, სიმშვიდე ჰპოვოს, გამოეთხოვოს აქტიურ კალათბურთს. დეილის ამ გადაწყვეტილებამ მთელი ორლანდო დააამწუხრა, განსაკუთრებით ამ ფლორიდულ ქალაქის საკალათბურთო კლუბი „ორლანდო მეჯიქი“

ძნელი სათქმელია, რამდენად დიდ პატივს სცემენ ამ კაცს არამარტო აწ უკვე ყოფილ გუნდში, არამედ მთელ საკალათბურთო ასოციაციაში, სადაც მან თავისი სიტყვა თქვა. „რა თქმა უნდა, საწყენია, როცა ისეთი დიდებული ადამიანი, როგორიც ჩაკია, თავს ანებებს თავის საქმეს, მაგრამ გვინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადოთ მას აქ გატარებული ორი შესანიშნავი წლისთვის, იმისთვის, რაც შეძლო და რისი გაკეთებაც იოლი არ გახლავთ. მან მთელი გული ჩადო საქმეში და გააკეთა იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ეს შეიძლება მოითხოვო ნებისმიერი მწვრთნელისაგან“ — აი, ასე გამოემშვიდობა მას „მეჯიქის“ გენერალური მენეჯერი ჯონ გაბრიელი და იქვე თქვა, რომ გაძნელდება დეილისთანა კაცთან ასე განშორება, ამიტომაც სულ მალე იგი კლუბის ადმინისტრაციაში ერთ-ერთ საპატიო თანამდებობაზე დაინიშნება.

თვითონ დეილი ნაღვლიანი ჩანდა — ერთი-ორ წელიწადს კიდევ გაეჩერებოდი, მაგრამ დრო თავისას შვრება, დავბერდი, ხუმრობა ხომ არაა, ამ ივლისს 69 წლისა შევსრულდებოდიო. დეილი მართლაც რომ დასაფასებელი და პატივსაცემი კაცი გახლავთ, მისი დარი დღევანდელ ლიგაში ერთი-ორი თუ მოიძებნება. იგი დიდების დარბაზის წევრია. დეილის მთავარი მიღწევები ის არის, რომ მან 1989 და 1990 წლებში ორჯერ გაჩემპიონა „დეტროიტ პისტონზი“. 1992 წელს კი პირველ „დრიმ თიმს“ ედგა სათავეში და მას ბარსელონას ოლიმპიადაზე ოქრო მოაპოვებინა. თავისთავად ვერ დავიჩემებთ და ვერ ვიტყვით, რომ მის გარეშე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მართლაც ბრწყინვალე მოთამაშეთა ნაკრები ოქროს ვერ მიიპოვებდა, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ სწორედ დეილის არგუნეს პროფესიონალთა პირველი და უბადლო ნაკრების თავკაცობა.

1997 წელს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე დეილი დაასახელეს ლიგის ყველა დროის ათ საუკეთესო მწვრთნელთა შორის. დეილის 14 წლის სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში 638 თამაში მოუგია და ამ მაჩვენებლით ლიგის ყველა დროის მწვრთნელთა შორის 14-ე ადგილზეა. იგი ამავდროულად პლეი ოფში, მწვრთნელის რანგში 75 თამაშში გამოვიდა გამარჯვებული. ამ მხრივ დეილი სულაც მეხუთეა.

ცოტა მის სამწვრთნელო კარიერასაც გადავხედოთ. ყმაწვილობაში სტუდენტურ კალათბურთში საკმაოდ გამორჩეულ და ინტელექტუალურ მოთამაშეს ოცნებად ჰქონდა მწვრთნელობა, რაც მალე რეალობად იქცა. 33 წლისა იყო, როცა მას დიუკის უნივერსიტეტის გუნდი ჩააბარეს. აქ მან ექვსი წელი გაატარა. შემდეგ ორი წელი ბოსტონში, მერე კვლავ ექვსი პენსილვანიის უნივერსიტეტში და ყველგან კარგი მწვრთნელის სახელი დაიგდო. 1977 წელს იგი მიიწვიეს ლიგის იმ დროს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ ფილადელფიაში, მთავარი მწვრთნელის — ბილ კანინგემის თანაშემწედ. არც აქ შეურცხვენია თავი. 1981 წელს კლივლენდის მთავარი მწვრთნელი გახდა. აქ კი მას თავის ხანგრძლივ სამწვრთნელო კარიერაში პირველად მოეცარა ხელი. მისი თავკაცობით კლივლენდმა საწყისი 41 თამაშიდან 32 წააგო და დეილიც დაითხოვეს. თითქოს მისი ვარსკვლავი ჩაქრა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დეტროიტმა გაიხსენა და თავისთან მიიწვია, დეილიმაც იგი ბედს სწია.

დეილის ხელში მოთამაშე გუნდები ყოველთვის დაცვაზე აკეთებდნენ აქცენტს და ჰრესა მწვრთნელს ხშირად აკრიტიკებდა, არც სანახაობის მოყვარული გულშემატკივრები სწყალობდნენ და დაცვიდან მოთამაშე „პისტონზს“ მეტსახელად „ცუდი ბიჭები“ შეარქვეს, მაგრამ დეილი თავის საქმეს მშვენივრად უძღვებოდა და 1988 წელს გუნდი ლიგის ფინალში გაიყვანა. იქ დეტროიტმა შვიდმატჩიან სერიაში დათმო მეჯიკ ჯონსონის ბრწყინვალე „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“. აი, მომდევნო წელს კი ლეიკერსი ფინალში 4:0 განადგურდა. კლუბის ისტორიაში პირველ ჩემპიონობას მომდევნო წელს მეორე მოჰყვა, ამჯერად ფინალში პორტლენდს სძლია. მერე იყო ბარსელონას ოლიმპიადა, რის შემდეგაც დეილი ნიუ ჯერსიში გადაბარგდა და მანამდე უსახური გუნდი ორჯერ პლეი ოფში გაიყვანა. 1944 წელს უკვე ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა დაღლა იგრძნო და კალათბურთსაც გამოემშვიდობა, მაგრამ, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, დროებით. გავიდა სამი წელი და იგი ორლანდოში აღმოჩნდა. იქ ორი, საკმაოდ კარგი სეზონი გაატარა და აი, ორიოდ დღის წინ პატივსაცემი კაცი წავიდა აქტიური კალათბურთიდან, ამჯერად ალბათ უკვე საბოლოოდ.

ივანე კოგიაშვილი

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

მელოუნია თუ ტაიბერი?



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — პორტლენდი. სტუმარი რაშიდ ვოლესი (№31) ბრაიონ რასელის წინააღმდეგ

დასავლეთი

იუტა — პორტლენდი 2:3

25 მაისი

იუტა 88:71 პორტლენდი

იუტა: სტოქტონი (6), ჰორნაჩეკი (14), რასელი (22), მელოუნი (23), ოსტერტაგი (4); ანდერსონი (11), ბეილი (2), ეისლი (4), კიფი (2), ფალერი

პორტლენდი: სტუდემაიერი (12), რაიდერი (16), ვოლესი (15), გრანტი (8), საბონისი (2); ვილიამსი (7), ჯეკსონი (6), ენტონი (5), ოგმონი, კატო, ონილი

იუტა-პორტლენდის სერია კონფერენციის ოთხი ნახევარფინალიდან ერთადერთია, სადაც საბოლოო გამარჯვებული ჯერ არ გამოვლენილა. თუ აღმოსავლეთში ინდიანამ და ნიუ იორკმა, დასავლეთში კი სან ანტონიომ 4:0 დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები, „იუტა ჯაზსა“ და „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“ შორის შერკინება კვლავ გრძელდება. ეს ორი გუნდი ერთმანეთის ღირსეული მეტოქეები აღმოჩნდნენ. თავდაპირველად, სერიის პირველ შეხვედრაში, იუტამ შინ გამარჯვება მოახერხა, მერე კი პორტლენდის უპირატესობა გამოკვეთა — სტუმრად ერთი, შინ ორი მატჩი მოიგო და წინ გაიჭრა. ამჯერად ჯაზმა მოახერხა შინ, შმობლიურ „დელტა ცენტრში“ გამარჯვება, სერიის ანგარიში 3:2 გახადა და პორტლენდს სულ ცოტა, 27 მაისამდე გადაუდო გამარჯვება. 27 მაისს მეექვსე თამაში პორტლენდში გაიმართება, იქ კი იუტას განსაკუთრებით გაუჭირდება — ბოლო 11 მატჩიდან ცხრა წააგო, მათ შორის სერიის მესამე და მეოთხე თამაშები. ამ სეზონში პორტლენდი შინ სულ სამჯერ დამარცხდა, ისიც რეგულარულ ჩემპიონატში. მას შინაური სარბიელის დიდი იმედი აქვს. თუ ჯაზს არ სურს, პლეი ოფის მეორე წრიდან ბოლო სამ წელიწადში პირველად გამოვარდეს, მომდევნო თამაშში წარმატებას უნდა მიაღწიოს. ამის მერე მეშვიდე, შინაურ შეხვედრაში თავის გადადება მართებს.

რაც შეეხება ამ მატჩს, აქ მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. „ისინი ისე მოვიდნენ, აშკარა იყო, მოგება უნდოდათ, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ნაადრევად შინ წასვლა (იგულისხმება პლეი ოფიდან გავარდნა). დღეს ვაჩვენეთ, რომ პორტლენდმა ნაადრევად ჩამოვწერა“ — ამბობდა მატჩის შემდეგ მასპინძელთა ლიდერი კარლ მელოუნი, რომელიც მომხდურებს დაერია სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. გარდა იმისა, რომ გუნდის 88 ქულიდან 23 თავის ანგარიშზე ჩაიწერა და ფარქვეშ დიდი მუშაობა გასწია, მატჩის პირველ ნახევარში „ფოსტალიონმა“ თავის პერსონალურ მეურვე ბრაიან გრანტს იდაყვი მოარტყა სახეში და ფაქტობრივად ბრძოლიდან გამოთიშა. ამის შემდეგ საცოდავ გრანტს მიზანი აერია და საბოლოოდ მისთვის შეუფერებელ რვა ქულას დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ ამ სერიაში ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა საცოდავმა გრანტმა მელოუნის ხელის სიმძიმე საკუთარ ცხვირ-პირზზე გამოსცადა. სერიის პირველ შეხვედრაში, რომელიც ასევე იუტას გამარჯვებით დასრულდა, ფარქვეშ ბრძოლისას მელოუნმა იდაყვის უშნოდ მოჭრევის შედეგად ერთი ისეთი უთავაზა გრანტს, საწყალი პორტლენდელი რამდენიმე წუთს იატაკზე იწვა, შემდეგ კი თვალის ახლოს ნაკერებიც მიიღო. მელოუნს ალბათ ამჯერადაც დასჯიან (ადრე 10 000 დოლარით დააჯარიმეს), მაგრამ ვეჭვობთ, იუტელის ჯიბის შეთხელებამ ბრაიან გრანტის დაჟეჟილ-დაჩეხილ სახეს რაიმე არგოს. არადა, იმ თამაშებში, რომლებშიც გრანტი მელოუნის მძიმე ხელს გადაურჩა, თუ არ აჯობა, არც ჩამორჩა ალბათ ლიგაში მისთვის ყველაზე საძულველ მოთამაშეს და თავისიანთა სამ გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო. მათ ერთმანეთი სძულთ და ამას არც მალავენ. მელოუნი შარიანი და ერთობ მძიმე ხასიათისაა, გრანტი კი მხიარული და ემოციური. „მე ვიცი, მას გულზე არ ვეხატები და მანაც იცის, რომ არ მიყვარს“ — ამბობს იუტელი. მარტო გრანტი როდია მისი მოძულე. ბებერ, ჯანიან მელოუნს ბევრი ჩაუდია გრანტის დღეში და თუ არ დაუსახიჩრებია, იმ თამაშიდან მაინც გამოუთიშია საბოლოოდ. 36 წლის „ფოსტალიონი“ ამ მხრივ ლიგაში ყველას აჭარბებს. შორს წასვლა არცაა საჭირო. წინა სერიაში საკრამენტოს ცენტრმა, მებრძოლი ხასიათის მქონე იუგოსლავმა ვლადე დივაცმა არაერთხელ ივემა მელოუნის ხელი, ხმაც აიმაღლა მის წინააღმდეგ და დიდი დაკა-დაკას გამართვას სულ ცოტა დაკლდა.

ირაკლი ფირაშვილი

ევროლიგა-2000

ევროპის ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატების დასრულებისას გაირკვა იმ 24 გუნდის ვინაობა, რომლებიც ევროლიგის 1999-2000 წლების გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. ესენი: ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია), ვარეზე (იტალია), ბენეტონი (ტრევიზო, იტალია), ვილერბანი (საფრანგეთი), პო ორტეზი (პო, საფრანგეთი), შოლე (საფრანგეთი), ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი), პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი), პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი), თოფაში (ბურსა, თურქეთი), ეფეს პილსენი (სტამბოლი, თურქეთი), ულქერი (სტამბოლი, თურქეთი), კახა სან ფერნანდო (სევილია, ესპანეთი), რეალი (მადრიდი, ესპანეთი), ბარსელონა (ესპანეთი), ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია), პივოვარნა (ლასკო, სლოვენია), ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია), ბუდუჩნოსტი (პოდგორიცა, იუგოსლავია), ჟალგირისი (კუნასი, ლიტვა), ცსკა (მოსკოვი, რუსეთი), ციბონა (ზაგრები, ხორვატია), მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი), ალბა (ბერლინი, გერმანია).

ევროლიგის გათამაშების ფორმულა იგივე დარჩა. პირველ ჯგუფურ ეტაპზე შეიქმნება ოთხი ექვსგუნდიანი ჯგუფი. ამ ჯგუფების კენჭისყრა 11 ივლისს გაიმართება.

ევროპის ქვეყნების 1998-99 წლების ჩემპიონები

ავსტრია	სენტ პიოლტენი	ისრაელი	მაკაბი თელ ავივი
ბელარუსი	გროდნო 93	იტალია	ვარეზე
ბელგია	შარლერუა	ლატვია	ბროცენი
ხორვატია	ციბონა	ლიტვა	ჟალგირისი
ჩეხეთი	მლეკარნა	ნორვეგია	ულრიკენი
დანია	სკოვბაკენი	პოლონეთი	შლიონსკი*
ესტონეთი	ბკ ტალინი	პორტუგალია	პორტუ
ფინეთი	კოუვოტი	სლოვენია	ოლიმპია
საფრანგეთი	პო ორტეზი	სლოვაკეთი	სლოვაკოფარმა**
მაკედონია	რაბოტნიჩკი	ესპანეთი	ბარსელონა
გერმანია	ალბა	შვედეთი	პლანია
საბერძნეთი	პანათინაიკოსი	შვეიცარია	ფრიბურგი
ჰოლანდია	ასტრონაუტსი	თურქეთი	თოფაში
უნგრეთი	ალბაკომპი	უკრაინა	ბიპა მოდა
ისლანდია	კეფლავიკი	ინგლისი	ლონდონ თაუერზი
ირლანდია	სტარ ოფ ზე სი	იუგოსლავია	ბუდუჩნოსტი

* *შლიონსკის რიგებში პოლონეთის ჩემპიონი გახდა კახა შენგელია*
** *სლოვაკოფარმას რიგებში სლოვაკეთის ჩემპიონი გახდა დავით ბერძენიშვილი*

XX საუკუნე სპორტის საუკუნეა, საქართველო — სპორტის ქვეყანა. მართალია, აწმყოთი ვერ დავიტრაბახებთ, მაგრამ წარსული გვაქვს თავმოსაწონი. სწორედ ქართული სპორტის საუკუნოვან მიღწევათა წარმოსაჩენად, შესაჯამებლად და შესაფასებლად იმართება

რეფერენდუმი

რომელიც გამოავლენს XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებს, გუნდებს, მწვრთნელებს, სპორტის მოღვაწეებს

ამ საქმის თაოსანია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. მხარდამჭერნი — საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის მართვის ადგილობრივი ორგანოები, სპორტული საზოგადოებები, ფედერაციები, კლუბები, სპორტის აკადემია და კვლევითი ინსტიტუტი, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები.

სარეფერენდუმო კომიტეტს უხელმძღვანელებს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ჟიურის — გაზეთ „სარბიელის“ მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.

19 მაისს გამართულ სარეფერენდუმო კომიტეტის პირველ სხდომაზე მიიღეს რეფერენდუმის დებულება, დაამტკიცეს ჟიურის შემადგენლობა, შეაჯამეს ლაურეატთა პრიზზე გამართული მოქანდაკეთა კონკურსის შედეგები.

ასე დაიწყო ხუთთვიანი სარეფერენდუმო მარათონი, რომელიც ოქტომბერში თბილისის სპორტის სასახლეში ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალით დასრულდება.

„სარბიელი“, ცხადია, იმათ შორისაა, ვისი საინფორმაციო მხარდაჭერაც არ მოაკლდება რეფერენდუმს.

დღეს გთავაზობთ რეფერენდუმის დებულებას, რომელიც დამტკიცებულია სარეფერენდუმო კომიტეტის პირველ სხდომაზე, 1999 წლის 19 მაისს.

XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების, სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი

რეფერენდუმის დებულება

I. სარეფერენდუმო კომიტეტი

ხელმძღვანელობს რეფერენდუმს, წარმართავს საორგანიზაციო საქმიანობას, ამტკიცებს ჟიურისა და კომისიის პერსონალურ შემადგენლობას, ავრცელებს რეფერენდუმთან დაკავშირებულ ინფორმაციას, აწყობს ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს.

II. რეფერენდუმის ჟიური

ჟიურის შემადგენლობაში შედის კომიტეტის მიერ მოწვეული 60 წევრი — საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და თაობის წარმომადგენლები, კომპეტენტური და ავტორიტეტული პიროვნებანი. ჟიურის თითოეულ წევრს აქვს ერთი სარეფერენდუმო ხმა და მონაწილეობს ყველა ნომინაციის საანკეტო გამოკითხვაში. ჟიურის ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს სარეფერენდუმო კომიტეტი.

რეფერენდუმი გამართულად ითვლება, თუ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ჟიურის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75-მა პროცენტმა.

III. სარეფერენდუმო კომისია

აჯამებს საანკეტო გამოკითხვის შედეგებს და ადგენს ოქმებს, დასამტკიცებლად წარუდგენს სარეფერენდუმო კომიტეტს. კომისიის წევრი არ შედის კომიტეტისა და ჟიურის შემადგენლობაში. კომისია 7-კაციანია, ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

IV. ნომინაციები

რეფერენდუმი იმართება 6 ძირითად და 1 საგანგებო ნომინაციაში.

ძირითადი ნომინაციები: 1) საუკუნის სპორტსმენი — ქალები, კაცები; 2) საუკუნის 3 საუკეთესო სპორტსმენი ქალი; 3) საუკუნის 3 საუკეთესო სპორტსმენი კაცი; 4) საუკუნის 3 საუკეთესო გუნდი; 5) საუკუნის მწვრთნელი; 6) საუკუნის სპორტული მოღვაწე.

საგანგებო ნომინაცია: გულშემატკივრების რჩეული (1 სპორტსმენი).

V. ლაურეატთა გამოვლენის წესი

პირველი ნომინაცია: რეფერენდუმი იმართება ერთ ტურად. ჟიურის თითოეული წევრი ასახელებს 15 სპორტსმენ ქალსა და 25 სპორტსმენ კაცს. ყოველ დასახელებულ სპორტსმენს ერიცხება ერთი ხმა. სპორტსმენი, რომელიც ხმათა საერთო რაოდენობის 25 პროცენტს და მეტს მოაგროვებს, ცხადდება პირველი ნომინაციის ლაურეატად.

მეორე და მესამე ნომინაციები. რეფერენდუმი იმართება ერთ ან ორ ტურად (საჭიროების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი ტური) და მონაწილეობენ პირველი ნომინაციის ლაურეატები.

I ტური. ანკეტებში სახელდება 3-3 საუკეთესო ქალი და კაცი. პირველ ადგილზე დასახელებულს ერიცხება 10 ქულა, მეორეს — 5, მესამეს — 3 (პირველ ტურში მოპოვებული ქულები მეორეში არ ითვლება).

II ტური. მონაწილეობენ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც I ტურში დაგროვილი ქულათა ჯამით ანკეტებში დასახელებულთა საერთო რაოდენობის პირველ ნახევარში (კენტი რიცხვის შემთხვევაში — 50%+1) მოხვდებიან. პირველ ადგილზე დასახელებულს ერიცხება 5 ქულა, მეორეს — 3, მესამეს — 2.

დამატებითი ტური

ა) ინიშნება I ტურის შემდეგ, თუ ქულათა თანაბრობის გამო ვერ ვლინდება ანკეტებში დასახელებულთა საერთო რაოდენობის ნახევარი (დამატებით ტურში მხოლოდ თანაბარქულიანები მონაწილეობენ).

ბ) ინიშნება II ტურის შემდეგ, თუ ქულათა თანაბრობის გამო ვერ ვლინდებიან I, II და III ადგილებზე გასულები (დამატებით ტურში მხოლოდ თანაბარქულიანები მონაწილეობენ). დამატებით ტურში პირველ ადგილზე დასახელებულს ერიცხება 3 ქულა, მეორეს — 2, მესამეს — 1.

მეოთხე ნომინაცია. რეფერენდუმი იმართება ერთ ტურად. ჟიურის თითოეული წევრი ასახელებს 3 საუკეთესო გუნდს. პირველ ადგილზე დასახელებულს ერიცხება 5 ქულა, მეორეს — 3, მესამეს — 2, ქულათა ჯამით I, II და III ადგილებზე გასულები ცხადდებიან მეოთხე ნომინაციის ლაურეატებად.

მეხუთე ნომინაცია. რეფერენდუმი იმართება ერთ ტურად. ჟიურის თითოეული წევრი ასახელებს 10 საუკეთესო მწვრთნელს. თითოეულს ერიცხება თითო ხმა. მწვრთნელი, რომელიც ხმათა საერთო რაოდენობის 25 პროცენტს და მეტს მოაგროვებს, ცხადდება პირველი ნომინაციის ლაურეატად.

საგანგებო ნომინაცია ლაურეატი ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

V. მუხლის განმარტება: თუ I ტურის შემდეგ მეორე და მესამე ნომინაციების ანკეტებში 6-ზე ნაკლები სპორტსმენია დასახელებული, II ტური არ გაიმართება. ქულათა ჯამით I, II და III ადგილებზე გასული სპორტსმენები ცხადდებიან ნომინაციის ლაურეატებად.

საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტური ინიშნება.

VI. რეფერენდუმის ვადები

პირველი ნომინაცია — ივნისი, 1999 წ.

მეორე და მესამე ნომინაციები — I ტური: ივლისი, 1999 წ; II ტური: აგვისტო, 1999 წ; დამატებითი ტურები: ივლისი, სექტემბერი , 1999 წ.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნომინაციები — აგვისტო, 1999 წ.

საგანგებო ნომინაცია — ივნისი, სექტემბერი, 1999 წ.

VII. ლაურეატები

ლაურეატებს ენიჭებათ ტიტულები:

1. პირველი ნომინაცია — *„საქართველოს საუკუნის სპორტსმენი“.*
2. მეორე და მესამე ნომინაციები — *„საქართველოს საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი“* (ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზები).
3. მეოთხე ნომინაცია — *„საქართველოს საუკუნის საუკეთესო სპორტული გუნდი“* (ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზები).
4. მეხუთე ნომინაცია — *„საქართველოს საუკუნის მწვრთნელი“.*
5. მეექვსე ნომინაცია — *„საქართველოს საუკუნის სპორტული მოღვაწე“.*
6. საგანგებო ნომინაცია — *„გულშემატკივრის რჩეული“.*

VIII შედეგთა გამოქვეყნება და ლაურეატთა დაჯილდოება

პირველ ნომინაციაში რეფერენდუმის შედეგები გამოქვეყნდება 1999 წლის ივლისში, დანარჩენ ნომინაციათა რეფერენდუმის შედეგები — ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე, 1999 წლის ოქტომბერში.

წასულებს რა ეჭირთ, დარჩენილებმა იკითხონ

პაატა გვასალია: მაჩხუბეთ, სალხი არა ხართ?!

პაატა გვასალია

ᲝᲠᲘ დღეა, გაპროფესიონალებულ ქართველ მოკრივეებზე გიორგი კანდელაკსა და კობა გოგოლაძეზე მოგითხრობთ. ბიჭები ლონდონში, ლენოქს ლუისის კოლეჯში ჩინებულ პირობებში ვარჯიშობენ, პროფესიულ რინგზე თავის გამოჩენა სურთ და ღმერთმა ხელიც მოუმართოთ. არადა, რამდენიმე ხნის წინ სწორედ ისინი იყვნენ საქართველოს მოკრივეთა ნაკრების ლიდერები და მოყვარულთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე უპირველესად მათი გვეიმედებოდა. აკი გიორგი კანდელაკმა 1997 წელს დამოუკიდებელ საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატის ჯერჯერობით პირველი ოქრო მოუპოვა. დღეს კი ქართველ მოკრივეთა ნაკრების ლიდერობა წლეულს რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ფოთელმა პაატა გვასალიამ იტვირთა. ჰოდა, ამჯერად კანდელაკისა და გოგოლაძის პროფესიული ამბები დროებით გვერდზე გადავდოთ და აქ დარჩენილ გვასალიაზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

პაატა ამჟამად ფოთშია და იქ ვარჯიშობს, ფილიპინების მსოფლიოს ჩემპიონატი კარს მომდგარა, აგვისტომდე ბევრი დროც აღარ რჩება და მსოფლიოს პირველობისთვის მზადება სწორედ რომ დროულად დაუწყია, მაგრამ ერთ დიდ პრობლემას არა მარტო იგი, არამედ მთელი ჩვენი ნაკრები იალიან შეუწუხებია და ეს საშეჯიბრო პრაქტიკის არქონაა. — „ვვარჯიშობ, მაგრამ თუ აგვისტომდე საერთაშორისო ტურნირში არ მივიღე მონაწილეობა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლის მოპოვება გამიჭირდება, თუმცა მე ჩემსას ვეცდები, ნაკრებთან ერთად შეკრებასაც გავივლი და იმედია, ფედერაციის დახმარებით რომელიმე ტურნირზე წასვლასაც მოვახერხებთ“ — გვითხრა პაატა გვასალიამ.

ᲙᲐᲮᲐ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

მაძღარი დათვები მატარებლის ჩამოვლას ელიან



დათვებმა დღემდე ყველა მეტოქე დატორეს და დაიფრინეს. ან კი რა გასაკვირია, როცა გუნდში ისეთი მოთამაშე ჰყავთ, როგორიც მუდამ თავდაუზოგავი ემზარ ძაგნიძეა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩი „ყოჩებსა“ და „ლოკომოტივი 2“-ს შორის, რომელიც შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ სამშაბათისთვის გადაიდო და საღამოს შვიდი საათისთვის ჯერაც არ იყო დაწყებული, მოგვიანებით მაინც ჩატარდა და ჩემპიონის მიერ უმცროს რკინიგზელთა განადგურებით 79:7 დასრულდა. ეს შეხვედრა მესამე გახლდათ მეხუთე ტურში სათამაშო ოთხი მატჩიდან. ის ერთადერთი გაუმართავი ორთაბრძოლა უნივერსიტეტსა და ასკ-ს შორის უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჯერაც ვერ ჩატარდა და ჯერჯერობით არც არავინ იცის, როდის მოხერხდება. „ყოჩები“ — „ლოკომოტივი 2“-ის გარდა ამ ტურში ერთმანეთს „ლოკომოტივი 1“ — „რუსთავი“ და „ზორდა“ — „დათვები“ შეხვდნენ. ჩემპიონისა და უმცროს რკინიგზელთა შეხვედრის ამბავზე უკვე ვთქვით. წინა ტურში „ლოკომოტივის“ პირველ გუნდთან დამარცხების ჯავრი „ყოჩებმა“ პატარა ლოკომოტიველებზე იყარეს. რაც შეეხება რკინიგზელთა დიდ გუნდს, „ლოკომოტივი 1“ „რუსთავს“ სტუმრობდა ვარკეთილში, რადგან რუსთავის სტადიონს დროებითი დისკვალიფიკაცია აქვს და ამ ქალაქის გუნდიც ახლო-მახლო სხვა სარბიელის არარსებობის გამო მეტოქეებს ვარკეთილში „მასპინძლობს“. შეხვედრის შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი. საკითხავი ისღა იყო, რამდენად დაინდობდნენ ლოკომოტიველები რუსთაველებს. 62:19 — თავად განსაჯეთ, დაინდეს თუ არა. ისიკაა აღსანიშნავი, რომ რკინიგზელებს ამ მატჩში რამდენიმე მობურთალი აკლდათ, ისინი კი, ვინც მოედანზე იყვნენ, თავს დიდად არ იკლავდნენ. ტურის ცენტრალური შეხვედრა კვირას გაიმართა „ზორდას“ და „დათვებს“ შორის. ამ ტურამდე დაუმარცხებელი ბათუმელები არც მეხუთე ტურში აპირებდნენ სასიამოვნო ტრადიციის დარღვევას და ეს შეძლეს კიდეც, თუმცა საამისოდ დიდი ჯაფა დაადგათ. ზორდელ ვართანიანს რამდენიმე საჯარიმო რომ არ გაეცუდებინა, მატჩი ეგებ სხვა შედეგიანაც დასრულებულიყო. ისე კი, შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს ჯერაც არ წუგიათ და 13 ივნისამდე, ანუ იმ დღემდე, როცა ისინი „ლოკომოტივის“ პირველ გუნდს შეხვდებიან, საეჭვოა, ვინმემ მათი დამარცხება შეძლოს. ვითომ „ლოკომოტივი 1“, მოახერხებს ამას?

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ

ვარდისფერი სეზენატიკო

მარკო პანტანი სამშაბათს თავის მშობლიურ ქალაქ სეზენატიკოში პელოტონთან ერთად მივიდა. სან სეპოლკროში დაწყებული „ჯიროს“ მეთერთმეტე ეტაპი კი სხვა იტალიელმა ივან კუარანტამ მოიგო.

ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე ამ პატარა კურორტმა თავის მოქალაქეთაგან ყველაზე ცნობილს საზეიმო მიღება მოუწყო. ყველა მალაზიის ვიტრინა და სახლის აივანი ვარდისფრად („ჯიროს“ ფერად) იყო მორთულ-მოკაზმული. თუმცა, თავად პანტანის არ ეცვა იგივე ფერის მაისურა. ყველა ქუჩაზე, რომელზეც ველომრბოლებს უნდა გაევლოთ, „ილ პირატის“ სახელი ეწერა. ხალხი მას ოვაციებით და აპლოდისმენტებით შეხვდა. ერთი სიტყვით, მთელმა სეზენატიკომ დაამტკიცა, რომ პანტანის, ამ ქალაქში ყველა სიყვარულით და უდიდესი პატივისცემით ეპყრობა.

„სეზენატიკოში „ჯიროს“ ერთ-ერთი ეტაპის დამთავრებაზე არც კი მიოცნებია“ — თქვა „მეკობრემ“, ვისაც საკუთარ ქალაქის ქუჩებში უკანასკნელად თექვსმეტი წლისას უტრიალებია ჰედლები, როცა რეგიონალურ შეჯიბრში მონაწილეობდა. თუმცა შარშან გაკეთებულმა დუბლმა (მან „ჯირო“ და „ტურ დე ფრანსი“ მოიგო) პანტანის პოპულარობა იმდენად გაზარდა, რომ იტალიის მთავარი ტურნირის ორგანიზატორებმა მისი ხათრით მეთერთმეტე ეტაპის ფინიში სეზენატიკოში დაგეგმეს.

სწორედ „ვია დეი მილზე“, ქუჩაზე სადაც ადრე პანტანი ცხოვრობდა (ახლა მას სახლი გარეუბანში აქვს), მოეწყო საფინიშო სპრინტიც, რომელსაც მარკო შორიდან ადევნებდა თვალყურს.

„მობილვეტას“ 24 წლის წევრმა კუარანტამ ისეთ ძლიერ ჰეპლებს აჯობა, როგორებიც მარიო ჩიპოლინი, იან სვორადა და იერო ბლიილევენსი არიან. ეს ახალგაზრდა იტალიელის წლევანდელ „ჯიროზე“ მოპოვებული მეორე გამარჯვებაა. „ჯიროს“ პირველი ეტაპი, რომელიც კუნძულ სიცილიაზე გაიმართა, მისი გამარჯვებით დასრულდა და კუარანტას ერთი დღით საერთო ჩათვლის ლიდერის ვარდისფერი მაისურაც ეცვა.

ფრანგმა ლორან ჟალაბერმა, რომლის გუნდ „ონსეს“ სამშაბათს დილით ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ დოპინგ-კონტროლი ჩაუტარდა, საერთო ჩათვლაში ლიდერობა არამარტო შეინარჩუნა, არამედ გაზარდა კიდეც. საშუალედო ფინიშზე მეორემ, პანტანის ოთხი წამით გაასწრო.

მეთორმეტე ეტაპი გუშინ მარიო ჩიპოლინის გამარჯვებით დასრულდა, ვარდისფერი მაისურა კი კვლავ ჟალაბერს დარჩა.

გაგი გურული

მეთორმეტე ეტაპი

სეზენატიკო — სასუოლო (170 კმ)
1 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო)
2 ივან კუარანტა (იტალია, მობილვეტა)
3 იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, TVM)
4 ლუკა სეი (იტალია, ნავიგარე)
5 მატეო ტოსატო (იტალია, ბალანი)

საერთო ჩათვლა

1 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) 50 სთ, 53 წთ, 56 წმ
2 მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) +4 წმ
3 დარიო ფრიგო (იტალია, საეკო) +1,02 წთ
4 სერგეი გონჩარი (უკრაინა, ვილი კალ-დირილა) +1,13 წთ
5 ივან გოტი (იტალია, ჰოლტი) +1,17 წთ

ივან კუარანტამ წლევანდელი „ჯიროს“ მეორე ეტაპი მიითვალა

REUTERS სეზენატიკოდან

კაფელნიკოვმა მეტოქის ჯავრი ჩოგანზე იყარა

ჯიგრიანი და უჯიგრო



საფრანგეთის დედაქალაქი პიტ სამპრასს არც ამჯერად დაუხვდა გაშლილი ხელებით, პურითა და მარილით — მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს უკვე პირველ წრეში გადახდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

კოსტარიკელი ხუან ანტონიო მარინი კლასიფიკაციაში 92-ე გახლავთ და აქამდე დიდი სლემის ტურნირზე ერთი მატჩიც კი არ მოეგო, მაგრამ მასსა და 11 „მეჯოორის“ ჩემპიონ ამერიკელს შორის ამ დღეს განსხვავებას ძნელად თუ შეამჩნევდით.

ჩია მარინი მთელი მატჩის მანძილზე უმკლავდებოდა „პისტოლ პიტის“ ყუმბარისებურ დარტყმებს, მეტოქეს მონოტონური, თავდაცვითი ჩოგბურთი მოახვია თავს და უზომოდაც დაქანცა. როდესაც მეოთხე სეტის ტაი-ბრეიკზე კოსტარიკელმა მატჩ-პოინტი უზადო ბექჰენდით გადაარჩინა, ნახტომგაცუდებული სამპრასი წუთზე მეტი იჯდა კორტზე და წამოდგომაც უჭირდა. მეორე მატჩ-პოინტი თავად პიტმა გააფუჭა — რაკი სირბილის თავი აღარ ჰქონდა, ფონს მოწოდებით დააპირა გასვლა და ეისის ნაცვლად ორმაგი შეცდომა მოიმკო.

სხვა ჩოგბურთელი იქნებ გატეხილიყო და ცხვირი ჩამოეშვა, მაგრამ სამპრასი დიდი ჩემპიონი სწორედ მებრძოლი ხასიათისაა და გამოუვალი სიტუაციებიდან თავის დაღწევის ნიჭით გახდა. პიტმა ჯერ მცირე შესვენება ითხოვა და სული მოითქვა, მერე შემორჩენილი ენერგია მატჩის ბოლოს, გადამწყვეტი წუთისთვის შემოინახა და გამოუცდელ მეტოქეს, რომელსაც თავი იქნებ მეორე წრეშიც წარმოედგინა, მეათე გეიმში მოწოდება აართვა — 6:7 (5:7), 6:4, 7:5, 6:7 (9:11), 6:4, 4 საათსა და 20 წუთში.

„მეხუთე სეტში თავს საშინლად ვგრძნობდი და მხოლოდ საკუთარმა ნებისყოფამ მიშველა — ტუჩები მოვკუმე და ველოდი, ბედი როდის გამიღიმებდა. ასეთ მატჩებში მთავარია ჯიგარი და მოგების დიდი სურვილი გქონდეს. მე კი აქ წარმატებით ასპარეზობა ძალიან, ძალიან მსურს“ — განაცხადა მოგვიანებით დაქანცულმა, მაგრამ გახარებულმა სამპრასმა.

ის, რამაც პისტოლ პიტს კარიერაში უამრავი მსგავსი შეხვედრა მოაგებინა, მსოფლიოს ახლანდელ პირველ ჩოგანს, ევგენი კაფელნიკოვს სანთლითაც რომ უძებნოთ, ძნელად თუ უპოვით. სწორედ ამიტომ ტურნირის პირველი დიდი სენსაციის თანაავტორი, ან უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, მსხვერპლი სამპრასი კი არა, სოჭელი ჟენია შეიქნა.

მაიკლ ჩანგთან ასე თუ ისე ნორმალურად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ დომინიკ ჰრბატისთან ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულმა ისევ ბოლო ორი თვის მსგავსად გაუბერა და უამრავი უნებლიე შეცდომა დაუშვა. გაღიზიანებული ჟენიას ომახიანმა რუსულმა ლანძღვა-გინებამ „ბავშვების დღეს“ ცენტრალურ კორტზე უფასოდ დაშვებული ათასობით სკოლის მოსწავლის ჟივილ-ხივილიც კი გადაფარა, ამას ერთხელ ჩოგნის გატეხვაც მოჰყვა, მაგრამ საქმეს ვერაფერმა უშველა — 4:6, ᲮᲬ, 4:6

ისე 21 წლის ჰრბატმა კაფელნიკოვს აქამდეც სამივე პირად შეხვედრაში აჯობა. „არა, ეს წაგება შიშის ბრალი არ არის. მე მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვარ და ჩემს დამარცხებას ყველა გაათკეცებული ჟინით ცდილობს. ამიტომ როდესაც 100 პროცენტით მზად არ ვარ, წარმატების მიღწევა ძალიან ძნელდება“ — ფსიქოანალიზში გარკვევას ჟენიას ის უჯობდა, სამპრასს ერთი-ორ რჩევას გამორჩენოდა.

პირველი წრე: ფელიქს მანტია (14, ესპანეთი) — როდოლფ ჟილბერი (საფრანგეთი) 4:6, 6:4, 6:3, 6:4; **ჯეისონ სტოლტენბერგი** (ავსტრალია) — მარკ ფილიპუსისი (10, ავსტრალია) 7:6 (7:4), 6:4, 6:1; **ტომარ პაასი** (გერმანია) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (8:6), 7:6 (7:4), 6:1.

მეორე წრე: ვინსენტ სპეიდა (აშშ) — რიჩარდ კრაიჩეკი (5, პოლანდია) 6:1, 6:2, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (7, ინგლისი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 5:7, 6:1, 7:5, 6:2; **მარსელო რიოსი** (9, ჩილე) — არნო ბიოჩი (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 7:5; **მარატ საფინი** (რუსეთი) — იენს ჯნიპშილდი (გერმანია) 6:3, 4:3 — ტრავმა.

სამაგიეროდ, დიდი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა ასპარეზობის მეორე-მესამე დღეებმა ქალებს შორის. ერთადერთი ფავორიტი, ვისაც მომდევნო წრეში გასასვლელად ოფლის ღვრა დასჭირდა, შვეიცარიელი პატი შნიდერი (11) იყო. ამან კორინა მორარიუს ძლევას სამი სეტი მოანდომა 3:6, 6:3, 8:6.

გაახარა მასპინძლები მარი პირსმა (8). ფრანგმა ლამაზმანმა სამხრეთაფრიკელ ჯოანეტ კრუგერს 6:4, 6:3 აჯობა, მერე კი საქვეყნოდ განაცხადა, ბოლო ხანებში კუნთები რომ დავიზარდე, სულ კანონით დაშვებული ნივთიერების კრეატინის დამსახურებააო: „არ მესმის, ამ ბოლო ხანებმა საფრანგეთში ამის შესახებ დიდი აურზაური რომ ატყდა. აშშ-ში (სადაც მარი ბინადრობს) კრეატინი ყველა სუპერმარკეტში იყიდება.“

როგორც ამბობენ, პირსზე არანაკლებ კრეატინს დები უილიამსებიც ემადლიერებიან.

პირველი წრე: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ჯეინ ჩი (აშშ) 6:3, 6:1; **ნატალი ტოზია** (9, საფრანგეთი) — ამელი კოშტო (საფრანგეთი) 6:4, 6:3; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — თამარინე თანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — ვირჩინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:3.

მეორე წრე: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ამელი მორეტმო (საფრანგეთი) 6:3, 6:3; **იანა ნოვოტნა** (4, ჩეხეთი) — ადრიანა გერში (ჩეხეთი) 6:3, 6:2; **ვინუს უილიამსი** (5, აშშ) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 7:6 (7:3), 6:0; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (7, ესპანეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:1, 6:2; **სერენა უილიამსი** (10, აშშ) — მარიანა დიას ოლივა (არგენტინა) 6:3, 6:4; **ბარბარა შეტი** (15, ავსტრია) — ქიმბერლი პო (აშშ) 6:3, 3:6, 6:1

ავთანდილ სვანიძე



მარი პირსი

კორდას გედის სიმღერა?

საფრანგეთის ღია პირველობა პეტერ კორდასთვის, სავსებით შესაძლებელია, კარიერის უკანასკნელი ტურნირი გამოდგეს.

წითურმა, ახმახმა და ძვალტყავა ჩეხმა შარშანდელ უიმბლდონზე დოპინგის ტესტი რაც ჩაფლავა, მისი ცხოვრება ჯოჯოხეთს დამსგავსა: დაუსრულებელი გარჩევები, სასამართლო პროცესები, გადამტერებული კოლეგები. ადვოკატთა მთელი არმიის დახმარებით 31 წლის ვეტერანი ერთი წლით მოკვეთას რამდენჯერმე დაუძვრა, მაგრამ განკითხვის დღე შეიძლება მაინც მალე დადგეს — რამდენიმე დღეში სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო (CAS) ამ საქმეს კიდევ ერთხელ განიხილავს.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ შექმნილი სიტუაციით. იმედი მქონდა, პროცესი მალე მაინც შედგებოდა, მაგრამ ესეც უსაშველოდ გაჭიანურდა. თუ როლან გაროსი ჩემთვის ბოლო ტურნირი გამოდგა, ეს ჩემი გადაწყვეტილება არ იქნება, ყველაფერი მოსამართლეებზეა დამოკიდებული“ — აღნიშნა კორდამ, რომლის პროფესიონალური დებიუტი სწორედ პარიზში შედგა 11 წლის წინ.

შარშან ამ დროს ავსტრალიის ღია პირველობის მომგები ჩეხი მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლაში იყო ჩართული, ახლა კი კლასიფიკაციაში 124-ე ადგილზე იმყოფება: „ამ სკანდალმა ჩემი თამაში, მე, როგორც ჩოგბურთელი, საბოლოოდ დაასამარა. მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ჩოგბურთის გარდა სხვა უფრო მნიშვნელოვანი ინტერესებიც მაქვს — ჩემი ოჯახი, ცოლი და ორი პატარა გოგონა“.

მარტინა ძველმანეებში

მუდმივად მომღიმარ მარტინა ჰინგისს როლან გაროსზე ჩვეულ ზიზილ-პიპილოებში გამოწყობილს ველარ იხილავთ — მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავისი ტანისამოსით მომმარაგებელ ფირმა „სერჯიო ტაჩინის“ საბოლოოდ დაკარგვინა მოთმინება და ამ უკანასკნელმაც მას წლიურად 4-5 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გაუწყვიტა.

18 წლის შვეიცარიელი პარიზს თავისი ჩოგნის ფირმის მიერ სახელდახელოდ მიწოდებული ვერაფერიშვილი აღკაზმულობით ეწვია, მაგრამ მარტინას თქვენი თანაგრძნობა ნამდვილად არ სჭირდება — მან სწორედ ის მოიმკო, რაც თავად სურდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი გადაწყვეტილების შესახებ იტალიურმა კომპანიამ მხოლოდ აპრილში განაცხადა, ჰინგისთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ავსტრალიის ღია პირველობის დროს დაიძაბა. მელბურნში შეიცარიელს „ტაჩინის“ ნაცვლად დაუდგენელი ფირმის, როგორც ამბობენ, „ადიდასის“ წუდები ეცვა.

„მარტინა ჰინგისმა უამრავჯერ დაარღვია საკონტრაქტო ვალდებულებები. მან ჩვენი და ჩვენი ნაწარმის იმიჯი შელახა თავისი საქციელითა და უკიდურესად შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით მთვარი სპონსორის მისამართით. ჩვენ მეტის მოთმენა აღარ შეგვეძლო“ — სენიორ ტაჩინის განცხადებას კომენტარი ნამდვილად არ სჭირდება.

ჰინგისს, თურმე კომპანიისთვის პირდაპირ უთქვამს, ჩემს ფეხის თითებს თქვენს წუდებზე ალერგია აქვსო. თუმცა ძაღლის თავი „სუპრასტინის“ დეფიციტში კი არა, მსოფლიოს პირველი ჩოგნის მომატებულ მადაში უნდა ვეძიოთ: მის ბანაკს 2002 წლამდე ტაჩინისთან „ღარიბი“ კონტრაქტის ვადის გასვლამდე ცდა დაეზარა და სხვა, გაცილებით ჯიბესქელი სპონსორის ხელში ჩაგდება მოეპრიანა.

ბრძოლა ტახტისთვის

როლან გაროსის შემდეგ კაცებს შორის კლასიფიკაციის სათავეში მოკალათბეს შანსი ერთბაშად ხუთ ჩოგბურთელს აქვს.

დავიწყოთ ბოლოდან: 1997 წლის ჩემპიონ გუსტავო კუერტენს ამისთვის თავისი ორი სეზონის წინანდელი გმირობის გამეორება და გზად 200 „საბონუსე“ ქულის მოპოვება სჭირდება. „ნისლიანი ალბიონის“ გასახარებლად ინგლისელმა ტიმ ჰენმანმაც იგივე ამოცანა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ პარიზში გამარჯვების მისეული შანსები დაახლოებით ისევე ფასობს, როგორც საქართველოს ფეხბურთის ნაკრებისა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

კლასიფიკაციით მესამეს და მეორეს — შესაბამისად პიტ სამპრასსა და პატრიკ რაფტერს ამისთვის მეოთხედფინალისტობა ეყოფათ. რაც შეეხება ტახტის ახლანდელ მპყრობელ ევგენი კაფელნიკოვს, მას ისიც დააკმაყოფილებს, თუ მთავარი კონკურენტები ზემოხსენებულ სიმაღლეებს ვერ შესწვდებიან.

ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!

ყველა ჰაშეკი ვერ იქნება

STANLEY CUP PLAYOFFS

აღმოსავლეთი

25 მაისი

სერიის ანგარიში

ტორონტო — ბუფალო 1:1

ტორონტო — ბუფალო 6:3

2:0 1:2 3:1

1:0 სალივანი; 2:0 კოტი; 2:1 ვული; 3:1 ბერეზინი; 4:1 პერო; 4:2 ბარნსი; 4:3 ბარნსი; 5:3 ტომასი; 6:3 ველკი.

„დუეინს ვერაფერს დავაბრალებ. ყველა გოლის გატანისას მეტოქეს აშკარა შანსი ჰქონდა“ — აღიარა მატჩის შემდეგ ბუფალოელთა მწვრთნელმა ლინდი რაფმა. მან ცოდვა მეკარე დუეინ როულსონს კი აარიდა, თუმც ყველას სჯერა, ისეთი თამაშის გადარჩენა, როგორიც სამშაბათს „ეირ კანადა სენტრში“ გაიმართა, ჰაშეკს ნამდვილად ძალუძდა. დომინატორმა კვლავ ვერ ითამაშა და მასპინძლებმა ამჯერად ეს გარემოება მაქსიმალურად გამოიყენეს. ისევე როგორც წინა ორ სერიაში, პირველ თამაშში მარცხმა ტორონტოელები ერთობ გააცხარა. თუმც მათ კვლავ ნაცად ხერხს მიმართეს — ჩვეულ, შემტევ თამაშს. ამჯერად ტაქტიკამ შედეგი უმალ გამოიღო. პირველ პერიოდში 18 წამის განმავლობაში მასპინძლებმა ორი გოლი შეაგდეს, მესამე პერიოდის დასაწყისისთვის კი სხვაობა სამ შაიბამდე გაიზარდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, რომ „ხმლები“ უკვე დანებდნენ, რამაც, ეტყობა, ტორონტოელები დაამშვიდა. სტუმრებმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი წლევანდელ პლეი ოფში რიცხვმრავლობას უბადლოდ იყენებენ (მანამდე მატჩი არ ჩაუტარებიათ, რიცხვმრავლობა ერთხელ მაინც არ გამოეყენებინათ) და როცა სულ რაღაც ორ წუთში სტიუ ბარნსმა დუბლი შეასრულა (შეგახსენებთ, რომ წინა მატჩამდე მას 31-მატჩიანი „მშრალი“ სერია ჰქონდა), ვითარება ისევ დაიძაბა. რომ არა ლონი ბოჰონოსის ინდივიდუალური ძალისხმევა, ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა ბოლო წუთებზე. ახალბედა ტორონტოელმა, რომელიც გუნდს პლეი ოფის მეორე სერიაში შეუერთდა, მანამდე 6 ჩატარებულ მატჩში 8 (3+5) ქულა მიითვალა და ქომაგების დიდი სიმპათია დაიმსახურა. სწორედ მისი ლამაზი გარღვევის და ზუსტი პასის შემდეგ გაუტანა მეხუთედ ვეტერანმა სტივ ტომასმა როულსონს და მატჩის ბედიც გადაწყდა.

ჰაშეკის მდგომარეობა კი ჯერაც გურკვეველია. ადვილი შესაძლებელია, როულსონს, რომელსაც პლეი ოფში სულ 19 წუთი უთამაშია, კვლავ მოუწიოს ტორონტოელებთან შებრძოლებამ, რაც ღღითი ღღე ძნელი ხდება.

REUTERS ტორონტოდან

აჭაოდა, გამოუცდელიაო, ტორონტოელმა სტივ სალივანმა ისეთები ყადრა ბუფალოს მეკარე დუეინ როულსონს, სხვას ნამდვილად ვერ შებედავდა



REUTERS ტორონტოდან

ბუფალოელი უეინ პრიმო შაიბასავით გასტყორცნეს

შიშს ჯიბეც დიდი აქვს

ბრაიან ლიჩი: 35 მილიონი 4 წელიწადში

1997 წელი — რეინჯერსს მარკ მესიე ტოვებს, 1999 — კარიერას უეინ გრეცკი ამთავრებს. მესამე მძიმე დანაკლისს ნიუიორკული კლუბი ვეღარ გაუძლებდა და როგორც ცნობილი გახდა, 24 მაისს „რეინჯერთა“ წამყვანმა მცველმა და კაპიტანმა ბრაიან ლიჩმა ახალი კონტრაქტი გააფორმა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ფინანსური დეტალები არ გაცხადებულა, თუ ჩრდილოამერიკულ სააგენტოებს ვერწმუნებით, ლიჩმა ოთხი წლით გაიხანგრძლივა თანამშრომლობა გუნდთან და ამ ხნის განმავლობაში 35 მილიონ დოლარს მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ წლიური საშუალო გასამრჯელოთი (8,75 მილიონი დოლარი) ბრაიანი ლიგაში მეორე უძვირფასესი ჰოკეისტი გახდება კოლორადოელი პეტერ ფორსბერგის შემდეგ (წელიწადში 10 მილიონი) და ორ სუპერვარსკვლავს — ანაჰაიმელ პოლ კარიასა და ფილადელფიელ ერიკ ლინდროსს გაუსწრებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ სეზონში, რაც გუნდიდან მესიე წავიდა, ლიჩი სრულებითაც არ მოგვაგონებს იმ მრისხანე მცველს, 1994 წლის პლეი ოფში 34 (11+32) ქულით საუკეთესო ბომბარდირი რომ გახდა, ხოლო თავის დროზე ერთ სეზონში 100-ქულიანი ზღვრის გადალახვა იოლ საქმედ მიაჩნდა (1992-ში 102 (22+80) ქულა მიითვალა). ამიტომაც ნიუიორკელთა მესვეურები იმედოვნებენ, რომ ამხელა თანხით 31 წლის მცველს უდიდეს სტიმულს მისცემენ.

შეგახსენებთ, რომ ლიჩის აქტივში ორი „ნორის ტროფია“ (1992 და 1997 წლებში), ექვსჯერ „ოლ სტარში“ მონაწილეობა, ხოლო 177 გოლით მხოლოდ ორით ჩამორჩება რეინჯერსის რეკორდსმენ მცველ რონ გრეშნერს.

სამველ ღარიბიანი

მალე დევიბიც გვესტუმრებიან

ქართული სუმო ნელ-ნელა მიიკვლევს გზას საერთაშორისო სარბიელზე. საქართველოს ფედერაცია ჯერ ერთი წლის არაა, მაგრამ უკვე მოასწრო ევროპულ თუ მსოფლიოს ფედერაციებში გაწევრიანება და ევროპის პირველობაზე თავის გამოჩენა. 28 ივნისს კი თბილისში საქართველოს ღია ჩემპიონატი გაიმართება. ამ დღესვე თბილისს ეწვევა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, იაპონელი ჰიდეტოში ტანაკა თანამემამულე სუმისტებთან ერთად. პრეზიდენტი თავის აქაურ კოლეგებს ოფიციალურად და არაოფიციალურადაც გაესაუბრება, მოჭიდავეები კი ჯერ საჩვენებელ გამოსვლებს გამართავენ, ხოლო მერე ჩვენს ახალბედა სუმისტებს გაეჯიბრებიან. მასპინძლებმა ტურნირში რუსებიც მოიპატიჟეს, თუმცა მათი ჩამოსვლის დიდი იმედი არა აქვთ. დაზუსტებით არც სტუმართა გუნდის შემადგენლობაა ცნობილი. როგორც საქართველოს სუმოს ფედერაციაში გვითხრეს, მათ რიგებში უეჭველად იქნებიან ცნობილი სუმისტები. ისინი თბილისში მოსკოვიდან გვეწვევიან, სადაც რუსეთის ღია პირველობაზე გამოვლენ.

სტუმართა შემადგენლობა უცნობი კია, მაგრამ ის მაინც ვიცით, რომ მასპინძელთაგან მათ ალექსი დავითაშვილი, გიორგი წმინდაშვილი, ლევან ებანოიძე, ლევან ჯაფარიძე და სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილი სპორტსმენები დახვდებიან.

სუმო ჯერჯერობით ჩვენთვის უცხო ხილია. 28 ივნისიდან 3 ივლისამდე კი ჩვენებური მაყურებელი უშუალოდ იხილავს ამ იაპონურ ფალავნობას.

ირაკლი თავაძე

ჯერ მოკეთდა, მერე გაკეთდა

მიიწ-მოიწით, იაპონელნო!



REUTERS ტოკიოდან

კეთილი გოლიათი მუსასირუ

თქვენ იოკოძუნობა ანუ სუმოს დიდ ჩემპიონად გახდომა და მერე ამად ყოფნა ლობიობა ხომ არ გგონიათ? როგორც ვატყობ, არა. ჰოდა, თქვენ აგაშენათ ღმერთმა.

ისე კი, იმას გეტყვით, რომ სუმოს, მთელი ისტორიის მანძილზე, ოდენ 66 იოკოძუნა ჰყოლია და 67-ეს ვინაობა აგერ, გუშინ გაირკვა. იგი, ახლახან გასრულებული გაზაფხულის დიდი ტურნირის გამარჯვებული, 28 წლისა და 223 კგ-ის ჰავაურ-ამერიკული წარმოშობის მუსასირუ გახდა.

აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, როცა ის „ოძეკი“ (იოკოძუნამდელი ტიტულია), რომელიც ზედიზედ ორი ტურნირის მოგებას შეძლებს, უმალვე ზანაეს რანგში უნდა ამაღლდეს ხოლმე...

მოკლედ, მუსასირო აწი იოკოძუნაა და ამჟამინდელ მოქმედ იოკოძუნათა — ძმების ვაკანოჰანასა და ტაკანოჰანას, ასევე მუსას ჰავაელი ძმაკაცის, აკებონოს შეჭირვებულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ (პირველს მარცხენა კოჭი სტკივა, მეორეს — მარჯვენა, მესამეს კიდევ ერთიცა და მეორეც), მის ზეპურ შემცილედ კიდევ კარგა ხანი ვერავინ იქნება.

ცხოვრებისეულ სარბიელზე მუსამ თავისი დიდრონი ფეხი ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე, რვადედმაძმაშვილიან ოჯახში შედგა, დიდი სუმოს გემო კი 1989 წელს გაიგო. საამაყოდ კარიერის დასაწყისშივე ზედიზედ მოგებული 52 ტურნირი და კიდევ წვრილმანი გამარჯვებები მოეძევება. ოძეკის წოდება მან 1994 წელს მიიღო.

გუშინდლიდან კი...

„მოგება არ მენახოს, თუ იოკოძუნას დიდი სახელი შევარცხვინო“ — ამბობს კეთილი დევი და სიხარულისგან გაოფლიანებულ სახეს ალალი ღიმილით იმშვენებს.

ლევან კელაურაძე

ოლიმპიზმის მამამ ოლიმპიადის დედას ჩააკითხა

სოკ-ის პრეზიდენტი, ხუან ანტონიო სამარანჩი საბერძნეთის ეოკ-ის ახალი შტაბ-ბინის გახსნას დაესწრო. ეს შთამბეჭდავი შენობა ათენის 85-ათასიან ოლიმპიური სტადიონს დაჰყურებს. თუკი უახლოესი ოთხწლინახევრის განმავლობაში ყველაფერი კარგად იქნა, მსოფლიო ოლიმპიზმის შემქმნელებს კიდევ 1,7 მილიარდი დოლარის ღირებულების შენობები და რამე-რუმეები ექნებათ წამოსაჭიმი. ათენი ხომ 2004 წლის ზაფხულის ოლმიპიადისთვის უნდა მოემზადოს.

„ჰოდა, აბა, თქვენ იცით“ — უთქვამს ლოზანელ ზევსს — „თქვენი ოლიმპიადა ყველა დროის საუკეთესო უნდა იყოს. მჯერა, რომ საბერძნეთის მთავრობა ძალ-ღონეს არ დაიშურებს საამისოდ“. „როგორ გეკადრებათ“ — შეპასუხებია უცხოელ სტუმარს მასპინძელთა პრემიერი კოსტას სიმიტისი — „დავიშურებთ კი არა, მთელი დარჩენილი დრო თუკი რამეზე ვიფიქრებთ და ვიმუშავებთ, სწორედ ეგ ამბავი იქნება...“

არტემ ჩაჩანიძე

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

იყიდება

თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა.

3 მილიმეტრიანი

ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)

(საღამოს საათებში)

ფრთხილად, დედამიწა დანაღმულია!

ეს ჩვენი ბებერი დედამიწა თავის მადლიან შიგანში თურმე იმდენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმს შეიცავს, რომ მტრისას... აგერ ამ კაცური კაცის, ბრიტანელი ანტიმენაღმისა და ნაღმთა ენთუზიასტი მმუსრავის, ქრის მუნის მარჯვენა მკლავ-ფეხიც სწორედ ერთ მოზამბიკურ ნაღმს შესწირვია. მაგრამ როცა გული გულობს, მაშინ სხეულის ღერძის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული რამერუმეების სიკენტ-სილუწეს აბა რა აზრი აქვს? — არც არავითარიო, აცხადებს მუნი და საქველმოქმედო და გამომაფხიზელებელ მსოფლიო კროსებზე ძველებური სილაღით დარბის. ეს ფოტო კამბოჯური გადარბენისას გადაუღიათ. მუნის ამაგი ამ ქვეყანაზეც ფრიადი ყოფილა... ჰოდა, გაახაროს მაღალმა ღმერთმა!

REUTERS პურსატიდან

ერთვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ნოტინგემიდან

რაღა ეს ლიანგი და რაღა ნიანგი

ინგლისში მიმდინარე კრიკეტის მსოფლიოს თასი ნამატჩევი ხულიგნობებით გამოირჩევა... ჰოდა, ავსტრალიის ავტორიტეტულ ნაკრებსაც დაუქადნია, მდგომარეობა თუ არ გამოსწორდა, აღარც მსოფლიოს თასს დაგიდევთ, აღარც არაფერს და ჩვენი ფეხი აქ აღარ იქნებაო... აბა, რას იზამენ, როცა გადარეული ქომაგები მოედნებზე უკვე აი ასე ლიანგურად შეჭრასა და ადგილობრივ სამართალდამცავებთან მუშტი-კრივით გაპაექრებასაც აღარ თაკილობენ. ფოტო კი, სხვათა შორის, ინგლისელთა მიერ ზიმბაბვის შრისხანე ნაკრების დამარცხების შემდეგაა გადაღებული... ფანებს თურმე საყვარელ მოთამაშეთა ტაფელების დათრევა მონდომებიათ.

ფსიქო ჰაიდელბერგის იალაღებზე

ხშირობა ხუმრობად, მაგრამ ხომ იცით, თვით ყველაზე ნაღდი ღადავის დროსაც კი კაცის ფარული ზრახვები და განწყობები მაგრად იშიფრება... ჰოდა, ზიმბაბველი მეგოლფე ნიკ პრაისი ევროპის საგოლფო ჩემპიონატზე ნახეირებ ამერიკულ ჭაბუკ თაიგერ ვუდსს რომ ახჩრობს, ვისთვის ღადავია, ვისთვის კიდევ ფსიქო... 24 მაისი, ჰაიდელბერგის მახლობელი იალაღები, დაჯილდოების ცერემონიის მერე...

REUTERS ჰაიდელბერგიდან

აბა, რა, მარტო ვივაჭროთ?!

REUTERS ლიმიდან

პერუში, საკეთილმოყვრო ვიზიტით მყოფ ბრიტანელთა ვაჭრობის მინისტრ ბრაიან უილსონს დამხვდურთა ნაკრების ვისთვის ავად, ვისთვის კარგადმოსაგონარი ის წევრები მოუნახულებია, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე რომ იასპარეზეს... არა, ბრიტანელს იმ 6:0-ისა არაფერი ედარდებოდა, პერუელებს მასპინძელმა არგენტინელებმა ფინალში უცილობლად მოსახვედრად რომ გაუკეთეს. უცხოელ სტუმარს თურმე უფრო პერუელთა მიერ შოტლანდიის ნაკრების 3:1 ძლევა ნახსომება და უკვე შებერებულ მობურთალებთან ამადაც მისულა.. ფოტოზე იგი სახელოვანი ტეოფილო კუბილასისაგან პერუს ეროვნული ნაკრების კვართ-მაისურას გამოელის და მის მოსაცმელად თავის რესპექტაბელურ „ლაკოსტას“ ელევა... „აბა, რა, მარტო ვივაჭროთ?!“, — მისტერ უილსონის ამ ხალისიან რეპლიკას ტეოს ხალისიანივე ღიმილი ეგებება.

მს გოგონა ჩინელი ტანმოვარჯიშე სან ლანია, აი, ის, გასულ ზაფხულს კეთილი ნების ნიუ იორკულ თამაშობებზე ხერხემალი რომ დაიზიანა და ტანყარჯიშის რაა, სიარულის უნარიც რომ სამარადუამოდ დაკარგა... ჰოდა, თუკი აქამდე ბედკრულ სანს კეთილი ამერიკელები მკურნალობდნენ, გუშინდლის მერე მასზე ზრუნვა მშობლიურ ჩინეთში მოუწევთ... ფოტოზე სანის პეკინში ჩამოფრენისა და მისი ახლობელ-შორებლებთან ცრემლიანი შეხვედრის მომენტია ასახული...

შვილო, ჭადრაკი მაინც გეთამაშა

REUTERS პეკინიდან

CHAMPIONS LEAGUE

და ბოლოს გერმანელები... აგებენ

ჩემპიონთა თასის ფინალი

დავით კაკაბაძე ბარსელონიდან

„ფეხბურთი უბრალო თამაშია, რომლის დროს 22 კაცი 90 წუთის მანძილზე ერთ ბურთს დასდევს, ბოლოს კი გერმანელები იგებენ". ფეხბურთის ეს გარი ლინეკერისეული განმარტება, როგორც გუშინ გაირკვა, სწორი არ ყოფილა: „კამპ ნოუზე" 22-მა კაცმა მართლაც თავგამოდებით სდია ერთ ბურთს, მაგრამ ბოლოს მოიგეს არა გერმანელებმა, არამედ ლინეკერის თანამემამულეებმა — ინგლისელებმა. თანაც, მოიგეს ისე, როგორც ამას სწორედ გერმანელებისგან ვართ ჩვეული; მოიგეს მაშინ, როცა თამაში თითქოს უკვე წაგებული ჰქონდათ.

ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალების ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება შეხვედრა, დრამატიზმით ბარსელონის ფინალს რომ გაუტოლდეს. 84 წუთის მანძილზე (მეექვსედან 90-ე წუთამდე) თამაშს ერთი გუნდი იგებდა, თასი კი მეორეს დარჩა.

ფინალურ მატჩებს საკუთარი კანონები აქვს. განსხვავებით სატურნირო თამაშებისა ან იმ შეხვედრებისგან, რომლებშიც გამარჯვებული ორი მატჩის ჯამში ვლინდება, ფინალში შეცდომას არავინ გაპატიებს. თუ ჯგუფურ ტურნირში, მეოთხედფინალში ან თუნდაც ნახევარფინალში შეიძლება, თამაში არ გამოგივიდეს, ფინალში ასეთი რამ დაუშვებელია: საპასუხო ან განმეორებითი მატჩი აღარ გაიმართება, ყველაფერი აქვე, დღესვე უნდა გაირკვეს. ამიტომ არის, რომ სანახაობრივი თვალსაზრისით ფინალური მატჩები ხშირად მოლოდინს ვერ ამართლებს: მეტისმეტად მძიმეა მოთამაშეთა მხრებზე აკიდებული ფსიქოლოგიური ტვირთი.

გაიხსენეთ, 70-იანი წლების მიწურულს და 80-იანების დამდეგს რამდენი უღიმღამო ფინალის მოწმენი გავმხდარვართ თუნდაც იმავე ჩემპიონთა თასის ტურნირებში. გაიტანდა ერთი გუნდი გოლს და დარჩენილ დროს იმაზე ფიქრსა და ზრუნვაში ატარებდა, როგორმე საპასუხო ბურთი არ გაეშვა. 1978-1983 წლების მონაკეთში ჩემპიონთა თასის ექვსივე ფინალი ერთნაირი ანგარიშით 1:0 დამთავრდა. ცხადია, 1:0 თავისთავად სულაც არ მეტყველებს თამაშის მდარე ხარისხზე, მაგრამ ვისაც ის ფინალები უნახავს, დამეთანხმება: საფეხბურთო დღესასწაულთან იმ მატჩების უმეტესობას საერთო არაფერი ჰქონია.

ბარსელონის ფინალში დაწინაურებულ, საბოლოოდ კი დამარცხებულ გუნდს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, 1:0-ის მერე მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდო. ერთი კია: გატანილი გოლის მერე მიუნხენელებმა მინდვრის შუაგული მეტოქეს დაუთმეს და მას საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ხვდებოდნენ. კუფური და ლინკე ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ მანჩესტერის თავდამსხმელებს, იორკსა და კოულს, ხოლო ეფენბერგი და მათეუსი, ბურთს მოიხელთებდნენ თუ არა, სწრაფი კონტრშეტევის წამოწყებას ცდილობდნენ.

წლევანდელი სეზონის სხვა მატჩებთან შედარებით მანჩესტერი ამჯერად უფერულად გამოიყურებოდა. მის ფეხბურთელებს მხრებზე აწვათ არა მარტო ის ფსიქოლოგიური ტვირთი, რომელიც ზემოთ ვახსენე, არამედ ფიზიკურად დაეტყოთ 63-მატჩიანი ქანცგამცლელი სეზონის მართლაც არაადამიანური დატვირთვა.

გუნდის კაპიტნისა და დირიჟორის, როი კინის არყოფნის მიუხედავად, ალექს ფერგიუსონს ნაკადი სქემისთვის არ უღალატია. მანჩესტერელთა მწვრთნელმა კინის ფუნქცია ნახევარდაცვის ცენტრში ბექემს მიანდო, ამ უკანასკნელის ადგილზე გიგზი ათამაშა, ხოლო მარცხენა ფლანგზე ბლომკვისტი დააყენა.

24 წლის ბექემის გამძლეობის ამბავი ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ. მაგრამ ამჯერად ბექემიც დაღლილი ჩანდა. მის გადაცემებს ჩვეული სიზუსტე აკლდა, მის ჩანაფიქრთა უმეტესობა მიუნხენელებისთვის ადვილი ამოსაცნობი ხდებოდა. ხოლო შავკანიან თავდამსხმელთა დუეტმა კოულისა და იორკის შემადგენლობით კარში რიგიანად დარტყმაც ვერ მოახერხა. არადა, წლევანდელ სეზონში ორივეს ანგარიშზე ერთად ხუთ ათეულზე მეტი ბურთია!

მოკლედ, შესვენებამდეც და შესვენების შემდეგაც, თამაშს გარდატეხისა არაფერი ეტყობოდა. მართალია, მანჩესტერი უფრო ხშირად უტევდა, მაგრამ სახიფათო მომენტები მის კართან მეტი იქმნებოდა. ორჯერ (79-ე და 83-ე წუთებზე) შოლისა და იანკერის დარტყმების შემდეგ შმაიხელის კარი ძელმა იხსნა. კიდევ ორჯერ (72-ე და 82-ე წუთებზე) დანიელმა მეკარემ თვითონ გამოიჩინა თავი, როცა კუთხურზე მოიგერია ეფენბერგისა და შოლის დარტყმული ბურთები.

მატჩის ბედი შეცვლაზე შესულებმა გადაწყვიტეს. 67-ე წუთზე უღიმღამო ბლომკვისტის ნაცვლად შესულმა 33 წლის შერინგემმა და კოულის შემცვლელმა, ნორვეგიელმა სოლსკიაერმა, რომელიც მინდორზე მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე გამოვიდა, თითო გოლი გაიტანეს და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ათასგზის დამტკიცებული: დიდი მწვრთნელები შეცვლებშიც დიდ მწვრთნელებად რჩებიან. ალექს ფერგიუსონი კი უდავოდ დიდი მწვრთნელია.

უზადო არბიტრის, იტალიელი პიერლუიჯი კოლინას საფინალო სასტვენის შემდეგ „ბაიერნის" ფეხბურთელები მოცელილებივით წაიქცნენ და დიდხანს ვერ პოულობდნენ ძალას, რათა ამდგარიყვნენ და უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისგან დამარცხებული ფინალისტისთვის განკუთვნილი ჯილდო მიეღოთ. იუჰანსონი კარგა ხანს მარტო იდგა კვარცხლბეკზე და მოთმინებით ელოდა მიუნხენელებს. გამარჯვებას, რაოდენ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, ისინიც იმსახურებდნენ.

თუმცა, ჩვენი ყურადღება ახლა იმას ეკუთვნის, ვინც ეს გამარჯვება მოიპოვა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამხდარა ინგლისური ფეხბურთი დაცინვის საგანი კონტინენტური ევროპის და განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკის მიმომხილველთა თუ ექსპერტთა მხრიდან. „Kick and Rush" („დაარტყი და გაიქეცი") — ეს ლაკონური დახასიათება მთელს ბრიტანულ ფეხბურთს ათწლეულების მანძილზე დამამცირებელ იარლიყად ჰქონდა მიკერებული. სულ ერთია, რა წარმატებას მიაღწევდნენ ინგლისელები („ლივერპული" იქნებოდა ეს, „ნოტინგემ ფორესტი" თუ „ასტონ ვილა"): მათი თამაშით ესთეტიკურ ტკბობას მაყურებელი მხოლოდ მათსავე სამშობლოში თუ განიცდიდა. დანარჩენებისთვის ეს გახლდათ უაღრესად სწრაფი და ათლეტური, მაგრამ ყოვლად მოსაბეზრებელი, ყოველგვარ ფანტაზიას მოკლებული თამაში. მოკლედ — „Kick and Rush".

REUTERS ბარსელონიდან

დევიდ ბექემი და ტედი შერინგემი სანუკვარი ჩემპიონთა თასით

ბობი ჩარლტონის დროიდან მოყოლებული ინგლისელებისადმი მუდამ დიდი სიმპათიით ვიყავი გამსჭვალული და ამიტომ ორმაგად მიხარია, რომ სწორედ ჩარლტონის „მანჩესტერ იუნაიტედია" ის გუნდი, რომელიც დღეს ევროპაში ყველაზე მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობს. ინგლისელთათვის მუდამ დამახასიათებელი თავბრუდამხვევი ტემპი, ათლეტიზმი და იშვიათი თავგანწირვა შენარჩუნდა, მაგრამ უსაშველოდ გრძელ, ალალბედ პასებზე აგებული თამაში კომბინაციურმა, მოკლე პასებზე დაფუძნებულმა სისტემამ შეცვალა. ერთი სიტყვით, უწინდელ სისწრაფესა და ძალას მოხდენილობა და გამჭრიახობა დაემატა.

ცხადია, მოვლენათა ამგვარი განვითარება იმისაც განაპირობა, რომ საფეხბურთო ბრიტანეთი დანარჩენი მსოფლიოსგან უწინდელივით იზოლირებული აღარ არის: ინგლისელები უცხოეთში მიდიან სათამაშოდ, სულ უფრო მეტ უცხოელს ვხედავთ ბრიტანულ კლუბებში. მაგრამ რაკი დღეს „მანჩესტერ იუნაიტედზე" ვსაუბრობთ, არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ მისი ბოლოდროინდელი წარმატებების ჭეშმარიტი სულისჩამდგმელის, ალექს ფერგიუსონის დამსახურება.

წარმოშობით შოტლანდიელმა ფერგიუსონმა მანჩესტერი 1986 წელს ჩაიბარა იმ პირობით, რომ კლუბისთვის წარსული დიდება დაებრუნებინა. 1978-86 წლებში ფერგიუსონმა არა მარტო შოტლანდიის, არამედ ევროპის საკლუბო ფეხბურთის ლიდერებს გაუტოლა მანამდე სრულიად უცნობი „აბერდინი". მანჩესტერში მოღვაწეობის პირველი სამი წლის მანძილზე მწვრთნელმა რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება ვერ მოახერხა, რამაც კლუბის ხელმძღვანელები თავიანთი არჩევნის სისწორეში დააეჭვა. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადაწყდა, ფერგიუსონისთვის კიდევ ცოტა ეცლიათ. მას შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი" ხუთჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ოთხჯერ გაიმარჯვა ევროვნული თასის გათამაშებაში (აქედან სამჯერ: 1994, 1996 და 1999 წლებში „დუბლი" გააკეთა), ხოლო ერთხელ (1991 წელს) თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

ამიერიდან ჩეპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ 57 წლის ალექს ფერგიუსონს ბრიტანეთის ყველა დროის უდიდეს მწვრთნელად მოიხსენიებენ ხოლმე. ასეთი აღიარების დამსახურება კი მატ ბასბის, ბილ შენკლის, ალფ რამსეის ქვეყანაში, დამეთანხმებით, იოლი საქმე არ არის.

„თამაშის შესახებ წარმოდგენა წლების მანძილზე არ შემიცვლია, — თქვა ფერგიუსონმა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე — მუდამ მსურდა, ჩემს გუნდებს მინდორზე ჩემი ხასიათი გამოეხატათ. ჩემი გუნდები აგრესიულნი და დადებითი მუხტით აღსავსენი არიან და, რაც მთავარია, გამარჯვების დაუოკებელი წყურვილი ამოძრავებთ. ისინი მე მგვანან. აგერ, 25 წელი შესრულდა, რაც ვმწვრთნელობ და ჩემი ბიჭები ყოველთვის ღირსეული, სამართლიანი გზით ცდილობენ მიზნის მიღწევას. არ მიყვარს ფეხბურთელები, რომლებიც განზრახ ეცემიან საჯარიმოში, რათა მსაჯს პენალტი დასტყუონ ან მოედნიდან გაძევებინონ მეტოქე. ჩემს მოთამაშეს ასეთ ქცევას არასოდეს ვაპატიებ".

ამ ნათქვამში, ვფიქრობ, საუცხოოდ ჩანს ალექს ფერგიუსონის ფილოსოფია, მწვრთნელისა, რომელმაც — როგორც დავალებული ჰქონდა — წარსული დიდება დაუბრუნა „მანჩესტერ იუნაიტედს".

REUTERS ბარსელონიდან

მანჩესტერელ რაიან გიგზს ბავარიელი მიხაელ ტარნატი (მარცხნივ) და შტეფან ეფენბერგი ებრძვიან

სარგებელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვასტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაცტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29